სიტყვანი
და
მოძღვრებანი,

თქმულნი საქართველოის საეექსარხოსოში მაღალ
ყოვლად სამღვდელოის საქართველოის ეექსარ-
ხოსის არქიეპისკოპოსის პავლეს მიერ.

გამოცემა «მწყემსი»-ს რედაქციისა.

ქ. ქუთაისი.
სტამბა ღამბაშიძისა.
1887

სიტყვანი
და
მოძღვრებანი,

თქმულნი საქართველოის საეექსარხოსოში მაღალ
ყოვლად სამღვდელოის საქართველოის ეექსარ-
ხოსის არქიეპისკოპოსის პავლეს მიერ.

გამოცემა «მწყემსი»-ს რედაქციისა.

ქ. ქუთაისი.
სტამბა ღამბაშიძისა.
1887

წინასიტყვაობა.

1801 წლიდგან საქართველოს ეკკლესია შეუერთდა რუსეთის ეკლესიას. 1818 წლიდამ ინიშნებიან უწმიდესი და უმართებულესის სინოდისაგან რუსის მთავარ-იეპისკოპოსები საქართველოის ეკკლესიის და სამღვდელოთა ექსარხოსებად. არც ერთი ექსარხოსისაგან არ წარმოთქმულა მათი პირველად ჩვენში შემოსვლის და აქ მყოფობის დროს იმდენი სიტყვები, რამოდენიც წარმოითქვა საქართველოის ექსარხოსის არქიეპისკოპოსის პავლესაგან ამ ცოტა ხანში. ამისათვის ჩვენ განვიზრახეთ რამდენიმე მისი სიტყვების რუსულიდგან თარგმნა და ცალკე წიგნად გამოცემა. ეს სიტყვები ჩვენი ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადოებითვის საინტერესონი არიან და ამიტომ დარწმუნებული ვართ, რომ ყველანი სიამოვნებით წაიკითხვენ მათ.

დეკანოზი დავით ღამბაშიძე.

სიტყვა,

თქმული მაღალ ყოვლად სამღვდელოის მთავარ-ეპისკოპოსის პავლეს მიერ მის პირველად შესვლის დროს ვლადიკავკაზის საკრებულო ტაძარში დეკანოზის სამადოვის სიტყვის პასუხად.

გულითა გმადლობთ თქვენ მამაო დეკანოზო, კეთილ გრძნობათა გამოცხადებისათვის, ბესარაბიის ეპარქიაში ჩემ მოქმედებათა ჯეროვანად დაფასებისა და იმ წრფელი იმედისათვის, რომელსაც ჩემზედ სდებთ საქართველოს შესახებ. მაგრამ გეტყვით თქვენ გამოტეხილად, რომ ბესარაბიაში ჩემის მოქმედების წარმატებას მე ვაწერ არა მარტო ჩემს ძალას და ჩემს გამოცდი-

ლებას, არამედ ღვთის შემწეობას და მის ძალას, რომელიც უძლურებასა შინა ჩვენსა აღესრულების. ამ ყოვლად შემძლებელმა ღვთის ძალამ და ჩემთა ღირსეულ თანა-მშრომელთა ერთსულობითი მოქმედებამ ჰქმნეს ჩემი მოქმედება ბესარაბიაში კეთილ-ნაყოფიერად. და საქართველოში მოქმედების დროსაც მე იმედი მაქვს ღვთის შემწევნობისა და საქართველოს ეკლესიის მწყემსთ-მთავართა და მწყემსთა დახმარებისა, რომელნიც, რასაკვირველია, შემწეობას და დახმარებას აღმომიჩენენ მე ჩემო მოვალეობის აღსრულების დროს.

თქვენ, მამაო დეკანოზო, სთქვით, რომ საქართველოის ეკალესიის მწყესნი უმეტესად გაუნათლებელნი არიანო, ეს ძალიან საწყენია; მაგრამ სასიხარულოა ჩემთვის ის, რომ ეს მწყემსნი, როგორც თქვენი სიტყვებიდამ სჩანს, განსხვავდებიან კეთილის ზნეობით, სიმდაბლით და მორჩილებით. ეკკლესიურ საქმეებში მწყემსთა კეთილი და წმინდა ზნეობა უსაჭიროესია თვით განათლებაზე. კეთილი მაგალითი უფრო მოქმედებს სიტყვაზე, თუ გინდ ეს სიტყვა ძალიან მჭევრ-მეტყველურადაც იყოს ნათქვამი. თვით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ცხადად დაგვანახვა ჩვენ კეთილი ცხოვრების უპირატესობა ქვეყნიურ სიბრძნის წინაშე, როდესაც თავის უმახლობელეს თანამშრომლებად აღირჩია გაუნათლებელნი დი იმაებით შეურაცჰყო განათლებულნი – მტერნი ქრისტეს სასუფეველისა. მხოლოდ საქართვვლოს ეკკლესიის მწყემსთა იცხოვრონ ნამდვილ ქრისტიანულად, და მათ სწავლაც რომ არა ჰქონდესთ, მაინც სასარგებლონი იქმნებიან თავის ეკკლესიისათვის. ამ მწყემსთა შემწეობით ხომ კი დაიფარა ღმერთმა საქართვვლოს ეკკლესია სარწმუნოებითი რყევისაგან, ხომ კი დაიცვა მან საქართველოს ერი მართლ-მადიდებლობაში ყველა იმ უბედურებათა შორის, რომელნიც ეწიენ თქვენს სამშობლოს. იგივე ღმერთი აწიც დაიფარავს და სრულ-ჰყოფს საქართველოს ეკკლესიას თანა მედროვე მწყემსთა შემწეობითაც, თუმც ეს მწყესსნი იცხოვრებენ ნამ-

დვილ ქრისტიანულ ცხოვრებით და თავისი მორ-
ჩილებით შესთხოვენ უფალს კურთხევას და შემ-
წეობასა.

სასიხარელოა ჩემთვის ისიც, რომ, როგორც
თქვენი სიტყვებიდამ სჩანს, საქართველოს ეკ-
კლესიის მწყემსნი განსხვავდებიან მორჩილებით.
ქვეშვრდომთა თავის მეუმფროსეთადმი მორჩი-
ლება არის საფუძველი წესიერებისა და კეთილ-
განწყობილებისა ყოველ საზოგადოებაში, და მა-
შასადამე ეკკლესიისათვისაც სასარგებლო იქნება
ესრეთი მორჩილება. მორჩილებაზე არის დამო-
კიდებული ყოველივე კეთილ-წარმატება. თუ ამა-
ვე დროს მეუმფროსეთა განკარგულებანი კეთილ
არიან. ჩემის მხრით ვეცდები, რომ ყოველივე
ჩემი მოთხოვნილებანი ჩემ ქვეშევრდომთა შესა-
ხებ ეთანხმებოდენ ღვთის სიტვვას, სინდისს, ეკკლე-
სიურ და სამოქალაქო კანონებს. თუ ეს მოთხოვნი-
ლებანი მტკიცედ იქმნებიან აღსრულებულნი თქვე-
ნის მხრით, რასაკვირველია, საქმე რიგიანად წავა.

ქრისტე მაცხოვრისა და მისი ყოვლად წმიდა
დედის განსაკუთრებითი მადლს ჩემდამი მე ვხედავ
იმაში, რომ მე მოწოდებულ ვიქენი ეკკლესიის
თავად საქართველოში – ღვთის-მშობლისადმი
წილ-ხდომილ მხარეში. იგი ყველგან ქებული, იმე-
დი მაქვს, არ დამაგდებს მე უშემწევნოდ და უშუამ-
დგომლოდ წინაშე ძისა თვისისა და ღვთისა და
გამოსხოვს მას ჩემთვის ძალას როგორიც სა-
ჭირო იქნება ჩემთვის მისდამი წილ-ხდომილ
ქვეყანაში სამსახურის დროს, სადიდებელად ღვთი-
სა და ღვთის დედისა და საცხოვნებლად ჩემისა
და თქვენისა.

მუდამ ვევედრნეთ ღმერთსა, რათა მოგვანი-
ჭოს მან შემწევნობა და სიმხნით და ერთ სუ-
ლობით შევუდგეთ ჩვენზე მდებარე წმიდა მო-
ვალეობათა აღსრულებას.

სიტყვა,

თქმული მაღალ ყოვლად სამღვდელო, საქართველოს ექსარხოსის, არქიეპისკოპოსის პავლეს მიერ პირველად მოსვლის დროს 28 სექტემბერს 1882 წელსა ვლადიკავკაზის საკრებულო ტაძარში პარაკლისის შემდეგ.

კავკასიაზე დაფიქრდები თუ არა, გონების თვალს პირველადვე წარმოუდგება კავკასიონის დიდებული მთები. ბნელი ღამე, რომელიც მე შემომესწრო ვლადიკავკასში შემოსვლის დროს და დღევანდელი დილის ნისლი ჯერ კიდევ მიშლიან მე დავსტკბე კავკასიონის მთების დიდი სანახაობით; მაგრამ მარტო მოთხრობებიც მათზე და ხელოვნური მათი სურათები ტილოზე კმარან, რომ შევადგინოთ მაღალი ჰაზრი ამ მთების სიდიდეზე. ახლა მათ უპყრიათ ჩემი ჰაზრი და მათის ნახვის მხურვალე სურვილით ვარ გატაცებული და კრძალვით მინდა მუხლი მოვიდრიკო წინაშე ყოვლად შემძლებელი შემომქმედისა, რომელმანც შეჰქმნა ბუმბერაზნი ქმნილებისა. ეს დიდი მთები ჰბადავენ ჩემს სულში სხვა-და-სხვა ჰფიქრთა, რომელნიც მე მსურს გაგიზიარო შენ, ჩემო ღვთივ მონიჭებულო სამწყსო, შემოვდივარ რა შენს ქვეყანაში.

რა ცხადად ჰგრძნობს კაცი ამ დიდი მთების ხილვის დროს ადამიანის არა რაობას და ღვთის დიდებას!... მართლაც, რა საბრალო და მცირე ქმნილებად წარმოუდგება კაცს თავისი თავი, როდესაც ის სდგას ამ უშველებელი მთების ძირში და შესცქერის მის დიდ წვერვალთ. თითქო წინწკლებიაო, ადამიანთ რომ ხედავ ამ მთების წვერვალებიდამ. თვით უდიდესნი შენობებიც, კაცის ხელისაგან აგებულნი, ამ მთების ქედებიდგან პატარა ქოხებად გეჩვენება კაცსა და ამავე დროს რა რიგად გიმძიმებენ სულს თავის სიდიადით ეს უშველებელი მთები!... მაგრამ ეს უდიდესი მთებიც და მთელი ქმნილებაც არაფერია. ყოვლად შემომქმედის წინაშე, რომელმანც ყოველი არსებანი არა რაისაგან შეჰქმნა. იგი შე-

ეხება მთებს და ისინი განქარწყლდებიან, ისინი
მოიდრეკენ თავის დიდებულ თავთა მის წინაშე
და გაჰქრებიან. ესრედ არა რაია ღვთის წინაშე
ყოველივე: როგორც კაცი, ყოველივე დიდი ქმნი-
ლებანიც. და ამ არა რაობას უფრო ცხადლივ
გრძნობს კაცი ამ უშველებელი მთების დანახვის
დროს, რომელნიც მძიმე და შემაწუხებელ შთა-
ბეჭდილებით უვსებენ ადამიენს სულს. მაშასადა-
მე თქვენთვის, დანო და ძმანო, მუდამ შემაცქე-
რალნო ამა მაღალ მთათა, უფრო ადგილია,
ვიდრე სხვა ვისმესთვის, შეეჩვიოთ ფიქრს უმე-
ტესად ზეციურზე და არა ქვეყნიურზე – ფიქრს
უმეტეს ყოვლისა ღმერთზე! რა სანატრელია,
რომ წუთის სოფლის ამაოებამ არ შთანთქას
ყოველი თქვენი ჰაზრი და ზრუნვა და სამაგიე-
როდ ხშირად წარმოიდგენდეთ ხოლმე თქვენს
არა რაობას და ამა წუთი სოფლის ამაოებას და
ამაღლდებოდეთ გონებით და გულით ზეცისად-
მი, დიდის და ძლიერის ღვთის მიერ, რომელიც
გვიმზადებს ყოველთა საუკუნო ცხოვრებას!...

მე ჩემს დღეშიაც არ ავსულვარ ისე მა-
ღალ მთებზე, როგორნიც არიან კავკასიონის
მთები. მაგრამ ავსულვარ აი ცოტა მომაღლო
მთებზე. კაცს გიძნელდება მათზე ასვლა: სუნ-
თქმა გიჭირს, მთელი სხეული იღლება. უმაღ-
ლეს მთებზე, როგორც ამბობენ, ისეთი თხელი
ჰაერია თურმე, რომ კაცს სუნთქმა უჭირს. მაგ-
რამ თვით უმაღლეს მთებზე ასვლა იმდენად
ძნელი არაა, რამდენათაც ძნელია ზნეობრივი
აღსვლა ადამიანისა ზეციურ სასუფეველში. რამ-
დენი გულის თქმანი უნდა დასძლიო, რამდენი
ზნეობრივი განვითარების ნაბიჯი უნდა წარდგა
წინ, რომ მიაღწიო ჯეროვანს სისრულეს და
დაემკვიდრო მთასა ზედა უფლისასა, – ზეციური
მამის სამფლობელოში. მაგრამ ზნეობრივი ამაღ-
ლება განსხვავდება უმაღლეს მთებზე ასვლისაგან
მით, რომ რამდენათაც კაცი ზნეობითად მაღ-
ლდება, იმდენად განკარგებას და სიმსუბუქესა
გრძნობს, და თუ ის ამპარტავნებამ არ დასცა,
უდიდეს ზნეობრივ სიმაღლეზე უსრულეს ნეტა-

რებას მიაღწევს ქრისტეს ტახტის წინაშე. ისე-
თი დაბრკოლებანი, როგორნიც უმაღლეს მთებ-
ზე ამსვლელსა ხვდება წინ ჰაერის სითხელისა
გამო, ზნეობრივად ამაღლების დროს არ ხვდე-
ბიან კაცსა. მადლი ღვთისა განარინებს მათ კაც-
თაგან.

მაღალი მთების წვერვალები მუდამ თოვ-
ლით და ყინვით არიან დაფარულნი. მზის სხი-
ვები, რომელნიც სცურავენ ამ მწვერვალებზე,
ვერ ათბობენ მათ თავის გამაცხოველებელი სით-
ბოითა. მთების წვერვალების სანახაობა, რომელ-
ნიც უდნობი თოვლით და ყინვით არიან დაფა-
რულნი, – თვალის მომხიბლავი სანახავია, გან-
საკუთრებით მაშინ, როდესაც თოვლიან მთათა-
წვერვალებს თავს დასცქერის ცინცხალი მზე.
ძნელია ამ სანახაობის თვალის მოცილება. მაგ-
რამ ეს მშვენიერი თოვლიანი წვერვალები მთათა
სრულიად უნაყოფო და ტიტველნი არიან. ხო-
ლო ნაყოფიერნი არიან ის ვაკე ადგილები, რო-
მელნიც საამურად გადაშლილან მთების კალთებ
ქვეშ; ამ ვაკე ადგილებს სწვდებიან ცხოველ-მყო-
ფელი სხივები მზისა, რომლებსაც ამაყურად
უარსა ჰყოფენ მთის წვერვალები და ცხოვლის-
მყოფელი სითბოის მეოხებით ამ ვაკე ადგილებს
მოაქვსთ უხვი ნაყოფი. მზგავსადვე ვხედავთ ზნე-
ობრივ ცხოვრებაშიაც. ამპარტავანი კაცი ემგზავ-
სება დიდ მთას, რომელიც უდნობი თოვლით
და ყინვით არას დაფარული. ამპარტავანი კაცი
შეხედულობით დიდია, დიდებულია და ბრწყინ-
ვალე. მაგრამ იგი უნაყოფოა ზნეობრივად. არა
ვითარ ჭეშმარიტს ქველ-მოქმედებას იგი არ
სჩადის არც თავისთვის და არც სხვისათვის. ყინ-
ვას და სიკვდილს მოუცავს სული მისი; მას
დაუკარგავს ნიჭი როგორც საღმთო მადლთა
მიღებისა, აგრეთვე მაცხოვნებელ საქმეთა აღსრუ-
ლებისა. თავდაბალი კაცი სულ სხვაა. იგი ემ-
გზავსება ნაყოფიერ მინდორს. იგი მედგრად
ჰკვეთს თავის გულში ამაყობის და სხვათა გუ-
ლის-თქმათა ღვარძლსა და მედგრადვე, ღვთის
შემწეობით, აღორძინებს თავის სულში კეთილს-

კეთილზე. ღმერთი აძლევს თავ-დაბალს კაცს
მადლსა და ამ მადლის ძალით თავმდაბალი კაცის
გულში კვალად ჩნდებიან, მზგავსად მშვენიერი
და სუნნელოვანი ყვავილებისა, და ტკბილ ნა-
ყოფთა, წმინდა აზრები, გრძნობანი და კეთილი
საქმეები. რა დიდი ზნეობრივი ნაყოფიერების
ძალაა დაფარული თავ-მდაბლობაში! და რა უნა-
ყოფოა, ანუ უკვე ვსთქვათ, რა გვარი სულის
მომაკვდინებელ ნაყოფთა მოგვიტანს ამპარტავნება.

სულითა და გულით მსურს, ძმანო და და-
ნო, ოდესაც კავკასიონის უდიდეს მთებს უცქე-
რით, ფიქრობდეთ ზეციურზე და არა ქვეყნი-
ურზე, და მზგავსად მაღალ მთებზე მოგზაურობის
მოყვარეთა, დაუზარებლად მაღლდებოდეთ და
აღხვიდოდეთ მტკიცე ნაბიჯით ზნეობრივი გან-
ვითარების მათსა ზედა და მიაღწევდით ზეციურ
საუკუნო სასუფეველს, რომელიც მომზადებუ-
ლია ღვთისაგან მართალთათვის. არ დაგასუსტოთ
ცოდვებთან ბრძოლამ და მუდამ ესწრაფვებოდეთ
წარმატებას, უარ-ჰყავით ამპარტავნება, მომაკ-
ვდინებელი ზნეობრივი ცხოვრებისა, შეიყვარეთ
წმინდა თავმდაბლობა და ღმერთი, რომელიც
წინააღმდეგია ამპარტავანთა, ხოლო თავმდაბალ-
თა მისცემს მადლსა, გამოგაღებინებს თქვენ ნა-
ყოფს ღვთის სასუფევლისა და შეგიყვანსთ
თქვენ ზეციურ სასუფეველში.

სიტყვა,

**თქმული პირველად შემოსვლის დროს მცხეთის
სობოროში მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის
საქართველოს არხიეპისკოპოსის პავლეს მიერ
პირველ ოკდომბერს ჩყპბ წელსა.**

მცხეთაში, უწინდელი საქართველოის მეფე-
თა სატახტო ქალაქში ღვთის განგებით პირვე-
ლად მხვდება შენთან შეხვედრა, ღვთისაგან მო-
ნიჭებულო ჩემო ახალო სამწყსო! მცხეთის
სობოროში, ძველიდგანვე საქართველოის ხალხ-

თა წმიდათა საუნჯეში, პირველად ვასრულებ
ამ მხარეში საღმრთო ლიტურგიას და ვსწირავ
უსისხლო მსხვერპლს ქვეყნის სახსნელად, და
კერძოდ, მოსახსენებელად ჩემდა და შენდა ჩემო
სამწყსო. დიახ, მცხეთის მოციქულთა სობორო
მართლაც, რომ დიდი სახალხო წმიდა ადგილია
საქართველოისა. აი წმიდა სვეტი, რომელიც
გვიჩვენებს, სად იყო დამარხული უდიდესი სიწ-
მიდე ყველა ქრისტიანეთა – კვართი უფლისა. აი
ძველი სამეფო ტახტი ქართველთა მეფეთა,
რომელნიცა ამ წმიდა ტაძარში კიდეც დაგვირ-
გვინოსდებოდენ და, სიკვდილის შემდეგ, აქავე
განისვენებდნენ. აი ტახტი, რომელზედაც დას-
ხდებოდნენ ქათალიკოზები, უპირატესი მღვდელ-
მთავრები საქართველოისა. აი სასაფლაო და
სასაფლაოს ქვები, რომელთა ქვეშ განისვენებენ
საქართველოს მეფეების გვამები და იმათი შთა-
მამავლობა. და თვითონ მცხეთის სობოროც
დიდი და მშვენიერია, თუმცა დროთა ვითარებას
იმაზედაც დაუდვია თავისი ყოვლად შემუსრავი
ხელი. იგი დიდი და მშვენიერია და ემგზავსება
მშვენიერ მოხუცებულს, რომლის მოხუცებულ
სახეზე იხატება მისი ყმაწვილობის და ვაჟკაცო-
ბის დროის სილამაზე. დიახ, მცხეთის სობორო
დიდი სახალხო საქართველოს წმიდა ადგილია.
ყველა ესეები და ძველი დროის ნაშთები მაი-
ძულებენ, ახალო ჩემო სამწყსო, შენთან ერთად
მოვიხსენოთ ძველი დრო და მისწავოთ მით.

ბედი სამეფოთა მსგავსია თვითეული კაცის
ბედისა. თავის დროზე კაცი იბადება ქვეყანაზე,
თან-და-თან იზრდება, ეძლევა ძალა და ღონე
და ვაჟკაცდება; შემდეგ ბერდება და კვდება. კა-
ცის დიდიხნის ცხოვრება დამოკიდებულია მისი
ტანის ბუნების სიმრთელეზე და იმის ცხოვრე-
ბაზე. თუ კაცი შრომის მოყვარეა, მომთმენი,
სცხოვრებს ზომიერად, თუ ის ზნეობითად
მაღლა სდგას, მაშინ ტანის აგებულებაც, რომ
სუსტი ჰქონდეს მას, ხშირად სცხოვრებს დიდ-
ხანს; ბედნიერად და კმაყოფილად. წინააღმდეგ
შემთხვევაში ბოროტება, ზარმაცობა, მოუთმენე-
ლი და უწმინდური ცხოვრება მალე უსპობს

დროს თვით ჯან-მრთელი კაცის სხეულსაც. მაგრამ კაცი სიკვდილს ვერ დაემალება: ადრე თუ გვიან, ცოტა ანუ დიდიხნის სიცოცხლის შემდეგ კვდება კაცი. არაფერს ძალას, არაფერს მოხერხებას არ შეუძლია კაცი სიკვდილისაგან დაიხსნას. ყველა კერძო კაცის ცხოვრება ემზგავსება მთელს სამეფოთა ბედსა. თითქმის შეუნიშნავად ისტორიისა ჩნდებიან ხალხნი და სამეფონი, თან-და-თან დიდდებიან, ხან-დის-ხან ისეთი შეძლებული და დაწინაურებულიც შეიქნებიან, რომ დიდ მნიშვნელობას იძენენ და დიდი გავლენაც აქვსთ სხვა ხალხთა ბედზე და კეთილ დღეობაზე; მაგრამ შემდეგ უძლურდებიან, იხრწნებიან, იმგვრევიან და თავის შემდეგ სტოვებენ ნანგრევებს აღსადგენელად ახალთა სამეფოთა. სად არიან ეხლა ყოვლად შეძლებულნი სამეფონი ძველი დროისა, რომელთა დიდება და ძლევა მოფენილი იყო ქვეყანაზე? სად არის ფრიად შემძლე და მეზობელთა ხალხთა შემაძრწუნებელი ბაბილონი ნაბუქოდონოსორის მეფის დროისა? სად არის ერთ დროს ძლიერი სამეფო ასირია? ისინი განჰქრენ, დასტოვეს მხოლოდ ქალაქთა ნანგრევები და მათ ადგილზე თემები სცხოვრობენ სულ სხვა სახელებითა. სად არის სპარსეთის სამეფო, კირისა და დარიასი? სად არის ყოვლად შემძლე მაკედონის სამეფო, რომელმაც ალექსანდრე დიდის დროს კინაღამ მთელი ქვეყანა არ დაიპყრო? სად არის მსოფლიო რომის იმპერია? ყველა ეს სამეფოები დაეცნენ და უწინდელი სახით ვეღარ აღსდგებიან. ხშირად კი პატარა და სუსტი სამეფოები, გარე მოცულნი შემძლე მტრებთაგან, დიდი ხნობით ინახავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას, ვინემ დიდი და შემძლე სამეფონი. მაგალითი საქართველოა, რომელიც დიდ ხანს ებრძოლა თავის მტრებს, მაგრამ მერე მიღებულ იქმნა რუსეთის იმპერიის მფარველობასა ქვეშე, რომელმაც თავის შემძლე ორთავიან არწივის ფრთებ ქვეშ, როგორც ფრინველი ბღარტებთა, შეაერთა სხვა-და-სხვა ხალხები და იცავს მათ თავიანთი სარწმუნოებით, ჩვეულობით

და ენით... რაში მდგომარეობს მიზეზი, რომ ზოგი სამეფონი დიდ ხანს არსებობენ ქვეყანაზე და ზოგი ცოტა ხანს? ამის მიზეზი არის ისივე, რომლითაც წარმოსდგება ყოველივე კერძო პირის გრძელ, ანუ მოკლე ჟამიური სიცოცხლე – ხალხთა ზნეობითი მდგომარეობა. დიდ ხანს არსებობდნენ ის სამეფოები, რომლებშიაც მთავრობა იყო ძლიერი, რომლებშიდაც მთავრობა ითვლებოდა საღმრთოდ და ხელ შეუხებლად ქვეშევრდომთაგან და იყო მათგან შეყვარებული. გრძელ ჟამიერნი იყვნენ ის სამეფონი, რომლებშიაც ქვეშევრდომნი ერთ სულობით ზრუნავდნენ საზოგადო სიკეთისათვის, არ იყოფოდნენ ერთმანეთის, ანუ თავის მთავრობის წინააღმდეგ დასებად. გრძელ ჟამიერნი იყვნენ ის სახელმწიფონი, რომელთა ხალხი განსხვავდებოდა პატიოსნური ზნეობითა, პატიოსნებითა, შრომის მოყვარეობითა, მომჭირნეობითა და წესიური ცხოვრებითა, ჰკრებავდა და ინახავდა თავისი შრომის ნამყოფსა – ხალხის სიმდიდრესა. განსაკუთრებითი გრძელ ჟამიური ცხოვრებითა განსხვავდებოდნენ და განსხვავდებიან ახალი სამეფონი ქრისტიანეთა ქვეყნისა, რომელთა კანონმდებლობაში და ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად სდევს ქრისტეს ჭეშმარიტება და სჯული მაცხოვრისა, მარილი კაცობრივისა ცხოვრებისა, დამცველი ზნეობითის განხრწნისაგან. მაგრამ როდესაც სამეფოებში ატყდებოდა ურთიერთ შორის ბრძოლა, მტაცებლობა, გარყვნილება, დიდკაცური ცხოვრების სურვილი და ღალატობა, მაშინ ეღებოდათ მათ ბოლო, შაიქნებოდნენ ხოლმე მტრებთა ხვედრად და თვითონ მათი სახსენებელიც ისპობოდა საუკუნოდ. მხოლოდ სამეფონი, რომელთა ქვეშევრდომნი სცხოვრებდნენ ქრისტეს სჯულისა მებრ, თუმცა ჰკარგავდნენ თავის პოლიტიკურ დაუმოკიდებლობას და უერთდებოდნენ სხვა სამეფოებს, მაგრამ თავის სარწმუნოებას, ენას და ჩვეულებას ეს სახელმწიფონი იცავდნენ, როგორც დაიცვა ყველა ესეები საქართველომ, რომელიც ეხლა დიდი რუსეთის სახელმწიფოის ერთ სამფლობელოთაგანს შე-

ადგენს.

არ არსებობენ საუკუნოდ კაცთა სამეფონი, მაგრამ საუკუნოა ქვეყანაზე წესიური სამეფო – წმიდა ქრისტეს ეკკლესია. ეს სამეფო საუკუნოა; ის არას დროს არ დაიშლება, იმას არ ექმნება დასასრული. იგი საუკუნო სამეფოა, მიტომ რომ საუკუნოა მისი მეფე, საუკუნოა მისი თავი – უფალი იესო ქრისტე. საუკუნო მეფესთან მისი სამეფოც საუკუნო არ არის? უკვდავ თავთან, უკვდავი არ იქნება მისი ტანიცა – წმიდა ეკკლესია? საზღვარი წმიდისა ეკკლესიისა ცოდვათა მებრ შვილთა მისთა, შეიძლება, შემოკლდეს, შეიძლება მოშორდეს წმიდა მსოფლიო ეკკლესიას არა თუ მარტო კერძოობით მორწმუნენი, არამედ, შეიძლება, მოშორდნენ მთელი ადგილობითი ეკკლესიაცა, მაგრამ ქრისტეს მსოფლიო ეკკლესიასა ბჭენი ჯოჯოხეთისანიცა ვერ დასძლევენ და ვერ შემუსრავენ. წარსწყმდნენ მთელი ადგილობითი ეკკლესიანი აღმოსავლეთისკენ მწვალებლობითა. ამ ეკკლესიებთა ნანგრევებზე დამკვიდრდა მაჰმადის სწავლა თავისი გამხრწნელი ზნეობითა. დიდი რომის ეკკლესიაცა თავისი მორწმუნეებით მოშორდა მსოფლიო ეკკლესიის ერთობას, მაგრამ მსოფლიო ეკკლესია შეურყევლად იმყოფება და დარჩება სამუდამოდ სვეტად და ჭეშმარიტების დამამტკიცებლად (ა. ტომ. გ – იე.) და დარჩება უძლეველად ბჭეთაგან ჯოჯოხეთისათა ამა ქვეყნის დასასრულამდე; იმ დრომდე თავისი არსებობისა ქვეყანასა ზედა, სანამ საუკუნო ცხოვრებისათვის და ნეტარებისათვის არ აღზრდის საკმარისს ხალხს ყოველსა ადგილსა და მაშინ ამ მორწმუნეებით შევა ერთად საუკუნო დიდების სამფლობელოში. და არა მარტო გარეგანი სივრცე, დიდება, ძალა და შესამჩნევი სიბრძნე ადგილობითი ეკკლესიებთა არის მტკიცე წინდი იმისა, რომ ეს ეკკლესიები ცხოველნი წევრნი არიან მსოფლიო ეკკლესიისა. არა, მსოფლიო ეკკლესია იქ არის, საცა ადგილობითი ეკკლესიები ჭეშმარიტად ინახვენ სახარების სწავლას, შეუცვლელად იცავენ მოციქულების გარდმოცემას, სცხოვრებენ ქრისტიანობრივი სიყვარულითა,

სიმშვიდითა და თავ განწირულებითა. ეს ეკკლე-
სიები არიან აღმზრდელნი ხალხისა ზეციური
დიდებისათვის. ერთათ შეერთებითა იგინი შეად-
გენენ იმ საუკუნო სამეფოს, რომელსაც არ ექნება
დასასრული და როგორი სასიხარულოა, რომ
საქართველოს და დიდი რუსეთის ეკკლესია შე-
ადგენს მსოფლიო ეკკლესიის ნაწილსა, რომელ
იგი ჭეშმარიტის გზითა მიიყვანს შვილთა თვისთა
საუკუნო ნეტარებისადმი, განანათლებენ მათ გო-
ნებათა შეუცვლელი ქრისტეს ჭეშმარიტებრივითა
სწავლითა და სჯულითა.

აი როგორი მოფიქრებამდინ მიმიყვანა მე
ძველი დროის მოგონებამ, რომელიც დაბადა
ჩემში წმიდა მცხეთის ძველმა ნაშთებმა. როგორი
სწავლა უნდა გამოვიტანოთ ჩვენ ამ მოსაზრებათა
და მოგონებათაგან?

შავთა სამეფონი და ხალხნიცა არ არიან
საუკუნენი ქვეყანაზე, მაგრამ იგინი, შეიძლება,
შეიქნან გრძელ – ჟამიურნი, თუმცა მათი ცხოვ-
რება აღვსილი იქნება კეთილ-ზნეობითა. იგინი
გრძელ ჟამიერნი და ბედნიერნი იქნებიან, თუ
მათში მთავრობა ძლიერია და ნაკურთხი; თუმც
ყველა ქვეშევრდომნი ერთ სულობით ზრუნვენ
საზოგადო სიკეთისათვის და არ უღალატებენ
საზოგადო სამშობლოს; თუ მათ შორის სუფევს
შრომის მოყვარება, პატიოსნება, სიფხიზლე,
დამზოგველობა და ზნეობითი სიწმინდე. თუ ეს
თვისებანი ხალხთა და სამეფოთა შინა არ არსე-
ბობენ, იგინი წვალობენ და კიდეც იღუპებიან,
ხალხი რომელმაც არ იცის შრომის მოყვარეობა,
დამზოგველობა და არ იცის შეკრება და შენახვა
ხალხის სიმდიდრისა, რჩება მუდამ მოსამსახურედ
და მუშად ხალხთა, მათზე უფრო დამზოგველთა,
მდიდართა და გონებით გახსნილთა. ხოლო
ხალხნი და სამეფონი, რომელნიცა ზნეობითად
წვალობენ და ერთმანეთსა წინა აღუდგებიან,
იღუპებიან. ცხადია, რომ საქართველომ და დიდი
რუსეთის სამეფომაცა, რომლის ნაწილს ეხლა
საქართველო შეადგენს, თავისი სიკეთისათვის,
დღეგრძელობისათვის და კეთილ წარმატებისა-
თვის ყოვლის ღონის ძიებითა უნდა შეიყვარონ

თავიანთი უავგუსტოესო ხელმწიფე და თავისი სამშობლო, პატივსა სცემდნენ რა უფლებათა ყველგან, დაემორჩილონ მართებლობის წარმომადგენელთა პირთა, ერთად იზრუნონ საზოგადო სიკეთისათვის და აღმოფხვრან თავიანთ შორის ყოველივე უკეთური და უღირსი, იყონ შრომის მოყვარენი, დამზოგველნი, დაიცვან ზნეობითი სიწმინდე და იზრუნონ ხალხთა სიმდიდრის შეკრებისათვის. ასე თე მოიქცევიან ისინი, არამც თუ არ შეიქნებიან სხვა ხალხების მუშად და მოსამსახურედ, არამედ შეიქნებიან შემძლე, მდიდარი და ბედნიერ ხალხად.

ქვეყანაზე ერთი საუკუნო სამეფოა – მსოფლიო ეკკლესია. მსოფლიო ეკელესია იქ არის, სადაც ადგილობითი ეკკლესიები იესო ქრისტეს ჭეშმარიტებას შეუცვლელად იცავენ და სცხოვრებენ ქრისტეს სჯულისა-მებრ. იქ, სადაც ქრისტეს ჭეშმარიტება შეუცვლელად არსებობს და ხალხთა ცხოვრება მიმდინარეობს სჯულისა მებრ ქრისტესა, იქ ხალხი წესიერად აღიზრდებიან საუკუნო ნეტარებისათვის. ამ საუკუნო ნეტარებისთვის ამზადებს ხალხს წმიდა მსოფლიო ქრისტეს ეკკლესია. რადგან მსოფლიო ეკკლესია საიმედოდ ამზადებს ხალხს ნეტარებისათვის. ამიტომ ჩვენ ყველა გულითად ვმადლობდეთ უფალსა ღმერთსა, რომელმაც ღირს გვყო შვილად წოდებისა წმიდა ქრისტეს ეკკლესიისა, ამიტომაც თანამდებ ვართ ვიცხოვროთ განუშორებლად წმიდა ეკკლესიისათანა, ვიყვნეთ მისი სრულნი წევრნი და შვილები, დავიცვათ და აღვიაროთ შეუცვლელად ჭეშმარიტება ქრისტესი, ვიცხოვროთ ქრისტეს სჯულისა მებრ, აღვასრულოთ სჯული და წესდებულება ეკკლესიისა და ამ სახით აღვიზარდნეთ სასუფეველისათვის. ვინც ასე იცხოვრებს და მოიქცევა, იგი დაიმკვიდრებას ზეციურსა სასუფეველსა.

საქართველო! შენ გიყვარს წოდება ღვთისმშობლის მხვედრად. მართლაც, შენ მისი მხვედრი ხარ. გარნა ეს პატივის ცემა და დიდი ბედნიერება ღვთის-მშობლის ხვედრად წოდებისა დასდებენ შენზე დიდ მოვალეობასა და დიდ პასუხის გება-

საცა. ღვთის-მშობელი ყოვლად წმიდაა. ის ერთ დრომდე უთმენს და სწყალობს ცოდვილთა, მაგრამ ცოდვას არ ითმენს და მუდამ ცოდვათა შინა მყოფთა ცოდვილთაგან უკუ იქცევა. დღეს ჩვენ ვიხსენიებთ ღვთის-მშობლის მფარველობის დღეს, რომელმაცა ერთ დროს ვიზანტია მტრე-ბისაგან დაიცვა, ის ვიზანტია, რომელშიაც იყო გავრცელებული ქრისტიანობა და რომელსაც სასწაულებრივითა სახითა იხსნიდა ხოლმე მტრე-ბთაგან. მაგრამ ვიზანტიამ თავისი ცოდვითა დაჰკარგა ღვთის-მშობლის სიყვარული და ერთ დროს დიდებული სატახტო ქალაქი რომაელთა და ბერძენთა მეფეთა შეიქმნა მუსულმანების ხვე-დრად. ასე საზარელია მღვთის-მშობლისათვის ცოდვა იმათიცა, ვინც მას ერთ დროს უყვარდა. იზრუნვე საქართველო, რომ დაშთე ღირსად ღვთის-მშობლის ხვედრად წოდებისა; იზრუნვე დაცვად მისი მოწყალებისა და სიყვარულისა ჭეშმარიტი სარწმუნოებითა, კეთილ მსახურებითა ცხოვრებითა, კეთილად დღესასწაულებთა დროს გატარებითა, რომ შენი ცუდი მოქმედებით არ შეურაცხჰყო დღესასწაულთა სიწმიდე. მხოლოდ ამ პირობით იქნება შენზე მოწოდებული ყოვ-ლად შემძლებელი საფარველი ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობელისა.

დასასრულ შევევედროთ მეფესა მეფეთასა და უფალსა უფალთასა – იესო ქრისტესა და ყო-ვლად წმიდასა დედასა მისსა, რომ მათ დაგვიცვან ჩვენ ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა და კეთილსა მსახერებასა შინა და შეგვეწიონ იგინი, რათა ერთ სულობით ვიშრომოთ წმიდა ეკკლესიის სასიკეთოდ და სასარგებლოდ მხარისა ამის და საზოგადო ჩვენისა სამშობლოისა – რუსეთისა, ნივთიერად და სულიერად აღორძინებისათვის და შემდეგ კეთილ შრომისა ქრისტიანულსა ჭეშმარიტსა ცხოვრებასა შინა მოგვანიჭოს ჩვენ საუკუნო ზეციური გვირგვინი. ამან.

სიტყვა,

თქმული არხიეპისკოპოსის პავლეს მიერ თფილისის სიონის სობოროში ახალი სამწყსოსადმი 2 ოკდომბერს 1882 წელსა.

ჩემი ახალი სამწყსო, რასაკვირველია, როგორც ახლის თვისის მწყემსთ-მთავრისაგან, მოელის სიტყვას და ამ შემთხვევაში მისი მოლოდინი და მოთხოვნილება კანონიერია-ცხოვრების გამოცდილება და ქრისტეს იგავი მწყემსზე (იოან. ი, ა - ივ) ცხადად გვიჩვენებს ჩვენ, თუ რამდენათ ძნელია უენო ცხოვართა კეთილ მწყემსად ყოფნა, თუ არ გააგონებ მათ შენს ხმას, არ უწოდებ მათ თავიანთ სახელს და თუ არ მიაჩვევ მათ შენის ხმის მორჩილებასა. უმეტესად საჭიროა ხალხთა მწყემსისაგან, რომ მან თავისი სიტყვით იმოქმედოს თავის სამწყსოზედ... ამიტომ მე, განსაკუთრებით პირველს თქვენთან შეხვედრაზე უნდა გითხრათ რამე. მაგრამ რა გითხრა შენ, ჩემო ღვთისგან მონიჭებულო ახალო სამწყსო?

კადნიერებით გეტყვი შენ, რომ მე მოვედი კარით ეზოსა შინა ცხოვართა ამა ქვეყნისა და არა სხვით კერძო (იოან. 10. 1); შემოვედი, როგორც ჭეშმარიტი მწყემსი, მოწოდებული უფლისაგან დამწყსვად აქაური ქრისტეს სამწყსოისა. არ ვეძიებდი მე საქართველოს სამწყსოს, რადგან კანონი ჩემი ცხოვრებისა არის, არა ვეძიო რა, არამედ ჩემი მომავალი ბედი და მოქმედება მივანდო ყოვლად სახიერი უფლის განგებულებას... არ მიძებნია და არც მსურდა სხვა რომელიმე ახალი სამწყსო, მიტომ რომ მე მხურვალედ მიყვარდა ჩემი დაუვიწყარი ბესარაბიის სამწყსო და მისგანაც ნაცვლად ჭეშმარიტად ვიყავი შეყვარებული... მხოლოდ დავემორჩილე ეკკლესიის თავის – ქრისტეს ნებას, რომელიც გამომიცხადა მე ღვთისგან მირონცხებულმა – ქვეყნის მეფემ; – დავსტოვე მე ბესარაბიის სამწყსო და მოვედი ამ ღვთის-მშობლის

ხვედრს ალაგას – საქართველოს ეკკლესიის სა-
მფლობელოსა შინა.

სულით და გულით მსურს, რომ მე შევიქმნე
კეთილი მწყემსთ-მთავარი ახალის სამწყსოსი.
ვსთხოვ ღვთაებრივს მწყემსთ-მთავარს – ქრის-
ტეს, რომ არ შემრიცხოს მოჯამაგირედ, რო-
მელიც ჯოგის რძით იკვებება და მისი თმით
იმოსება და კეთილ საძოვარზე ცხოვარნი თვისნი
არ დაყავს და იხილოს რა მომავალი მგელი და
რამე უბედურება თავისა თვისისა და ცხოვართა
თვისთა, სტოვებს მათ და გარბის... არა, მე
ვევედრები უფალსა, რომ მან მყოს მე კეთილ
მწყემსად თვისთა ცხოვრთა, რომ მეზრუნოს
მის სიკეთისთვის და მზად ვიყო, დავსდვა ჩემი
სიცოცხლე ცხოვარა-თვის (სტრიქ. ია – იგ).

სულით და გულით მსურს მე, რომ თქვენ,
რაც შეიძლება მალე, შეეჩვიოთ ჩემს მწყემს-
მთავრულ ხმას, ისმენდეთ მას, ჩემს ხმაზე იაროთ
და იმოქმედოთ და არ გაუგონოთ ქურდთა და
ავაზაკთა. ეს მე მით უმეტესად მსურს, რომ მე
ვეცდები ჩემი ხმა მივამზგავსო ღვთაებრივი
მწყემსთ-მთავრის ხმას, – მორჩილს და მიმფერე-
ბელს სულიერთა კეთილთა ცხოვართა, ხმას,
მოწყალეს და შემბრალეს უძლურთა ცხოვართა
და ავათ მყოფთა, ხმას, მრისხანეს არა მორჩი-
ლთა ცხოვართა და, განსაკუთრებით, მგელთა-
თვის, – მტერთა ქრისტეს სამწყსოისა.

გულითა მსურს, რომ ახლავე გიცნობდეთ
ყველას როგორც შეშვენის კეთილ მწყემს ყო-
ველივე თქვენი საჭიროებითა და თვისებეებითა
და გიწოდეთ თქვენ თავიანთი სახელით, მაგრამ
ღვთაებრივი მწყემსი – ქრისტე არის სრული,
მან, გულთა-მხილავმა, სრულებით იცის თავის
სამწყსო და უწოდებს მას თავისის სახელითა.
ხოლო მე ეხლა ძალიან მცირე თქვენთაგანს
ვიცნობ სახელობით. რასაკვირველია, არასოდეს
არ შემიძლია შევიტყო სახელი ჩემის მრავალ
მილიონ სამწყსოისა, რომელიც მე, უღირს და
უძლურს, ჩამაბარა სამართავად უფალმან. მე
ბედნიერი ვიქნები, თუმც ჩემი ხელქვეითი მწყე-
მსნი, რომელნიც მწყსიან პატარა სამწყსოებს,

იქმნებიან კეთილი მწყემსნი, ეცოდინებათ თავისი ცხოვარნი და, როგორც თვითონ თავის თავად, აგრეთვე ჩემთა თანამოძმეთა – ეპისკოპოსების საშუალებით, ნამდვილად შემატყობინებენ მე ჩემთა ცხოვართა საჭიროებას და შემეწევიან მე, რომ, შეძლების დაგვარად, ვემსახურო სასიკეთოდ ქრისტეს სამწყსოს.

გულით მსურს მე, რომ წაგიძღვეთ თქვენ და მსახურება ჩემი იყოს თქვენთვის მაგალითად სარწმუნოებისა და კეთილ-მსახურებითი ცხოვრებისა. და შემეწიოს მე ამაში უფალი!.. მე რომ კიდეც, ჩემი უძლურებისა გამო, ცხოვრებაში ზნეობითად ჩამოგრჩეთ უკან, ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ჩემმა უძლურებამ დაგაბრკოლოს თქვენ მისწრაფებად უმაღლეს სისრულემდე. მაშინ მე ნუ კი შემხედავთ, მე ნუ კი გამომყვებით უკან, არამედ მიხედეთ სარწმუნოებისა ჩვენისა წინამძღვარსა და სრულებისა მომქმედსა იესოს (ებრ. იბ. ბ), რომელიც არის სამების გზა ყოველთა ჩვენთათვის და პირველი სახე ჩვენი.

გულით ვისურვებ და ვეცდები მოგიყვანოთ თქვენ კეთილსა და სულიერსა საძოვარსა, აღვსილსა სულიერთა საჭმელთა და სასუმელთა თქვენთათვის. რა საძოვარია ეს? ეს არის, პირველად, ეკკლესია ქრისტესი ქვეყნად, რომელიც სავსეა გამოულეველი სავსებითა და სიმდიდრითა, დაცულია მასში ღვთის მადლითა. ამ სასულიერო საძოვარზე მსვლელობის დროს, მე წარგიძღვებათ თქვენ საძოვარსა ზედა, სავსესა ყოვლითა სულიერითა კეთილითა. აქ თქვენ ნახავთ. სავსებით თესლსა სიტყვისა ღვთისასა (ლუკ. Ⴓ, ია). – უმშვენიერეს სულიერს საზრდოს თქვენი გულისათვის და გონებისათვის, აქ თქვენ ნახავთ ცხოველსა წყალსა სიტყვისა ღვთისასა, სასმელს შეწუხებულთა ჭეშმარიტებისათვის და სულის გამაგრილებელის შეწუხებულთა ცუდი გულის თქმათა და უბედურებით და შრომით დასუსტებულთა... აქ თქვენ ნახავთ უმაღლეს სიტყვისა ღვთისა ცხოველ-მყოფელთ საზრდოსა – ხორცსა ქრისტესა და უსრულეს სასუმელსა – ცხოველმყოფელსა სისხლსა ქრისტესა. რომელი სჭა-

მდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, რქვა უფალმა, აქვნდეს ცხოვრება საუკუნო და მე აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა (იოან. ვ. ნდ). აქ ღვთის ეკკლესიაში, გვესმის ჩვენ, ღვთის სჯულში, ღვთის ნება, რომლის აღსრულებასაც უფალი იესო ქრისტე სთვლიდა თავის საზრდოთ. ჩემი ჭამადი, სთქვა მან, არს, რათა ვყო ნება მომავლინებელისა ჩემისა და აღვასრულო საქმე მისი (იოან. დ, ლდ). აქ ქრისტეს ეკკლესიაში, არის მადლიანი ჰაერი, რომელიც ნამდვილი ნიშია ცხოვართა სულიერი სიმრთელისა. ვითარი კეთილი სულიერი საძოვარია – ქრისტეს ქვეყნიური ეკკლესია... და საძოვარი ესე მით უმეტესად უძვირფასესია, რომ მისი საშუალებით ჭეშმარიტნი მორწმუნენი შევლენ მეორეს, კიდევ უკეთესს საძოვარში – ზეციურ ღვთის სასუფეველსა, ზეციური მამის სამფლობელოსა შინა, სადაც მორწმუნენი ჰპოებენ სრულ დაკმაყოფილებასა ყველა თავის მოთხოვნილებათა და სრულს ხალხისათვის მისაწდომელ ნეტარებას.

რა გზით უნდა წავიდეთ ჩვენ ამ სულიერი საძოვრისადმი? გზა იმათკენ არის ერთი – ქრისტე. მე ვარ გზა და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხოვრება. არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ (იოან. იდ–ვ), სთქვა უფალმა თავის თავზე. ჩვენ წავიდეთ სულიერ საძოვრისადმი იმ გზით, რომელიც გვიჩვენა ჩვენ სიტყვით და მაგალითით ღვთაებრივმა მწყემსთ მთავარმა – ქრისტემ.

ეს გზა არის გზა სინანულისა და განახლებისა. შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა (მათ. დ, იზ); ასე დაიწყო თავის მაცხოვარებითი ქადაგება უფალმა. გზა მონანებისა და განახლებისა არის გზა არა სასიამოვნო და მძიმე თავის მოიმედე და თავის მოყვარე ჩვენის ცოდვილის ბუნებისათვის, რომელსაც არა სურს განახლება, მაგრამ ეს გზა უსაჭიროესია მათთვის, რომელნი ეძიებენ სულიერსა საძოვარსა. ვინც არ მოინანიებს, არ განახლდება, არა აქვს უფლება შევიდეს სასულიერო საძოვარსა შინა – ქრისტეს ეკკლესიაში; მასში არაფერი უწმინდუ-

რი არ უნდა შევიდეს. და კიდეც რომ შევიდეს, ვერ ნახავს სულიერი საზრდოის და სასმელის სიტკბოებასა, რომლითაც სავსეა სულიერი საძოვარი. როგორც ღორთა დასთრგუნონ მარგარიტები ფერხითა თვისთა (მათ. ზ, კ) – აგრეთვე განუახლებელი კაცი ვერ დააფასებს სულიერთა საუნჯეთა, რომელიც დაცულია ეკკლესიასა შინა და რომელიც მიენიჭებათ მორწმუნეთა, მაგრამ განუახლებელი კაცი უკუაგდებს მათ. ცოდვილი კაცი არ მიიღებს მას, რაც სულისაგან ღვთისა არს, ამისათვის, რომ იგი ამას რაცხს უგნურებად და არ შეუძლია გაგება, რადგან ამისთანა საგნებზე სულიერად უნდა სჯიდნენ (ა – კორ. ბ, იდ).

სულიერი საძოვრის გზა არის მძიმე და ძნელი ჩვენი ცოდვილი ბუნებისათვის, ძნელია ასვლა იმ ზნეობითი სისრულემდის, რომელიც ნაჩვენებია ქრისტეს მცნებათა შინა – ნეტარებაში. ეს არის გზა სულიერი სიგლახაკისა, სიმშვიდისა, რომელიც მშვიდთა ღირს ჰყოფს შესვლად ზეციურს სასუფეველში; ეს გზა – არის გზა სულიერი შემუსრვილებისა ცოდვათათვის, რომელიც დაჯილდოვდება ზეციური ნუგეშის ცემითა; გზა სიმდაბლისა, რომელთა კაცი დაიმკვიდრებს ქვეყანასა, გზა სიმშილისა და წყურვილისა სიმართლისათვის, რომლისთვის უფლისაგან იგინი განსძღენ. ეს მოწყალების გზაა, რომლითაც კაცი სამუდამოდ იქნება შეწყნარებული ყოვლად მოწყალესაგან. გზა გულის სიწმინდისა, რომელსაც აღთქმული აქვს ღვთის პირის-პირ ხედვა; გზა მშვიდობის ყოფნისა, რომელიც აძლევს მშვიდობის მყოფელთა ნებას, რათა წოდებოდნენ ძედ ღვთისად; გზა კეთილ მოთმენისა დევნილთა და შეურაცხყოფილთა ქრისტესა და მისი სიმართლისათვის; გზა მიმყვანი დიდია სასყიდელთადმი ცათა შინა (მათ. ე, გ – იბ), გზა მძიმე და მასთანა სასურველი, რადგან იგი არის გზა მაცხოვნებელი.

გზა სულიერი საძოვრისა არის გზა თავის მოძულებისა, მოთმინებისა და შედგომისა ქრისტესადმი, რომელმან არ აღიღოს ჯვარი თვისი

და არა შემომიდგეს მე, ვერ ხელმწიფების მო-
წაფე ყოფად ჩემდა (ლუკ. იდ, კზ), სთქვა უფალმა.
შეუწირველად თავისა თვისისა და ჯვარის აუღე-
ბლად მაგალითისა-მებრ ქრისტესა, არავის არ
შეუძლია შესვლა სასუფეველსა ღვთისასა. გან-
დგომილთათვის ჯვარის ზიდვისა და წაწყმედუ-
ლთათვის სწავლა ქრისტესი, როგორც ჯვარე-
ბრივი სიტყვა არის სიცოფე (კორ. ა, იჱ).
ჯვარცმული ქრისტე მათთვის, როგორც ური-
ათა, არის საკთური და წარმართათვის სისულე-
ლე (სტრიქ. კგ). განა ისინი არ უარ-ჰყოფენ
სულიერს საზრდოს და სულიერს სასმელსა –
სიტყვასა ღვთისასა, ჯვარცმის სიტყვასა? განა
მათ მისცემენ ნებას მათი გულის თქმანი აღა-
სრულონ სჯული ქრისტესი – სჯულის სიყვარუ-
ლობისა, სიწმინდისა და უმანკოებისა? მხოლოდ
ჩინებულია ურიათა და წარმართთათვის ქრისტე,
ღვთის ძალა არს და ღვთის სიბრძნე (სტრიქ.
კდ). მხოლოდ ისინი მიეშურებიან ქრისტეს
საძოვრისადმი.

გზა სულიერისა საძოვრისადმი არს გზა
სულიერი და ზნეობითი ფერისცვალებისა, –
მთელის თავის ღონის და ძალის შეწირვისა
ჯვრის-აღებისათვის. თვითეული მოსურნე ცხო-
ნებისა თანამდებ არს აღვიდეს თავის თაბორსა-
ზედა, რომელიც ეგრე ცხადი და დიდებული
არ იქნება, როგორც თაბორი ქრისტესი, მა-
გრამ, რომელიც მდგომარეობს კაცის სულიერს
გამოცვლაში. თვინიერ ამა ფერის-ცვალებისა
არა შესაძლებელ არს შესვლა ქვეყნიური ეკკლე-
სიის საძოვრიდამ ზეციურსა სასუფეველსა შინა
(ლუკ, თ, კჱ – ლვ).

გზა სულიერი საძოვრისადმი არს გზა თავის
მოკვდინებისა ცოდვათა თვის და აღდგომისა
სულიერი კეთილი ცხოვრებისათვის. ისინი,
რომელნიც ქრისტესნი არიან, უნდა ჯვარს
აცვან ხორცნი თვისნი ვნებითურთ და გულის-
ხმითურთ (გალატ. ე, კდ). ყველამ უნდა გაი-
არაოს თავის გეთსამანია, ქვაფენილი და და გოლ-
გოთა (მათ. კვ. ლვ – მვ; კვ, მვ – ნ). მხოლოდ
სულიერი გოლგოთის შემდეგ და ცოდვათათვის

თავის მოკვდინებისა იქნება აღდგომა მართალი ცხოვრებისათვის და შემდეგ აღდგომა და ამაღლება ზეციური ნეტარებისათვის.

აი ასეთია, ძმანო და დანო, გზა სულიერი საძოვრისადმი. გზა ძნელი, მძიმე, მაგრამ აუცილებელი, რადგან ის ერთად ერთი გზა არის, მიმყვანებელი სულიერი საძოვრისადმი. სხვა ცხოვრების გზებს, რომელნიც ქრისტესაგან არ არიან ნაჩვენებნი, მიჰყავთ კაცი ცუდს და დამღუპველს ალაგას და თუ ამა გზებით ვივლით, შევიქნებით წაწყმედილი ცხოვრად, დავიღუპებით სულიერი შიმშილითა, ანუ ჩაუვარდებით პირში სულიერს მგელსა, ეშმაკსა, რომელიც, როგორც მყვირალი ლომი, დადის და ეძებს, ვინ შთანთქას (ა, პეტ. ე, 8). გზა ცხონებისადმი ძნელია, მაგრამ არც ასე ძნელია მითი სიარული. ამ გზით მიჰყვნენ ქრისტეს წმიდანი მოციქულნი, კრებული წმიდათა და მოწამეთა, მორჩილი და ბრძენი მეფენი და დედოფალნი, კეთილ-მსახურნი თავადნი, სხვა-და-სხვა მოსამსახურეთა და საზოგადოებათა პირნი სხვა-და-სხვა ჰასაკისა და სქესისა. არ მიგვიყვანს განა ჩვენც ამ გზით ზეციურს სასუფეველში უფალი ღმერთი, თუმც ჩვენ წინა არ აღუდგებით ამ მსვლელობას, არამედ კეთილ მორჩილებით შეუდგებით მას? წავიდეთ ყველანი ერთად და გაბედვით საცხოვნებლად იმ გზით, რომელიც გვიჩვენა ჩვენ ქრისტე მაცხოვარმა!

ჩვენ ეკკლესიის მწყემსნი, თანამდებ ვართ ვიდგეთ თავში ამ მაცხოვრებითი გზაზე მსვლელობის დროს, – თანამდებ ვართ სიტყვით და ჩვენის ცხოვრების მაგალითით ვხელმძღვანელობდეთ სამწყსოთა ჩვენთა ცხოვნებისადმი.

და თქვენ, სამწყსო, აი რას გასწავებსთ მოციქული პავლე: დაემორჩილენით წინა-მძღვართა თქვენთა და ურჩდით მათ, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქვენთათვის, ვითარცა იგი სიტყვა მისცენ, რათა სიხარულით ამას ჰყოფდნენ და არა სულ ითქმიდნენ, რამეთუ არა ადვილ არს ესე თქვენდა.

ღვთაებრივმა მწყემსთ მთავარმა ქრისტემ

და მიგვიყვანოს ჩვენ ყველანი თავის ზეციურსა
სასუფეველსა შინა და მოგვანიჭოს ჩვენ სიხარუ-
ლი ხილვად მისა და სმენად ტკბილისა მის ხმისა
და ღირს გვყოს ჩვენ პატივისა და დიდებისა,
რათა წოდებულ ვიქმნეთ მისგან თვითეული
ჩვენთაგანი სახელითა ამინ.

შესხმა

**თქმული საქართველოს ესქარხოსის მაღალ
ყოვლად უსამღვდელოესის პავლეს მიერ გენე-
რალ ადიუტანტის მ. დ. ორბელიანის წესის
აგების დროს 23-ს მარტს 1883 წელსა.**

მოვედით, უკანასკნელი ამბორი
მივსცეთ, ძმანო, გარდაცვალებულსა,
და ვმადლობდეთ ღმერთსა.

როდესაც ჩვენი მახლობელი და ძვირფასი
კაცი გაემგზავრება შორს გზას, მაშინ ჩვენ ყვე-
ლანი, – ნათესავნი, მეგობარნი, ნაცნობნი, – გა-
ვაცილებთ მასს: გზაზე სხვა-და-სხვა სურვილის
გამოცხადებით. ძვირფასს მოგზაურთან გამო-
თხოვების დროს ჩვენ მოგვაგონდება ყოველის-
ფერი: მოგვაგონდება, თუ რა იყო ჩვენთვის იგი,
– მოგვაგონდებიან მისი კეთილნი თვისებანი,
მუსაიფი, მისი საქმენი და აგრეთვე მასთან ტკბი-
ლად დროს გატარება. გამოთხოვების დროს
მწუხრებით ვგრძნობ მეგობრის დაშორებას
და მოკლებას. ამასთანავე გამოითქმება მრავალი
კეთილი სურვილი მოგზაურისათვის: სურვობენ
მისთვის, რომ უცხო ქვეყანაში ღმერთმა დაიხსნას
ის ყოველისფერი გაჭირვებისა, მწუხარებისა და
განსაცდელისაგან და მიანიჭოს მას ბედნიერი
და კეთილი ცხოვრება. მით უმეტესად არ უნდა
ვისურვოთ ჩვენ ძვირფასი კაცისათვის კეთილი,
როდესაც ის ჩვენ გვშორდება საუკუნოდ ამ
ცხოვრებაში და ისწრაფის საუკუნო ცხოვრები-
სადმი, რომლისაგან არ ბრუნდებიან ამ ქვეყანაში?
უფრო უმეტესად არ უნდა ვისურვოთ, ძმანო

და დანო, კეთილი ძვირფასი განსვენებულის
მონისა ღვთისა თ. გრიგოლისათვის? მოშორე-
ბული ამ ქვეყნიდგან, ის გვიტოვებს ჩვენ ძვირ-
ფასს მოგონებათა და სამწეხარო მოკლებას,
რომელსაც ჩვენ ყველანი ვგრძნობთ მისი და-
კარგვით. განა საიდუმლო მოგზაურობასა შინა
საუკუნო ცხოვრებისადმი არ საჭიროებს იგი ჩვენს
ლოცვასა, რათა შევიდეს იგი სამოთხესა და დაი-
მკვიდროს მან სასუფეველი ცათა? – მოვედით
უკანასკნელი ამბორი მივსცეთ, ძმანო, გარდაცვალე-
ბულსა. ტაძარსა შინა ღვთისასა ყოველივე მო-
გვაგონებს ჩვენ, რომ ერთი მხოლოდ ღმერთი
არის დიდი, განუსაზღვრელად დიდი, ყოვლად
სრული, ყოვლიდ ქებული და ყოვლად დიდე-
ბული და ამიტომ როგორ უნდა გაბედოს კაცმა
ქების გამოთქმა კაცისა? ღვთის წინაშე, ერთისა
მხოლოდ დიდისა, ყოველივე არა რაი არს: არა
რაი არს მისს წინაშე ქერანიმნი და სერაფიმნი;
არა რაი არიან ღვთის წინაშე უმაღლესნი მარ-
თალნი და უძლიერესნი კაცნი. ღვთის წინაშე
ყოველივე ქმნულება არა რაი არს; როგორც
წვეთი წყლისა – უღრმეს ზღვასთან და ერთი
პატარა ქვიშა – მთელ ქვეყნიერებასთან. რა ვართ
ღვთის წინაშე ჩვენ კაცნი ჩვენი დამსახურებით
და დიდებითა? როგორ უნდა გავბედოთ ჩვენ
ქება კაცისა მის წინაშე? მაგრამ, მეორეს მხრით,
როგორ არ უნდა მივსცეთ ჩვენს თავს ნება და
არ გამოვსთქვათ ჩვენი გულის გრძნობანი? რომ
წმიდათა შორის არ იყოს საკვირველ თვითონ
ღმერთი, რომ ბუნებითი ნიჭი კაცისა არ იყოს
ღვთისგან მონიჭებული; რომ დიდება და მოქმე-
დებანი კეთილთა კაცთა არ იყონ ღვთის სადი-
დებლად, რომლის ძალითა ჩვენ ვასრულებთ
ყოველსა კეთილსა, მაშინ ჩვენ ვერ გავბედავდით
ღვთის ტაძარში ქების გამოთქმას კაცთა. ვინა-
იდგან ჩვენ ვიცით, რომ დიდი ნიჭით და კეთი-
ლი საქმეებითაც, უმეტეს ამაების მექონისა კაცისა,
იდიდება ღმერთი – მიმნიჭებელი კაცთადმი ყოვე-
ლისა კეთილისა, ამიტომ ჩვენ კადნიერებით გა-
მოვსთქვამთ ხოლმე მომაკვდავი კაცის ქებასაცა,
განსაკუთრებით კეთილი ქრისტიანისასა.

განსვენებული მონა ღვთისა თავადი გრიგოლი უხვად იყო დაჯილდოვებული ღვთისგან სხვა და სხვა ნიჭითა. ღმერთმა მიანიჭა მასს მამაცი გული მხედრისა. ღმერთმა მიანიჭა მასს სიბრძნე, რომლითაც ის შეიქმნა ბრძენი და კეთილი მმართველი. ღმერთმა შთაბერა მასს პოეტური ნიჭი, რომლითაც ის ტკბილად აღელვებდა კაცის გულთა, აღვიძებდა მათში კეთილ და წმიდა გრძნობათა და მიმართულებათა და, თავის სურვილისა მებრ, როგორც ამბობენ, ის ხან ახარებდა და ხან ატირებდა მკითხველთა. ღმერთმა მიანიჭა მასს გრძელ-ჟამიური სიცოცხლე, შემკული დიდებული და კეთილი საქმეებითა. ის უკვე მსახურებდა, როცა უხუცესნი ჩვენთაგანი კიდევ დაბადებულნი არ იყვნენ, და ემსახურებოდა ის კეთილად, ასე, რომ მისს სამსახურს აფასებდნენ გვირგვინოსანნი და პატივსა სცემდენ მისი თანა მოსამსახურენი, რომლებშიაც აღძრავდა პატივის ცემის და მადლობის გრძნობას, ვის სასარგებლოდაც უმთავრესად მიმართული იყო მისი სამსახური, დიდება ღმერთსა ყველა ამისათვის. დიდება მასაც, ვინაც მიწაში არ დამალა ღვთისაგან მინიჭებული ნიჭი, არამედ მოიხმარა იგი საქმეში, – დიდება პატიოსანს და საზოგადოებისთვის კეთილის მოქმედსა, – განსვენებულს თავადს გრიგოლსა.

გარნა საიდუმლო იმ არა ჩვეულებრივი სიყვარულობისა, რომელსაც განსვენებული აღძრავდა ყველა პირთა შორის, ვისაც რამე დამოკიდებულება ჰქონდა მასთან, იპოვება არა ამ თვისებათა და საქმეთა შინა, არამედ მიზეზი ამა სიყვარულისა სულ სხვაა.

ხან-და-ხან უფალი მოგვივლენს ჩვენ ცოდვილ ქვეყანაზე განსხვავებულთა პირთა, მომხიბლავი ზნეობითი თვისებითა, აგებულობითა და განსაკუთრებითი სულიერი ბეჭდითა, რომელნიცა უნებლიედ მიიზიდვენ ყოველთა. ამისთანა პირები ყველგან, სადაც კი ისინი გამოცხადდებიან, მოჰფენენ ხალხში სიცოცხლეს, მშვიდობას და სიყვარულსა. ისინი რაღაცა მომხიბლავი ძალით ამშვიდებენ და აწყნარებენ გაბო-

როტებულთა და განრისხებულთა პირთა; ისინი, ცოტა ხნობით მაინც, ამყარებენ სიყვარულს იმისთანა გადამტერებელთა პირთა შორისაც, რომელთა გულსა ხრწნის შური და მტერობა და ამით ისინი ამყარებენ კაცთა შორის ნიადაგ სიყვარულობასა. ისინი იმყოფებიან ნიადაგ განსაცდელში, მაგრამ განსაცდელი არ ეხება მათ. ისინი ღირსი შეიქმნებიან დიდებისა და პატივისა; მაგრამ მათი დიდება და პატივი არ აღძვრენ სხვათა შორის შურსა და მტერობასა.

ეს ნიჭი ზოგიერთთა რჩეულთა – სხვათა მიზიდვისა არის უდიდესი ნიჭი ღვთისა, რომელიც გარდმოევლინება არა მრავალთა. თვით ეს პირები – განსაკუთრებითი ღვთის ნიჭია ქვეყნისათვის. ამისთანა პირების ნამდვილი წარმომადგენელი იყო წმიდა მოციქული და მახარებელი იოანნე ღვთის მეტყველი. შეყვარებული მოწაფე ქრისტესი. ზნეობითად ის უმეტესი არ იყო თავთა მოციქულთა – პეტრეს და პავლესა; ის ზნეობით ნაკლები იყო წინა-მორბედზე და ნათლის მცემელზე იოანნეზე, რომელზედაც თვით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ რქვა: „არა აღდგომილ არს ნაშობთაგან დედათა უფროს იოანნე ნათლის მცემლისა“ (მათ. ია – ია). მაგრამ მას უფროს ყოველთა ქრისტიანეთა პირთა შორის ჰქონდა ნიჭი, შემაყვარებელი ყოველთა პირთა. ის – საყვარელი მოწაფე ქრისტესი, მიეყრდნო მკერდსა უფლისა იესოსა; – და ეს უდიდებულესი პატივის ცემა – მიყრდნობა მკერდსა ზედა კაცისა – ღვთისასა მოციქულებში არ აღძრავდა შურსა. განსაცდელნი და სასტიკი შეწუხებანი ვერ ეხებოდნენ მასს. ის ერთად წმიდა პეტრე მოციქულთან შედის მღვდელ-მთავრის ეზოში, რათა უყუროს ქრისტეს განსჯასა. პეტრე ამისთანა კადნიერებისათვის ვარდება საშიშარს განსაცდელში, რომლის გამოისობით უარ ჰყო ქრისტე; ხოლო იოანნე არაფერსა უბედურებასა და განსაცდელსა არ მიეცემა მღვდელ-მთავრის მოსამსახურეთაგან, თუმც მათ იციან, რომ იგი არის ქრისტეს მოწაფე. შემდგომ იესო ქრისტეს მიცემისა, მისი მოწაფენი განიბნენ და

ვერ ბედავდნენ გოლგოთის მთის მიახლოვებასა; ხოლო იოანნე კადნიერად და გაბედვით სდგას ქრისტეს ჯვართან და ჯვრიდგან უფალი აშვილებს მასს თავის ყოვლად წმიდა დედას. ყველა წმიდანი მოციქულნი მიეცენ წვალებითი სიკვდილსა; ხოლო იოანნეს ასცილდა ამისთანა სიკვდილი. ადუღებული ფისი, რომელშიდაც ჩააგდეს იოანნე უწყალო დომიციანეს ბრძანებით, ვერ ვნებს, ქრისტეს საყვარელ მოწაფეს და ის აღესრულა არა ტანჯვისაგან, არამედ ბუნებრივითა სიკვდილითა. რაში არის ეს საიდუმლოება სიყვარულისა, რომლისა გამო ის ყველას უყვარდა?.. რაშია მიზეზი ამ გასაოცარ მოვლენათა, რომ არც შური, არც კაცის მტერობა, არცა განსაცდელნი, არცა უბედერებანი და ტანჯვანი არ ეხებოდნენ წმიდა იოანნეს?.. ყოველივე ამის მიზეზი არის სიყვარულსა შინა, რომლითაც აღვსილი იყო იოანნე ღვთის-მეტყველი და რომელიც იზიდავდა მისდამი ყოველთა... ამისთანა პირებს ემზგავსებოდა განსვენებული ჩვენი თანამოძმე თავადი გრიგოლი... და აი ამაში არის მიზეზი საზოგადო სიყვარულობისა მისდამი. ამ სიყვარულობის ღირსი გახადეს ისა და ეს სიყვარულობა გამოუცხადეს მასს რუსეთის მეფეთაცა. სიყვარულის ხმა ესმოდა და ესმის მასს ყოველთაგან: სასახლეებიდგანაც, უბრალო ქოხებიდგანაც, გამოჩინებულ პირთაგან, მდიდართა და ღარიბთაგან... როგორც დარბაისელი და მამაცი წინამძღოლი ის იცავდა სამხედრო წესიერებას; როგორც მმართველი იცავდა წესიერებას; იყო მოსამართლე; უჩენდა სამართალს და სიმართლეს ყველასა; ამას ასრულებდა ისე მოხერხებულად, რომ არ იმტერებდა არავის, არამედ იზიდავდა თვისდამი გულთა ყოველთა კაცთასა. მას მიენიჭა უდიდესი მდგომარეობა, უდიდესი პატივი სახელმწიფოში; იმან მოიპოვა დიდება და სიყვარული სახალხო პოეტისა ისე, რომ არა ჰყოლებია მოშურნენი. ის იზიდავდა ყველას, რომელნიც ცოტა დროითა მაინც გაიცნობდა მასს... დიდ არს ძალა სიყვარულისა! იგი სრულიად მიიახლოებს ყველას...

უკანასკნელ რა კეთილ სურვილს გამოუცხადებთ სხვა ქვეყანაში მიმავალსა, ძვირფასსა განსვენებულსა? ვისურვოთ, რათამცა უფალი მოექცეს მასს საუკუნო ცხოვრებასა შინა ისე, როგორც იგი მოექცევა ყოველთა მისთა მოყვარეთა. უფალმა ცოდვილს, რომელიც მოვიდა, დალტომად ცრემლითა ფერხთა მისთა და თმითა თავისა მისისათა წარხოცდა და ამბორს უყოფდა ფერხთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა (ლუკა ზ–ლჱ), მიუტევა მასს ცოდვანი მრავალნი, რამეთუ მან შეიყვარა იგი ფრიად (ლუკ. ზ–მზ) და მიეტეოს უფალმა ღმერთმა განსვენებულსა მის მონასა, თავადს გრიგოლს ყოველივე შეცოდებანი, ნებსითი და უნებლიეთი, იმ სიყვარულობითა ღვთისადმი და მოყვასისა, რომლითაც აღვსილი იყო სული მისი. ღვთის მოყვარება იმ სოფელში, სადაც სარწმუნოება და სასოება იცვლებიან პირის-პირ ღვთის ხილვითა და საანატრელი გამოცხადებითა და სადაც უმეტესად ფასობს და საუკუნოთ დამყარებულ არს სიყვარული – დაამყაროს ღმერთმა, ყოვლად მოსიყვარულე განსვენებული, სავანესა შინა სახლსა თვისსა ზეცათასა.

გმადლობდეთ უფალსა ღმერთსა მისთვის, რომ მან მოუვლინა ჩვენს მხარეს ამისთანა მოსიყვარულე და მშვიდობის მყოფელი პირი, როგორიც იყო განსვენებული ჩვენი თანა მოძმე თავადი გრიგოლი. ვმადლობდეთ უფალსა ღმერთსა მისთვის, რომ მან არ წარიტაცა იგი ჩვენგან ადრე, არამედ მიანიჭა მასს ცხოვრება მრავალ ჟამიერი და მასთანავე ძალა და შეძლება დაშთენად ყოველთვის შეუცვლელად და შესრულებად ყოველთა კეთილთა და დიდებულთა საქმეთა სადიდებლად ღვთისა და სასიკეთოდ მოყვასთა. იყავნ სახელი უფლის კურთხეულ; ამიერიდგან და უკუნისამდე! ამინ.

სიტყვა

**თქმული საქართველოს ეექსარხოსის არხიეპის-
კოპოსის პავლეს მიერ თფილისის კათედრის
სობოროს განახლების დროს 16 ოკდომბერს
1883 წელსა.**

კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩვენი, რომელმაც მოგვცა ჩვენ ძალი და შეძლება განახლებისათვის და კურთხევისათვის ამა წმიდისა სიონის სობოროისა! კურთხეულ არს ყოვლად წმიდა ქალწული ღვთის-მშობელი მარიამი, რომელსაც წილად ხვდა საქართველო. კურთხეულ არს ზეცათა მპყრობი, რომელმაც მოგვცა შემწეობა და ძალა ამ წმიდა ტაძრის განმშვენიერებისა, – ტაძრისა, რომელიც შეშვენის სიწმიდეს ამა ქალაქისა და ჩვენი მხარისასა. ჩვენგან ახლად განახლებული და კურთხეული სიონის ტაძარი არის დიდი სახალხო სიწმიდე! ეს წმიდა ტაძარი დიდის დროიდგან რამდენჯერმე ტანჯული იყო ქრისტეს სარწმუნოების და წმიდა მართლმადიდებლობის გულისათვის. ის ჯვარის სახეთ არის აღშენებული და მრავალი საუკუნოების განმავლობაში ჯვარით მოსილი იტანჯებოდა იესო ქრისტეს სახელისათვის. დიდი დრო მოუნდა ამ ტაძრის აღშენებას. მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში ჩაიდვა მისი საძირკველი და მხოლოდ მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევრის ბოლოს გათავებულ იქმნა მისი შენება. ამნაირად წმიდა სობორო, თითქმის, ორ საუკუნის განმავლობაში ნელ-ნელა შენდებოდა და მტკიცედ და საფუძვლიანად აღშენებული შეურყევლად სდგას აგერ ათასი წელიწადი. ის თავის მრავალ საუკუნოების არსებობის დროს რამდენჯერმე გაუცარცვავთ, გაუოხრებიათ და შეუგინებიათ ქრისტიანეთა მტრებს, რომელთაც რამდენჯერმე დაუპყრიათ ქ. თბილისი, მაგრამ მტრებს ვერ დაუნგრევიათ ის მთლად საძირკვლამდის. მასზე, როგორც სატახტო ქალაქის პირველ სიწმიდეზე, დაეცემოდნენ ხოლმე საქართვე-

ლოის და ქრისტიანობის მტერნი წმიდა ტაძარს; აოხრებდნენ და იტაცებდნენ ტაძრის საუნჯეს, ჰგმობდნენ და ჰკიცხავდნენ მის სიწმინდეს, აფუ-ჭებდნენ მის სიმშვენიერეს. ერთმა თავხედმა და ბოროტმა ქვეყნის დამპყრობმა, დჯელალ ედ დინმა, გაბედა წმიდა ტაძრის გუმბათის მოკვეთა და, როგორც ის, აგრეთვე თვითონ ტაძარი ლიფოსტროტონად აქცია; საიდამაც ის პილა-ტესავით, რომელმაც უბრალოდ დასაჯა ქრისტე, სიკვდილით დასჯას უცხადებდა იმ ქრისტიანეთა, რომელნიც ქრისტეს სარწმუნოებას არ უარ ჰყოფდნენ და მათი სიკვდილით და ტანჯვით სტკბებოდა ხოლმე. დაქცევის და გაოხრების შემდეგ კეთილ-მსახურნი ხელმწიფენი და ხალხი ხელახლავ განაახლებდნენ ხოლმე ტაძარს; მა-გრამ შემდეგ სხვა მტრები ისევ აოხრებდენ და აქცევდნენ მას. უწყალო და ბოროტ მტრებს წმიდა სიონის ტაძარი ბევრჯელ დაუქცევიათ, მაგრამ წმიდა ტაძარი ამნაირ აოხრებისაგან განთავისუფლებული იქმნა, როცა საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იქმნა მიღებულ. ქრისტიანეთა მტრებს წმიდა ტაძარი თუმც უწ-ყალოდ აუოხრებიათ ხოლმე მაგრამ ის მაინც, როგორც ადამანტი, შეუმუსრავად იდგა. ტაძარი რამოდენ ჯერმე ისე აუოხრებიათ, აუკლიათ და გაუმახინჯებიათ ხოლმე მტრებს, რომ მას არც სიწმიდის სახე და არც მშვენიერება არ შერჩენია. ახლანდელი მშვენიერი სახე სიონის ტაძარმა რუსეთის მართებლობის დროს მიიღო. აგური-საგან აღშენებული სიონის ტაძარი ეხლა გარ-შემორტყმულია მტკიცე და მშვენიერი თლილი ქვით და დახურულია ბრწყინვალე რკინის სახუ-რავით. ტაძარი შიგნით გამოჩენილმა რუსის მხატვარმა მშვენიერი საღმრთო მხატვრობით და სხვა და სხვა სამკაულით გაამშვენიერა და ამ ნაირად ის, ჭეშმარიტად, ცის მსგავსი გახადა. თუმც ტაძრის სიმშვენიერე დროთა ვითარებისა-გან მეტად გაფუჭდა, მაგრამ ახლა წმიდა ტაძა-რი ხელ-ახლად განაახლეს და ამ ნაირად იგივე სახე და ფორმა მისცეს, როგორიც უწინ ჰქონდა მას. უეჭველია, რომ ის რუსეთის მფარველობის

ქვეშ ისთე მშვენიერად შეინახება, როგორც მის
სიწმიდეს შეშვენის. ვისურვოთ, რომ წმიდა სი-
ონის სობორო რამდენიმე საუკუნის და ათასი
წლის განმავლობაში რუსის მართებელობის
მფარველობის ქვეშ შეურყევლად მდგარიყვეს.
ვისურვოთ აგრეთვე, რომ ის ყოფილიყოს მრა-
ვალი საუკუნის ძეგლად და მასთან საქართვე-
ლოს და რუსეთის კეთილ-მსახურების ძეგლად;
წმიდა სიონის ტაძარი საქართველოს სამეფოის
ისტორიისთვის და საქართველოის ეკკლესიის
სჯულის ფიცარია. ტაძრის ბედი და თავ-გადა-
სავალი სამეფოის და ხალხის ბედთან შეკავში-
რებული და შეერთებულია; ტაძრის ბედი ხალ-
ხის და ეკკლესიის ბედის თავ-გადასავალს წარმო-
გვიდგენს: საქართველოს ხალხის და მათი ეკკლე-
სიის ისტორიული ცხოვრება მეტად ძნელი იყო...
ღვთის-მშობელს საქართველო წილად ხვდა,
იმიტომ კი არა, რო მისი მცხოვრებნი ქვეყნიური
ცხოვრების სიტკბოებით დამტკბარიყო, არამედ
უბედურებაში და განსაცდელში ზნეობითად მო-
მზადებულიყო საუკუნო ნეტარებისათვის.

ღმერთს თუ კი უყვარს რომელიმე კერძო
პირი, ანუ მთელი ხალხი, მათ საუკუნო ნეტარებას
ტანჯულ ცხოვრების საშუალებით მიანიჭებს ხო-
ლმე. და ღვთის-მშობლის მხვედრს – საქართვე-
ლოს ეკლიანი გზა ჰქონდა მხვედრად; საქართვე-
ლო მხოლოდ თამარ დედოფლის მეფობის
დროს დიდს ბედნიერებაში იყო... დავით და
ლუარსაბი განმაახლებელნი და სხვა მეფეებიც
ძლივსღა ასწრობდნენ იმ ჭრილობების განკუ-
რნებას, რომლებსაც მტრები მათ სამშობლოს
აყენებდნენ. და ამისთანა მტრები რამდენი ჰყავდა
საქართველოს! რა უთვალავ ტანჯვას და აოხრე-
ბას აყენებდნენ ისინი საქართველოს! ყველა
მეომარნი ხალხნი, ყველა სასტიკი დამპყრობნი
აზიისა უწყალოდ აოხრებდენ საქართველოს და
ნიშნად მასში სამწუხარო კვალს სტოვებდნენ.
საქართველოს რამდენჯერმე დასცემიან თავს
სპარსელები, არაბები, ხაზარები, თათრები და
მონგოლები, რომლებიც აქცევდნენ, აოხრებდნენ
ქალაქებს და წმიდა ტაძრებს; თვით მეფეებს,

ეკკლესიების მსახურთა და საწყალ მცხოვრებლებს
აწვალებდნენ და, შემდეგ წვალებისა, ზოგს
კიდევაც ჰკლავდნენ და ზოგნი ტყვედ მიჰყავდათ.
თუმც ამისთანა ვაი ვაგლახში და ტანჯვაში იყო
ქართველი ერი, მაგრამ მაინც თავიანთ სარწმუ-
ნოებას მტკიცედ იცავდა, იმათ არასფერი ტანჯვის
არ ეშინოდათ და ამიტომ ბევრს ქართველებს
თავიანით სიცოცხლე სიხარულით შეუწირავს
სამშობლოსთვის და ეკკლესიისათვის, მაგრამ
ასე ცოტა ხალხი მაინც არ დავარდნილა და არ
დაღუპულა თავიანთი მტრების აოხრებით და
დაქცევით. საქართველო შემდეგ წარმოუდგენელ
აოხრებისა, ისევ ღონიერდებოდა და კეთილ
ცხოვრებას ხელ-ახლავ იწყებდა. საქართველო
მთელს თავის ძალას და შეძლებას თავის სიცო-
ცხლის დაცვისათვის ხმარობდა და ამიტომაც
არც დრო, არც შეძლება არა ჰქონდა, რომ
თავის გონებით განვითარებაზე და შინაურ სა-
ქმეების კეთილ განწყობილებაზე ეფიქრა. არსე-
ბობისთვის ბრძოლაში, რასაკვირველია, არც
მოქალაქობრივ ცხოვრებას, არც ღვთის-მეტყვე-
ლებითი აზრს არ შეეძლო გაღვიძება. უთვალავ
და მძლავრ მტრებთან ჰქონდა საქართველოს
ბრძოლა და ამ ბრძოლაში თან-და-თან სუსტდე-
ბოდა მისი ძალა: ამნაირ მდგომარეობაში ჩავა-
რდნილი საქართველო და მისი ეკკლესია იძუ-
ლებული შეიქნა ეთხოვა რუსეთისათვის შემწეობა
და მფარველობა და კიდევაც იპოვა მან ესრეთი
შემწეობა და მფარველობა. ის რუსეთთან მშვე-
ნიერ პირობაებით არის დამყარებული. როგორც
სიონის ტაძარი შემოსილ არს გარედგან თლი-
ლი ქვით რუსეთის მართებლობის დროს, აგრე-
თვე ქართველი ხალხი და მათი ეკკლესიაც და-
ფარულია რუსეთის და მისი ეკკლესიის ძალით
მტრების აოხრებისაგან და უშიშარი და განსვე-
ნებული ცხოვრებით სტკბება. როგორც რუსის
გამოჩენილმა მხატვარმა ლამაზად გაამშვენიერა
წმიდა სიონის ტაძრის შინაგანი მხარე მშვენიერი
საღმრთო გამოხატულებით და სხვა-და-სხვა სამ-
კაულით, აგრეთვე რუსეთის მმართველობა ჰფენს
საქართველოში მოქალაქებრივ ცხოვრებას და

ამდიდრებს მას განათლებით და მეცნიერული
ცოდნით და სურს ქართველების ყოველ მხრივი
განვითარება. ვისურვოთ, რომ რუსთა და ქართ-
ველთა ემსახურონ ერთმანეთს თავისი კეთილ
დღეობისათვის; აგრეთვე ვისურვოთ, რომ მათ
შორის მტკიცე კავშირი სუფევდეს და ეს კავშირი
ყოფილიყოს ნიშნად მუდმივი გონებითი განვითა-
რებისა და წარმატებისა!

ძმანი და დანო, წმიდა სიონის ტაძრის
ბედი თვითონ ჩვენი ბედის და განგების მაგა-
ლითს წარმოგვიდგენს. ნათლის ღების შემდეგ
ჩვენ სუყველანი, – ჩვენი სული და სხეული –
ღვთის ტაძარია (კორ. ვ, ით), ჩვენში ღვთის
სული ცხოვრობს, ცხოვრობს თვითონ ღმერთი
(ა – კორ. გ. ივ), თუმც თვითონ ჩვენ არ გავ-
სდევნით მას ჩვენი უწმინდური ცხოვრებით და
ცოდვილი საქმეებით. ჩვენი უძლური სხეულის-
თვის მეტად სამძიმოა, მაგრამ მაცხოვნებელია
ჩვენთვის, როცა სხვანი ცდილობენ ჩვენი სუ-
ლის ტაძრის დანგრევას, გაქრობას და დამა-
ხინჯებას (ა – კორ. გ – იზ) სხვა-და-სხვა გარეგანი
შეწუხებით და დევნით და ცდილობენ ჩვენს
შეწუხებას, მაგრამ არ ძალ-უძსთ ჩვენი სულიერად
გარყვნა. ვისაც სურს კეთილად ცხოვრება იესო
ქრისტეს სახელით, ამბობს წმიდა მოციქული,
დევნილნი იქმნებიან (ბ – ტიმ. გ – იბ), მაგრამ
გარეგანი დევნა, თუმც არ ჰბადავს ჩვენში ბო-
როტებას, არამედ გვამხნევებენ სიკეთისადმი,
არამც თუ არ აფუჭებს ჩვენი სულის ტაძარს,
არამედ მოთმინებითა და თავის-თავის განწირვითა
უფრო განამტკიცებს და განამშვენიერებს მას.
ამითი სულიერი ტაძრები ბევრად სჯობიან
ნივთიერ ტაძრებს. ხშირად გარეგანი მტრის
ძალა ნივთიერ ტაძრებს აფუჭებენ, აქცევენ და
ამახინჯებენ; სულიერ ტაძრებზე კი გარეგანი
მტრის ძალას სრულებით არა აქვს გავლენა და
კიდევაც უფრო კეთდებიან და უკეთეს სახეს იღე-
ბენ ეს სულიერი ტაძრები, თუმც სული არ ეცემა
ამ ძალის წინ, არამედ სჯობნის მას. მართლაც,
ის ხალხნი, რომელნიც დევნილ არიან მტერ-
თაგან, მშვენიერ ღვთის ტაძრებად ხდებიან. და

მოგვანიჭოს ჩვენ უფალმა იმდენი შეძლება, რომ ჩვენ მწუხარების და განსაცდელის საშუალებით საუკუნო ნეტარებას მივაღწიოთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ტანჯვა-წვალება და ჩვენი გაფუჭებული ბუნების შეცდომილებანი ყველა ქრისტიანეთა სასარგებლოდ და მხსნელად არ ბოლოვდება. ხშირად ჩვენი სულის ტაძარი ფუჭდება და ირყვნება ჩვენივე ცოდვილი გულის-თქმათაგან და საქმით. ძალიან ხშირად ჩვენს სულში სახე უფლისა ღვთისა და მისთა წმიდათა, რომელნიც წინათ ჩვენს სულში იყვნენ და კეთილ საქმისაკენ გვიწვევენ, ჰქრებიან, ფუჭდებიან და ხან სულ იკარგებიან ჩვენის სულიდგან. აგრეთვე არა იშვიათად ჩვენი სული ემზგავსება ხოლმე მისთანა ტაძრის კედლებს, რომლებზედაც არასფერი მხატვრობა არ მოიპოვება და რომელნიც უკვე კომლისაგან და მჭვარტლისაგან გაშავებულან და მტვერისაგან დაფარულა. ხანდის-ხან ჩვენი სულის ტაძარს კიდევ ამაზე უარესი ემართება: მას წმიდა სახე შორდება და მის მაგიერ ბილწებითა და ცოდვითა აღვსილი სახე იბადება. ხშირად ისიც მოხდება ხოლმე, რომ ჩვენი სული სრულებით აღარ ირიცხება ღვთის ტაძრად და ამის მაგიერად იქცევა საბუდრად ცოდვისა და ბოროტებისა.

ძმანო და დანო! საჭიროა ყურადღებით დავიცვათ ჩვენ ჩვენი სულის ტაძარი და როგორც შევამჩნიოთ მისი ცოტათი მაინც შემცირება, მაშინვე ვიხმაროთ საშუალებანი, რომ რამე გზით ავაცილოთ მას გაოხრება და შემცირება. აი საშუალებანი, რომელთა შემწეობით შეგვიძლია ჩვენ ჩვენი სულის ტაძარი განვსწმიდოთ შემარცხვენელთა და დამაბნელებელთა ცოდვათაგან, გავამშვენიეროთ, შევამკოთ ის, როგორც მის სიწმიდეს შეესაბამება; ამისთვის საჭიროა შემდეგი საშუალებანი: ცოდვათა მონანება, მეცადინეობა, რათა განვსდევნოთ ჩვენი სულისაგან ყოველნაირი ცოდვა და სიბილწე შენანების ცრემლებით. საჭიროა მუდმივი ბრძოლა მტერთან, რომელიც სიკეთის და ნეტარების გზაზე გვეღობება, ვედრება ღვთისადმი, რათა

გვეყოს ჩვენ შემწედ და მფარველ; ვევედროთ მას, რათა მოგვანიჭოს ცხოვრებაში კეთილ წარმატება.

ვისურვოთ, რომ წმიდა სიონის ტაძარი იდგეს შეურყევლად რამდენიმე საუკუნე და რამ-დენიმე ათას წელიწადს!

აგრეთვე ვისურვოთ, რომ რუსეთმა და მისმა ეკკლესიამ, აგრეთვე მისმა ნაწილმა – საქართვე-ლომ და საქართველოს ეკკლესიამ შეურყევლად განაგრძონ არსებობა, რათა კეთილ-ცხოვრებდნენ და აღორძინდებოდნენ, ერთმანეთის მოხმარებით მიივლტოდენ საზოგადო ბედნიერების და კეთილ ცხოვრებისადმი. ვეცადოთ აგრეთვე რომ ჩვენი სულის ტაძრები წმინდათ ინახებოდნენ, რათა ღირს იყვნენ წოდებად ღვთის მაცხოვრებელ ადგილად! ვევედროთ რათა უფალი ღმერთი ჩვენი განუშორებლად და საუკუნოდ იყვეს ჩვენში; არა თუ მარტო აქ, ქვეყანაზედ, არამედ ზეცათა შინა და ყოვლად სახიერმა უფალმა ყველანი ჩვენ გვაცხოვნოს. ამინ.

სიტყვა

მეხუთე დიდ-მარხვის კვირიაკესა. *)

> უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, – სულსა... მთავრობის მოყვა-რეობისასა ნუ მიმცემ მე (ლოცვისაგან ეფრემ სირიელისა).

სული მთავრობის და უფლების მოყვარეობისა, რომლის განშორებას ჩვენ ასე გულ მოდგინედ ვევედრებით წმიდა ორმეოცსა მარხვასა შინა, ისე ღრმათ არის ჩანერგული ჩვენს ცოდვილ სულში, იმისთანა საზოგადო სნეულებაა კაცო-ბრიობაში, რომ ყველგან და ყველაში შევნიშნავთ

მას. ეს ცოდვა სჭირთ არა მარტო უფლების და
უფროსობის მქონეთა პირთა, არა მარტო ჩა-
მომავლობით და განათლებით საუმფროსოთ
მომზადებულთა პირთა, არამედ იმათაც, რო-
მელნიც სდგანან უმდაბლეს საზოგადო კაცო-
ბრივობის ცხოვრების ხარისხზე. მონანი და
მოსამსახურენიც კი ცილობენ ურთიერთ შორის

---

*) თქმულ არს კიშინიევის კათედრის სობოროში 1878 წ.
არხიეპისკოპოსის პავლეს მიერ, აწ საქართველოს ექსარხოსისა.

პირველობაზე, ერთი ერთმანეთზე ნამეტანი
უფლების მოპოებაზე. მთავრობის მოყვარეობის
სული არც იმ პირებშია სრულებით გამქრალი,
რომელნიც ზნეობითად ძლიერ მაღლა დგანან;
ის ექადება მემარხულეთა და მოღვაწეობასა შინა
მყოფთა სულთა დაფლობას. დიდ მოღვაწე
ეფრემ სირიელსაც, რომელსაც ეკუთნის ლოცვა
„უფალო და მეუფეო“, ეშინია მთავრობის
მოყვარეობისა და ევედრება ღმერთსა, რომ გა-
ნაშოროს მან მისგან ეს მთავრობის მოყვარეობის
სული.

მთავრობის სულის მოყვარეობა ჩანს იქაცა,
სადაც ძლივს ინიშნება სულიერი ცხოვრების
შუქი. ყრმები, ძლივს გამოსულნი აკვნიდგან და
სახვევებიდგან, – ისინიც კი ცდილობენ დაემორ-
ჩილონ თავის ბავშურ ნებას, თავის ჭირვეულობას;
მშობელნი, საზოგადოდ მათზე უმფროსნი და
სურვობენ, რომ მათი უბრალო სურვილი აღა-
სრულებინონ ყოველთა.

იმისთანა საზოგადოებაშიაცა, სადაც ყველა-
ფერი ხელს უნდა უწყობდეს და ეხმარებოდეს
ხალხთა სიმდაბლის და მორჩილობის სულის
მოპოებაში, იქ, სადაც ხალხს თვალ-წინ აქვს
უმაღლესი სახე მორჩილებისა, – იქაც სული
მთავრობისა მოახერხებს თავი გამოიჩინოს ასე,
ანუ ისე. მიაქციეთ ყურადღება დღევანდელ წა-
კითხულ სახარებას. მშვიდი და მდაბალი სულითა
(მათეს ია – კთ), მორჩილ ვიდრე სიკვდი-
ლადმდე (ფილიპ. ბ – ჱ) იყო მაცხოვარი
ჩვენი უფალი იესო ქრისტე: – არა ვითარ ამ

ქვეყნის უპირატესობას და დიდებას, არა ვითარ ქვეყნიურ უფლებას არ ეძიებდა იგი; ის სრულებით ერიდებოდა მას. (იოან. თ – იე) თუმცა მოვიდა იგი დასაარსებლად ქვეყანაზე მეფობისა, მაგრამ ეს მეფობა, მისი სწავლისამებრ, არ იქმნებოდა მსგავსი ქვეყნიურთა და კაცობრივთა სამეფოთა, რომელშიაც არ შეიძლებოდა წარმოდგენა რაიმე კაცობრიული მთავრობის მოყვარეობისა.

ეს მეფობა იქმნებოდა არა ამა ქვეყნისა; თავის თავის მოყვარეობის დაკმაყოფილებას, ანუ ქვეყნიურ სიხარულს კი არ მოელოდენ ისინი, რომელნიც ისურვებდენ მისი სამეფოის წევრად ყოფნას. არა, სიმდაბლე, თავის მოძულება, ნაკლულევანება, სიყვარული სხვათა – აი, რა ითხოვებოდა ძეთაგან ამა სამეფოისა. ყველა ამას ნიადაგ ახსენებდა იგი თავის მოძღვრებითა, მაგალითითა და თავის ცხოვრებითა... ამისათვის საფიქრებელი იყო, რომ მის მოწაფეთა, – მოციქულებთა შორის იქნებოდა დამკვიდრებული ესე სული – სული სიმდაბლისა და სიმშვიდისა და ვერ მონახავდა მათ გულში ადგილს სული მთავრობის, უფლების მოყვარეობისა... მაგრამ დღევანდელი წაკითხული სახარებიდამ ჩვენ ვხედავთ, რომ ის მოწაფეც, რომელიც უმეტესად უყვარდა იესო ქრისტესა იოანნე, არ იყო განშორებელი ამა სულსა. იოანნე დედითურთ და ძმით იაკობითურთ სთხოვენ იესო ქრისტესა, რათამცა მან, როდესაც დაიწვება მისი სამეფო, მიანიჭოს მათ უფლება დასხდნენ ერთი – მარჯვენით მისა, ხოლო მეორე – მარცხენით. ამისთანავე სული – სული მთავრობის მოყვარეობისა გამოაჩინეს სხვა მოციქულთაცა. ათთა მოციქულთა დაიწყეს დრტვინვა ორთა მათ მოციქულთა იოანნე და იაკობზე, – და დრტვინავდენ არა იმისათვის, რომ უყვარდათ სიმართლე და სძულდათ მთავრობის მოყვარეობა, არამედ, ცხადია, დრტვინავდნენ შურისა და უკმაყოფილების გამო, რომ მათ არ ექნებოდათ უპირატესობა, დიდება და უფლება იესო ქრისტეს სამეფოსა შინა, თუ იესო ქრისტე აღასრულებდა იოანნეს და

იაკობის თხოვნას. მხოლოდ სული წმიდის
გარდამოსვლის შემდეგ განეშორა მათგან სული
მთავრობის მოყვარეობისა; მაშინ მხოლოდ
განთავისუფლდნენ იგინი ამ საზოგადო ყოველ-
თა კაცთა სულიერ უძლურებთაგან... აი ასე შე-
თვისებული აქვს ყველა კაცს სული მთავრობის
მოყვარეობისა!

და ამასთან, ძმანო და დანო, სული მთავრო-
ბის, უფლების მოყვარეობისა უმაღლეს ხარის-
ხამდე სულის განმხრწნელია. ის დამღუპავია
საზოგადოებისათვის, რომელსა შინა სუფევს იგი,
დამღუპველია იმ კაცთა, რომელსაც სჭირს იგი;
დამღუპველია უფლებისათვისაცა, რომელზედაცა
დამყარებულია წესიერება და საზოგადოების
კეთილ-დღეობა.

სული მთავრობის მოყვარეობისა დამღუპვე-
ლია მთელი საზოგადოებისა. მართლა, თუ
მთელს საზოგადოებაში უფლებს ეს სული, თუ
თვითეული წევრი საზოგადოებისა მიისწრაფვება,
რომ დადგეს სხვაზე ზევით, ცდილობს ყოველ
ღონის ძიებით იშოვოს უფლება სხვათა ზედა;
შეუძლებელია ამისთანა საზოგადოებაში იქნეს
მშვიდობა, კანონიერი წესი და არ შეიძლება
მას შინა დაწყება და გავრცელება საზოგადო-
ებრივი კეთილისა. წინააღმდეგ სულს მთავრობის
მოყვარეობისასა შეაქვს საზოგადოებაში დაღუპვა
– უთანხმოება, ყოველნაირი შეუთვისებლობა და
უბედურება... ვინც ცდილობს მთავრობას – რო-
გორი გზითაც უნდა იყოს, არ დაეძებს სხვათა
სარგებლობას და სიკეთეს, არ დასდევს იმას,
რომ იქმნება სხვათა უმეტესად აქვსთ უფლება,
უფრო სარგებლობის მოტანა შეეძლოთ, უფრო
ღირსეულნი და ნიჭიერნი არიან მასზედ. ის
ფიქრობს მარტო თავის თავზე და ხმარობს
ყოველივე ღონეს, ოღონდ კი თავის მოწინააღ-
მდეგე, რომელიც გზას უღობავს მას, გასრისოს
და ჩაფლას ტალახში. რამდენი ზარალი ეძლევა
საზოგადოებას ამისთანა უსამართლობით! უმჯო-
ბესნი და ღირსეულნი წევრნი საზოგადოები-
სანი მოკლებულნი არიან ემსახურონ საზო-
გადოებას; საზოგადოების ბედი ჩაუვარდებათ

ხელში უღირსთა და უნიჭოთა პირთა; შეიქმნება
მტერობა ამისთანა უფლების მქონებელთა პირ-
თა და იმათ შორის, ვინც მოკლებული იყო უფ-
ლებას. ყველა საზოგადოების ძალა მიიღებს
მრუდე მიმართულებას; აღარავინ ზრუნავს სა-
ზოგადო სიკეთისათვის, არამედ ყველა ფიქრობს
ქიშპობაზე და მტერობაზე; როგორც გაგრძელ-
დება ამისთანა მდგომარეობა; ისე თან-და-თან
ძლიერდება მტერობა და შური. ვინც ასე იშოვ-
ნის უფლებას, განა შეუძლია მას, მთავრობის
მოყვარეს, გულგრილათ უყუროს საქმეს და ეცა-
დოს საზოგადოების სიკეთისათვის? არა; მას
ნიადაგ აწუხებს ის აზრი, და მართალიც არის,
რომ მისი მტერები ცდილობენ მის დაღუპვას.
და აი იმან იშოვა თუ არა უფლება, ყოველი
ღონის ძიებით ცდილობს დამაგრდეს თავის
ადგილზე და წინა აღუდგეს თავის ნამდვილ
მტერთა და არა კეთილის მოსურნეთა, ხან-დის-
ხან მარტო მოჩვენებულთა. ამისათვის ის ხმა-
რობს სასტიკ ზომებს. ყოველივე საზოგადოების
თვით მოქმედებაში და უფლების გამოცხადებაში
ის ხედავს თავის უფლებაების დარღვევას და
დაუმორჩილებლობას და ცდილობს ყოველი
ზომით დასთრგუნოს საზოგადოების ამისთანა
ბუნებრივი თვით მოქმედება. კვალადვე უფლების
ძალა და ძალა სხვა მოქმედთა გაიყრებიან და
იბრძვიან არა საზოგადო სიკეთისათვის, არამედ
მის საკნებელად. შემდეგ, ვსთქვათ, უფლების მოყ-
ვარემ მოახერხა ასე თუ ისე დამკვიდრება თავის
ადგილზე. რა ბოლო ექნება მას? შემდეგ დრო-
შიაც განა მთავრობის მოყვარე ეცდება საზოგა-
დო სიკეთისათვის? ის იმისთვის კი არ ცდილობ-
და ეშოვა უმფროსობა, რომ საზოგადო საქმეს
მსახურებოდა, – არამედ კერძო თავის სარგებ-
ლობისათვის. შემდეგისათვის ის გრძნობს, რომ
მისი უფლება არ არის მრავალთათვის სასიამოვ-
ნო და მისი მდგომარეობა მტკიცე და საბო-
ლოვო; ამისათვის ის ცდილობს, რომ უზრუნ-
ველ ჰყოს თავისი მდგომარეობა შემდეგი დრო-
ისათვის ქვეყნიერითა კეთილითა, რომელიც ჯერ
კიდევ მის ხელსა და უფლების ქვეშ არის, ვიდ-

რემდის მას კიდევ დრო და ჟამი აქვს და ხელს
უწყობს... და ამ დროს მის მოქმედებას, რა-
საკვირველია, სარგებლობის მაგიერ მოაქვს სა-
შიშარი ვნება, ცარცვა. ამისთანა მოქმედებით
მთავრობის-მოყვარე თვითონ მოამზადებს თა-
ვის დაცემას თავის წინააღმდეგი მოქმედებაებით.
აძლევს საშუალებას და ღონეს წინააღმდეგ მხა-
რეს მის დასამხობათ და მოსაშორებდათ. მტრე-
ბი ცდილობენ გააქრონ, შემუსრონ წინააღმდეგი
მთავრობის-მოყვარე. დაიწყება ამის და საზო-
გადოების წევრთა შორის ჩხუბი და ქიშპობა,
არა ჭეშმარიტების აღდგინებისათვის, არა სა-
ზოგადოების სასარგებლოდ და სხვა-და-სხვა
საზოგადოების კითხვების შესახებ, არამედ ის
ჩხუბი და დავა, რომელიც აღიძვრის წინააღმდეგი
განზრახვისათვის მთავრობის მოყვარეთა და
ამისათვის მოსდევს ამას დარღვევა და დაშლა
საზოგადოების ცხოვრებისა და ეს დაშლა მალეც
გამოცხადდება. ამისთანა თავის სარგებლობის
ცდის და ქიშპობის დროს საზოგადოების სიკე-
თის დამცველთა და თვალ-ყურის მდევნელთა
აღარ აქვსთ დრო იზრუნონ მასზედა. მთელი
საზოგადოება რჩება უყურადღებოდ, საზოგადო
საქმეების მსვლელობა, მოძრაობა მიდიან თა-
ვისით. რა ემართა ამისთანა მდგომარეობაში
საზოგადოებას? როდესაც შეხედვენ მმართველთა
უმოქმედობას, შეხედვენ, რომ იგინი თავის თავზედ
ფიქრობენ და არა საზოგადო საქმეზე, საზო-
გადოებაში გამოჩნდებიან და შეიქმნებიან უმფრო-
სებად ფრიად ცუდნი ძალანი, ხალხის უზნეო,
უპატიოსნო მცარცველები და მგლეჯლები;
ერთი სიტყვით, საზოგადოება, მიღწეული ამ
მდგომარეობამდის უფლების მოყვარეობითა, მა-
ლე იღუპება, მალე ეცემა. აი როგორ დაღუპვამდის
მიიყვანს საზოგადოებას სული მთავრობის -
მოყვარეობისა.

არა მარტო საზოგადოებას ღუპავს სული
მთავრობის და უფლების მოყვარეობისა. ის
საშიშარი მავნებელია იმათთვისაც. რომელთაც
აქვსთ ამისთანა სული. ის საშიშრათ აფუჭებს
იმათ ცხოვრებას, ხდის იმათ ცხოვრებას საწვა-

ლებლათ და უბედურათ. შთახედეთ მართლა
კაცის სულში, რომელშიაცა დაბუდებულა სული
მთავრობის მოყვარეობისა... აი ის ცდილობს
შეიქმნეს სხვაზე უმფროსათ და დამკვიდრდეს
მასზედა! რამდენი უნდა ეცადოს, რამდენი ქვე-
მძრომობა უნდა გაიაროს, რომ როგორიმე
გზით უმფროსად შეიქმნეს, როდესაც ამ უფლე-
ბის მიღების ღირსი იგი არ არის; რამდენი
სულმდაბლობა და საძაგლობა უნდა ჩაიდინოს,
რომ როგორიმე გზით დარჩეს თავის ადგილზე,
თუ ზნეობითი ძალა, ღირსება და ნიჭი არ აქვს
უფლების დაცვისა? რამდენი სიფიცხე, გაბორო-
ტება უნდა იგრძნოს წინააღმდეგ იმ პირებისა,
რომელთაც უყურებს, როგორც მტრებს და მის
უმფროსობის შემცილეთა! რამდენი სიმწარე
უნდა გამოცადოს მან უფლების შოვის შემდეგაც,
როდესაც საზოგადოების სიყვარულს და პატივს
ვერ დაიმსახურებს! რამდენი შეწუხება და შიში
უნდა გამოცადოს იმის გამო, რომ უფლება არ
დაეკარგოს! რამდენი ცილის წამება, ფარისევ-
ლობა და საძაგლობა უნდა ჩაიდინოს თავის
მტრების, მოცილეთა დასაღუპავათ. როგორი
სულიერი წვალება უნდა აიტანოს მან, როდესაც
ყოველ ზომის ხმარების შემდეგ მაინც მოაკლ-
დება თავის უფლებას და აღარ ძალუძს დარჩეს
მთავრად! უბედური არ არის ამისთანა მთავრო-
ბის მოყვარე კაცი, როდესაც ის უმფროსობს და
როდესაც მთავრობა ჩამოერთმევა? ჭეშმარიტათ
უუბედურესია... ცხოვრება მისი მოუთმენელად
მძიმეა, სული მისი ცარიელია. წვრიმალნი, საძა-
გელნი გრძნობანი აშრობენ უფროსობის მო-
ყვარე კაცის სულსა, აქრობენ მას შინა ყოველსა
პატიოსანსა და კეთილ შობილ განზრახვასა:
ამაოდ არ ფათურობს უფროსობის მოყვარე,
როდესაც ნამეტნავად ცდილობს უმფროსად
გახდეს! ეს ლტოლვილება მოუტანს მას უბედუ-
რებას და დაღუპვას.

უარესი დამღუპავი შედეგი მოსდევს მთავ-
რობისათვის, როდესაც საზოგადოებაში არსე-
ბობს სული მთავრობის მოყვარეობისა – მთავ-
რობისათვის, რომელიც უსაჭიროესი მომქმედი

და დამფარველია საზოგადოების ცხოვრებისა... მთავრობა მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტად ძლიერი, როცა იგი კეთილ სინიდისიანი, პატიოსანი და ნიჭიერია, როცა იგი ნიადაგ ზრუნავს თავის ხელქვეშეთ, კეთილ დღეობაზე, როცა ყველა აფასებს მის შრომას, სამსახურს, ყველა პატივსა სცემს მას და სიხარულით და სიყვარულით ემორჩილებიან და ეწევიან მას შეძლებისა და გვარად. ამ შემთხვევაში მას არ ეშინია მტრებისა, არ ეშინია არა ვითარი ცუდი განზრახვისა და ცილის წამებისა. ცილის წამებას შეუძლია ავნოს მას ცოტა ხანს; შემდეგ იგი ნელ-ნელა თავისით გაჰქრება, როგორც ბურუსი და ჭეშმარიტება გამოაცხადებს პატიოსან, ნიჭიერ და საყვარელ მთავრობას ყველას თვალის წინ ნამდვილი სახით. მაგრამ, მაშინ კი სულ სხვა არის, როცა მთავრობას არა აქვს ჯეროვანი, შესაფერი ნიჭი; როდესაც იგი განსაკუთრებით ცდილობს არა საზოგადოების კეთილ დღეობისათვის, არამედ თავის პიროვნული სარგებლობისათვის. მაშინ მთავრობაც სუსტდება და ამისათვის იმას სარგებლობის მაგიერ ვნება მოაქვს საზოგადოებისათვის. ამისთანა შემთხვევაში მთავრობას ყოველ ნაბიჯზე წინ ხვდება: დაუნდობლობა, უპატივცემულობა და ბოლოს სიძულილი. ამ შემთხვევაში ის უფრო სატირალი და სამწუხაროა მისთვის, რომ ამისთანა უპატივცემულება ჰბადავს არა მარტო კერძო უფროსისადმი გულ-გრილობას და სიძულილს, რომელნიც ღირსი არიან ამისთანა შენიშვნისა, არამედ ზოგიერთთა პირთა, არა შორს გამჭვრეტთა და სუსტ მოაზრეთა, ეს ნაკლულევანება გადააქვსთ თვით ნივთზე, თვით უფლების არსებობაზე. ცხადია ყველასთვის მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა.

მთავრობა არსებობს და მოქმედებს თავისი წარმომადგენელებით. საზოგადოება სჯის მთავრობაზე მისი წარმომადგენელების შეხედვით. რამდენი უბედურება და ბოროტება იჩენს თავს იქ, საცა საზოგადოებაში მთავრობის სიყვარული და პატივისცემა აღარ არიან მთავრობის

წარმომადგენელის წყალობით. ამ უბედურებათა
და ბოროტებათა ჩამოთვლა არც კი შეიძლება.
იქ, საცა მთავრობის უფლება შერყეულია, წე-
სიერების მაგიერ თავს იჩენენ უწესოებანი,
შფოთნი და მღელვარებანი. იქ აღარ არსებობს
მთავრობა და ამას მოსდევს დამღუპველი ბო-
ლო, შედეგი როგორც საზოგადოებისათვის,
ისე თვით სახელმწიფოისათვის. აი ამ უბედურე-
ბამდისინ მიიყვანს კაცს სურვილი უმფროსო-
ბის, მთავრობის მოყვარეობისა სული, იმას
გარდა, რომ მიანიჭებს უღირსთა პირთა მთავ-
რობასა, უმფროსობასა, რომ ჰბადავს უკანონო
უფლებათა მეძიებლობას, ავრცელებს საზოგა-
დოებაში ჩხუბს და მტერობას, ამცირებს კანო-
ნიერ მთავრობის პატივისცემას და მის ნაცვლად
ჰბადავს მთავრობისადმი სიძულილს. ჰო! გამ-
ხრწნელო და დამღუპველო სულო!

რადგანაც ასეა, მაშ აღარავინ უნდა ისურ-
ვოს მთავრობა? მაშ ყველანი უნდა ერიდებო-
დენ უმფროსობის ადგილის მიღებას? შეიძლება
ასე იფიქროს ვინმე მართლა, ვინც ჩვენი ზემო
ნათქვამი გაიგონა. არა; თვით საღმრთო წერი-
ლიც არ გვიკრძალავს სრულებით მთავრობის,
უმფროსობის სურვილს, მაგრამ ეს სურვილი
ისეთ პირობაებს და თვისებას მოითხოვს მთავ-
რობის მოსურნეთაგან, რომლების წყალობით
მართლა სასარგებლო იქმნება საზოგადოებისა-
თვის ამისთანა პირთა სამსახური.

უფალი ჩვენი იესო ქრისტე დღევანდელ
სახარებაში მთავრობის მოყვარეობისა გამო,
მოწაფეთა მისთა იტყვის: „რომელსა უნდეს
დიდ ყოფა თქვენ შორის, იყოს თქვენდა მსა-
ხური და რომელსა უნდეს თქვენ შორის პირ-
ველ ყოფა, იყოს ყოველთა მონა.“ (მარ. ი. მგ
– მდ). თავის თავზედაც და მის ცხოვრებაშიაცა
გვიჩვენებს მაგალითს მაცხოვარი ამისთანა უპი-
რატესობისას. „და რამეთუ ძე კაცისა, როგორც
იტყვის იგი, არა მოვიდა ვითარმცა იმსახურა,
არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი
სახსრად მრავალთა“ (მარკ. ი, მე – მვ). ამ სახით
სურვილი მთავრობისა, უპირატესობისა და უმ-

ფროსობისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა
იგი წარმოსდგება არა მარტო მთავრობის მოყ-
ვარეობისათვის, არამედ საზოგადოების მსახუ-
რებისათვის, როცა მეუფროსეს აქვს სახეში თა-
ვის ნიჭით და შრომით ემსახუროს სხვა ხელ-
ქვეშეთა საკეთილ დღეოდ. ამიტომ, როცა ეძი-
ებენ უმფროსობას არა თავის სასარგებლოდ,
არა დიდებისა და დიდ კაცობისათვის, არამედ
თავ განწირული შრომისათვის საზოგადოების
სასარგებლოდ, როდესაც ეძიებენ არა თავის
სარგებლობას, არამედ სხვათა კეთილ დღეობას
და სარგებლობას: ამ შემთხვევაში უპირატესო-
ბის, უმფროსობის სურვილი არა თუ აღეკრძა-
ლება კაცს, არამედ ნება ეძლევა, როგორც
გვასწავებს თვით სიტყვა ღვთისა, – ნება ეძლევა
ყველას, რადგან ამისთანა სურვილი არის აუცი-
ლებელი პირობა შეძლებისა-და-გვარად კეთილ
მსახურებისა. წმიდა მოციქული პავლე იტყვის:
„სარწმენო არს სიტყვა, უკეთუ ვისმეს ეპისკო-
პოსობის უნდეს, კეთილსა საქმესა გული ეტ-
ყვის“ (ტიმოთ. გ, – ა). აქედამ ცხადად სჩანს,
რომ წმიდა მოციქული არა თუ აღგვიკრძალავს,
არამედ კიდეც აქებს ეპისკოპოსობის სურვილს.
მაგრამ ამავე დროს ის უჩვენებს იმ თვისებაებს,
რომელითაც უნდა იყოს განსხვავებული ეპისკო-
პოსი; ამისათვის ეპისკოპოსობის მსურველმა
უნდა დაინახოს თავისი ღირსება და უღირსება,
ეს ღირსებანი უნდა შეადაროს თავის თვისებათა.
„ჯერ არს ეპისკოპოსისა, იტყვის იგი, რათა
უბრალო იყოს, ფხიზელ სწავლულ და წმიდა
და სხვა“. ერთი სიტყვით მოციქული მოითხოვს,
რათა ეპისკოპოსი იყო მაღალ ზნეობითი თვი-
სებისა, მექონი და განსხვავებული ნიჭითა. ეს
მოთხოვნილება მოციქულისა საჭიროა არა
მარტო ეპისკოპოსისათვის, არამედ ყველა თა-
ნამდებობის პირთათვის, რომელნიც საზოგა-
დოებას ემსახურებიან ზედამხედველობენ და
უმფროსობას კისრულობენ, მაშა სადამე მოცი-
ქულის სიტყვისამებრ, შეძლება, ისურვოს კაცმა
უმფროსობა, მთავრობა, მაგრამ ამასთანავე ის
უთუოდ შემკული უნდა იყოს კეთილი ზნეობითი

თვისებაებითა და უმფროსობის სურვილი დამყარე-
ბული უნდა იყვეს არა მარტო მთავრობის მოყვა-
რეობაზე, არამედ საზოგადოების კეთილ დღეო-
ბის და სარგებლობის მოტანის სურვილზე.

ღვთის სიტყვა არ აღუკრძალავს კაცს უმფ-
როსობას, მთავრობის სურვილს, მაგრამ ამ
სურვილის აღსრულება კაცმა უნდა მიანდოს
ღვთის განგებას. ღვთის განგებისაგან არის
მომზადებული ყველასთვის მათი მდგომარეობა.
(მარკ. ი. მ.) ზოგის – განგებით, სხვათა კეთილ
მორჩილთა – დანიშვნით, თვითონ ღმერთი აღ-
გვირჩევს ჩვენ რომელიმე თანამდებობის აღსრუ-
ლებისათვის, თუ ჩვენ ღირსნი ვიქმნებით. ჩვენ
ძლიერ დაიმედებულ არ უნდა ვიყოთ ჩვენ აღ-
რჩევაზე, არამედ მოველოდეთ ღვთის მოწოდებას.
მოციქულნი უბრალო მეთევზენი იყვნენ, გარნა
უფალმა მიიწოდა იგინი თვით უმაღლესი თანა-
მდებობის აღსრულებისა თავის ეკკლესიასა შინა.
ამისათვის თვითეული ჩვენგანნი უნდა უცდიდეს
ღვთის გამგეობის ჩვენებას, რომელიც მოგვი-
წოდებს ჩვენ რომელიმე თანამდებობის აღსრუ-
ლებისათვის და არა თვითონ უნდა ვეძიებდეთ
სამსახურის მოპოებას.

შეგვეწიოს ჩვენ ყოველთა ღმერთი, რომ
ავსცდეთ ჩვენ უმფროსობის, მთავრობის მოყვა-
რეობას და მოგვანიჭოს ჩვენ სული სიმდაბლისა
და სიყვარულისა, რათა ღირსეულად შევასრუ-
ლოთ ჩვენი მოვალეობა. ამინ.

შესხმა,

**თქმული მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის
საქართველოს ექსარხოსის პავლესაგან სენა-
ნატორის გენერალ-ლეიტენანტის დიმიტრი
სიმონის ძის სტაროსელსკის წესის აგებაზე
15 მარტს 1884 წელსა.**

ყოველნი მხედავთ მე წინაშე
თქვენსა უხმოდ და უსულოდ მდებარესა
სტიროდეთ ჩემთვის ძმანო და მეგო-
ბარნო, მოყვასნო და მეცნიერნო (სა-
ეკკლ. საგალობელი დასაფლავებაზე).

მცხედრის და მიცვალებულის დანახვაზე არ შეიძლება კაცი არ შეწუხდეს და არ იტიროს. კაცს არასოდეს არ შეუძლია გულ-გრილად შეეგებოს სიკვდილსა; არასოდეს არ შეუძლა მას დაწყნარებით და შეუშფოთებლად უყუროს მცხედარს და ვინც უნდა იყოს მას შინა მდებარე დიდის მწუხარებით აცილებენ საფლავამდე მეგობარნი და მონათესავენი ყველას, ვინც უნდა იდვას კუბოში, თუ გინდ ძლიერ მოხუცებულიც რომ იყოს. განა მწუხარება მონათესავეთა არ აწუხებს გარეშე პირთაცა, მდგომარეთა მცხედრის გარშემო? მიცვალებულის დანახვის დროს, ვინც უნდა იყოს მიცვალებული, ყოველ კაცს აღაშფოთებს უნებლიედ შემდეგი კითხვები: „რა არს ესე ჩვენი ქვეყნისა ნაშობნო საიდუმლო? ვითარ მივეცენით ხრწნილებასა? ვითარ შევეყვენით სიკვდილსა? ვითარ ვხედავთ საფლავსა შინა მდებარესა შვენიერებასა ჩვენსა ხატად ღვთისა დაბადებულსა, შეურაცხოდ, უპატიოდ და უსახუროდ?“ (საეკლ. გალობა). ვინ არ შეწუხდება მასზე, რომ კაცის სხეული, – მშვენიერი სადგური უკვდავი სულისა, ჩვენი ცოდვისთვის, ღვთის განსჯითა, იქცევა უსულო სხეულად და შემდეგ მტვერად? ჩვენი სიკვდილი და ჩვენი საკუთარი მცხედარი არ წარმოგვიდგება თვალ-წინ, როცა ვხედავთ მიცვალებულს და მცხედარს და არ გვაღელვებენ ჩვენ ეს კითხვები? ძნელი სანახავია მიცვალებული და მცხედარი. ოხ, სიკვდილო, რა მწარეა შენი მოგონება! (სირ. მა, ა). და კიდევ ამაზე უფრო მწარეა შენი სახე! მაგრამ მეტად მძიმე, მწარე და საშიშარია უეცარი სიკვდილი, რომელიც მოულოდნელად ცოცხლებიდგან იტაცებს კაცს, რომელსაც ეგონა, რომ ის დიდ ხანს ბედნიერად იცოცხლებდა. აი განსვენებული ჩვენი თანა-მოძმე დარბაისელი დიმიტრი: რო-

გორ შეაწუხა და გააკვირვა მისმა უეცარმა სი-
კვდილმა ყველა! კაცი მშვენიერი სულით და
ხორცით და მასთან კაი ტანმრთელიც, რომელ-
საც ვაჟკაცობაში ყმაწვილის შეხედულობა ჰქონდა,
უეცრად მოკვდა, მზგავსად ნამცეცისა, ანუ მინ-
დვრის ყვავილისა, რომელსა მოულოდნელად
მომკის მიწის მუშაკი. ამისთანა მაღალი პატიო-
სნების და მეტად შრომის მოყვარე კაცი გვაკლდება
დღეს ჩვენ, ვითომც ჩვენს საუკუნეში, ზნეობითი
გარყვნილების და სიზარმაცის დროში, არ იყვნენ
საჭირონი ამისთანა შრომის მოყვარენი! კაცი
მეტად პატიოსანი, რომელიც არ აძლევდა თა-
ვის თავს ნებას, რომ შეედგინა კაცზე ცუდი აზრი
მისი გაფუჭებული ნებისა გამო, არამედ ჰქონდა
რწმუნება სხვათა კეთილშობილებაში; ამისთანა
კაცი გვერთმევა დღეს სიკვდილით, ვითომც ჩვენს
დროში, როცა მეფობს ცილის-წამება, ბოროტ-
მეტყველება, როცა ცუდი მიდრეკილებანი იდ-
გმენ ფეხს, საჭირონი არ იყონ ჭეშმარიტად
კეთილშობილნი პირნი!.. კაცი მეტად მშვიდი,
რომელიც თავის უფლებაებით არ დიდობდა და
ყველასთვის ადვილი სანახავი იყო, დღეს მიწო-
დებულ იქმნა იმ სოფელში; ვითომც საჭირონი
არ იყვნენ მის მზგავსნი პირნი, განსაკუთრებით,
ჩვენ საუკუნეში, როდესაც სუფევს ამპარტავნება
და თავ-მოყვარეობა!.. კაცი მეტად წინ-დახედული,
გასაოცარი მშვიდი, მეტად გულ-კეთილი და
დამჯდარი ხასიათისა, ყველასთვის მისაბაძავი;
კაცი, რომელიც არ აწუხებდა თვისთა ხელქვეშეთა
და განშორებული იყო ყოველივე ცუდთა გულის-
თქმათა, გვაკლდება ჩვენ დღეს, როცა ჩვენ შო-
რის ამისი მზგავსნი კაცები საჭირონი არიან,
ნამეტურ ჩვენ საუკუნეში, როცა სუფევს თავის
ნებობა და ცუდი გულის-თქმანი. ქრისტიანეთა
ქვეყანა ჰკარგავს ჭეშმარიტად ქრისტიანე კაცს
ჩვენს საუკუნეში, როცა გავრცელებულია ურწმუ-
ნოება და ანტიქრისტიანული მიმართულება.
საყვარელი მეუღლე ჰკარგავს ქმარს; საყვარელი
ბავშვები ჰკარგვენ საყვარელ მამას მაშინ, როცა
მას შეეძლო თავის ღონე და შეძლება მოეხმარა
იმათ აღზრდისათვის; რა დიდი თავ-ზარ დაცემაა

ეს მათთვის! ჩვენ არაფერს არ ვამბობთ იმაზე, თუ რა სასარგებლო და უანგარო კაცი დაჰკარგა ასე მიულოდნელად სამშობლომ ამ მიცვალებულში!.. დიახ, განსვენებული თვისი სიკვდილით გვაუწყებს იმას, რასაც გვაუწყებს თვითოეული გადაცვალებულის პირით შემდეგი საეკკლესიო საგალობელი: „რამეთუ გუშინ თქვენთანა მზრახველ ვიყავ და მეყვსეულად მოიღწია ჩემზედა ჟამი სიკვდილისა.“ მოულოდნელად მოიწია ჟამი სიკვდილისა და აღარ გვყავს ძვირფასი კაცი – ძვირფასი არა მარტო თავის ოჯახისთვის, არამედ ყველასთვის, ვინც კი იცნობდა მას. სამწუხაროა, ძმანო და დანო! მეტად სამწუხარო! რომ ჩვენ არ ვიცოდეთ და არ გვწამდეს, რომ ჩვენ აწმყოს და მომავალს განაგებს კეთილი გამგე და ყოვლად სახიერი მამა, უფალი ღმერთი, რომ ის ყოველივეს განაგებს ჩვენ სასიკეთოდ – ჩვენ უნუგეშოდ დავრჩებოდით, როცა ამისთანა კაცებს, როგორიც იყო განსვენებული, მოვაკლდებოდით... მაგრამ წაიყვანა ჩვენგან განსვენებული ყოვლად მოსიყვარულე ღმერთმა: განა ჩვენ ეჭვი უნდა გვქონდეს მასში, რომ ღმერთი ყოვლად მოწყალე მოექცა სიყვარულისა-მებრ თვისისა ამ განსვენებულს მონას? ღვთის განგებულება ჩვენთვის ძნელი მისახვედრია; მაგრამ ეს განგებულება ყოველთვის კეთილია.

ნუ ვიწუხებთ ამ ძვირფასს მცხედართან, როგორც სხვანი, „რომელთა არა აქვს სასოება“ (ა თესალ. დ, იგ), მოვძებნოთ რამე სანუგეშო ამ მწარე დანაკლისში!.. „რამეთუ უკეთუ გვრწამს, ვითარმედ იესო ქრისტე მოკვდა და აღსდგა, ეგრეცა ღმერთმან შესვენებელნი იგი იესოს მიერ მოიყვანეს მისთანა“ (სტრ. იდ). სასოება საზოგადო მკვდრეთით აღდგომაზე, ხილვა ერთმანერთისა მოსიყვარულეთა იმა სოფელში და იყოს მანუგეშებელი ყველა ჩვენთათვის ამ განსვენებულის მწუხარებაში.

განსვენებული ჩვენი თანა-მოძმე დიმიტრი სწირავდა თავის თავს, თავის ტანმრთელობას და შეძლებას თვისთა მოყვასთა სასიკეთოდ. განა მსხვერპლი არ არის ის ეხლაც მეგობართა სა-

სასიკეთოდ? განა ჩვენი ჭკუის დასარიგებლად და
გამოსაცდელად არ აღიტაცა ის ჩვენგან უფალმა
ასე უეცრად? განსვენებული, ჩვენი თანა მოძმე
იყო კეთილი ქრისტიანე, მორწმუნე, აღმასრუ-
ლებელი ღვთის მცნებათა და თუმცა იქმნა ის
უეცრად ჩვენგან აღტაცებული, მაგრამ შევა სასუ-
ფეველში, რადგან ის, უეჭველია, მომზადებული
იქმნებოდა. მაგრამ უეცარი მისი სიკვდილი რო-
გორი საშინელი ჭკუის დამრიგებელია მათთვის,
რომელნიც არა ფიქრობენ ღმერთზე, მომავალ
საუკუნო ცხოვრებაზე, არამედ ცხოვრებენ ცოდ-
ვაში და უსჯულოებაში. რა უბედური ხვედრი
ექმნებათ მათ იმ სოფელში, ვინც ამა სოფლიდამ
განვიდენ მოუნანიებლად ცოდვილნი! „სიკვდილი
ცოდვილთა ბოროტ არს (ფსალ. ლგ. კბ).

ძალიან მძიმეა სასარგებლო კაცის დაკარგვა.
მაგრამ ის ჭეშმარიტება, რომ დღეს ჩვენგან
სამუდამოთ დაკარგული კაცი იყო მშვენიერი,
სანუგეშოა. გარდაცვალებულთა მოგონება მხო-
ლოდ მაშინ არის სამწუხარო ჩვენთვის, როცა
იმათი ცხოვრება არ არის უჩირქო. მაგრამ მო-
გონება კარგთა, პატიოსანთა და კეთილთა პირთა
მეტად სასიამოვნოა ყველასთვის. ამნაირნი მო-
გონებანი ატკბობენ მწუხარებას, მათ დაკარგვაზე.
მშვენიერი მოგონება განსვენებულისა იყოს ნუ-
გეშად ჩვენ ყოველთა მომტირალთა მისთა!

მხნეო მეუღლა განსვენებულისავ! ნუ იწუხებ
ისე, როგორც სწუხრან უსასონი. ის მხურვალე
სიყვარული, რომლითაც გიყვარდა შენ შენი
განსვენებული მეუღლე, მიაქციე შენს შვილებზე;
ეს სიყვარული შეაერთე შენ იმ სიყვარულთან,
რომლითაც შენ ისინი გიყვარდნენ აქამომდე,
იყავ მათთვის მამის მაგიერი და შენ ამ სიყვა-
რულში და იმათზე მზრუნველობაში ჰპოებ
დიდს ნუგეშს. მაგრამ ყველაზე მეტად ევედრე
უფალსა ღმერთსა გარდაცვალებულის სულისა-
თვის, და რათა შეგეწიოს შენ ღმერთი, რომ
შეგძლებოდეს იმ ჯვარის ზიდვა, რომელიც
ღვთის განგებულებით შეგხვდა შენ. ილოცე!
ღმერთი არა სტოვებს შეუწევნელად მავედრე-
ბელთა მისთა.

დაობლებულნო ყმაწვილებო! ის სიყვარული, რომლითაც თქვენ გიყვარდათ თქვენი მამა, შეა ერთეთ თქვენის დედის სიყვარულთან. ანუგეშეთ ის თქვენი კეთილი ყოფაქცევით; იცხოვრეთ ღირსეულად, თქვენი კეთილის და მშვენიერი მამის სახელისა. თქვენი კეთილი ცხოვრება იქმნება ნუგეში მწუხარებაში, როგორც თქვენ-თვის, ისე თქვენი დედისათვის, და მტკიცედ ვერწმუნებით, რომ სანუგეშო იქმნება თქვენი განსვენებული მამისათვისაც, რომელიც მოკვდა ხორცით, მაგრამ უკვდავია სულითა.

ეხლა ყველა შევევედროთ უფალსა განსვე-ნებულ ჩვენ თანამოძმეზე, დიმიტრიზე, რათა განუსვენოს მას ხუციერმა მამამ სავანესა თვისსა. ამინ.

ფარისევლური მიმართულება ეხლანდელი დროის ხალხისა. *)

ეკრძალენით ცომისაგან ფარისე-ველთასა (მათეს ივ – ვ).

ფარისევლერი ზნეობრივი ცომი, რომელიც არსებობს ხოლმე ესრეთ წოდებულ ფარისევლურ მიმართულებაში, შეხედულებაში და ცხოვრების კანონებში, ყოველთვის ღრმად შთაინერგებოდა მრთელ ხალხის ცხოვრებაში და მრავალნაირათ დაამუავებდა, ააფუნებდა მათ ცხოვრებას. ღრმად და ვრცლად დამუავებულია მისგან ჩვენი ხალხის აწმყო თანამედროვე ცხოვრება და იფარება იგი იმისთანა კაცობრიულ მოქმედებაებში და ხალხის ცხოვრებაში, რომელშიაც პირველ შეხედვაზე სრულებითაც ვერ წარმოიდგენ მის არსებობას.

ფარისევლური მიმართულება ქრისტეს დრო-ის ფარისეველთა იყო შესანიშნავი მით, რომ იგინი „შეჰკრავდენ ტვირთსა მძიმესა და ძნიად სატვირთავსა და დასდვებდნენ მხართა ზედა კა-ცთასა; ხოლო მათ თვითონ თითითაცა მათითა

---

*) მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის პავლეს სიტყვისაგან.

არა უნდოდათ შეძრვა მისი“. (მათეს კგ – დ). ისინი თხოულობდნენ ხალხისაგან სასტიკად აღსრულებას ყველა მცნების კანონთა, მრავალთა, მცირეთა, ძნელად აღსასრულებელთა და სასტიკად სდევნიდენ მათ დამრღვევთა, მაგრამ თვითონ არ აღუსუბუქებდნენ ხალხსა ამ სიმძიმის ზიდვასა არც კეთილის სანუგეშებელი სიტყვითა და ჩაგონებითა, არც თვისი სამაგალითო ცხოვრებითა. ეს ცოტა იყო; ისინი იცავდნენ რა გარეგნად სიმართლესა, არღვევდენ საღმრთო მცნებათა სჯულსა, სამართალსა, მოწყალებასა და სარწმუნოებასა (მუხ. კგ) და ამისთანა მაგალითითა ჰრყვნიდენ ხალხსა და ასწავებდნვნ მათ ფარისევლურად მცირე მცნების აღსრულებასა და უდიდესთა მცნებათა დარღვევასა.

არ ვნიშნავთ, ძმანო და დანო, ეხლანდელ ხალხის ცხოვრებაში ამისთანა ფარისევლურ მოქცევას? არ ვნიშნავთ ეხლაც ზოგიერთებში, რომ ისინი სხვას დაადებენ მძიმესა ტვირთსა და ძნიად საზიდავს, მაგრამ თავის-თავს განითავისუფლებენ და თითითაცა არ მიეხებიან მათ? სამწუხაროდ, ამისთანა ფარისევლური სულის მიმართულება ინიშნება ყველგან, ყოველ ნაირ საზოგადოებაში და ყოველი კაცის მოქმედებაში...

აი მწყემსნი ეკკლესიისანი მოითხოვენ თავიანთ სამწყსოსაგან ფიცხელსა კეთილ მსახურებრივსა ცხოვრებასა. მოითხოვენ პატივის-ცემასა, მათი სიტყვის გაგონებასა, მათი ცხოვრების გაუმჯობესებასა სამწყსოთაგან. მაგრამ ხშირად თვითონ იგინი არც სიტყვიერად და არც თავისი ცხოვრების მაგალითით არ აუხსნიან ქრისტეს სჯულსა, არ გაუძღვებიან წინ სამწყსოთა ქრისტიანულ ცხოვრებაში, სტოვებენ ხალხთა სიბნელეში და არ ამცნებენ მათ ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტებათა, არ ანუგეშებენ, არ განამხნევებენ მათ გაჭირვების და უბედურების დროს, არ დაიკავებენ მათ ჯეროვანის ძალითა ბიწიერებათა და შეცდომილებათაგან. თავის ცხოვართა

რძისაგან იზრდებიან იგინი, ხოლო ცხოვართა
არ აძოვებენ ერთგულად. არ დაადებენ ამ შე-
მთხვევაში იგინი თავის სამწყსოთა მძიმე ტვირთსა
და ძნიად საზიდავსა და თვითონ თითითაცა არ
შეეხებიან მათ? არ გახდიან ამით ისინი ქრისტეს
უღელსა, კეთილსა და ტვირთსა მისსა მსუბუქსა
(მათეს. ია – ლ) ძნიად საზიდავად სამწყსოთა-
თვის, რადგან ისინი არ ასწავებენ მათ, თუ როგორ
ადვილად უნდა ზიდონ ეს ტვირთი?..

მაგრამ თავის მხრით არ ექცევიან ფარისე-
ვლურად სამწყსონიც თავიანთ მწყემსთა, მოძღვარ-
თაცა? ისინი თხოულობენ, რომ მათ მწყემსთა
აძოვონ ქრისტეს სამწყსონი ფრთხილად, და-
უღალავად და განუშორებლდ; იყონ მათთან,
რომ იგინი სიტყვით და ცხოვრებით იყვნენ უზა-
კველნი და ჭკუის მასწავლებელნი. სიტყვით და
მაგალითით ასწავებდნენ ქრისტეს გზას და –
ამავე დროს არ ისმენენ ჭეშმარიტი მოძღვრის
სიტყვას, არ უნდათ შეიტყონ ცხოვრების გზანი,
რომელთაც უჩვენებენ მათ მოძღვარნი მათნი,
რჩებიან ნიადაგ უგნურებანი და ბიწიერებაში,
რომელსაცა ამხილებენ მათ მოძღვარნი მათნი.
სამწყსონი თხოულობენ მოძღვართაგან, რომ
ისინი მთლად გადამდგარნი იყვნენ სამოძღვროდ
და სამწყსოდ ცხოვართა; თვითონ იგინი კი იძუ-
ლებულ ჰყოფენ მოძღვართა, რომ მათ მოიპოვონ
თავისი საზრდო მიწის მუშავობითა და ცხოვარნი
დასტოვონ დროებითად. განა სამწყსონიცა არ
დასდებენ ტვირთსა მძიმესა მოძღვართა ზედა
თვისთა და თვითონ კი თითითაცა არ უნდათ
შეძვრა მისი?

გადვიხედოთ სხვა რიგ ცხოვრებაში. ავიღოთ
– ოჯახობა და სკოლა: ოჯახობაზე არის და-
დებული პირველი და სამღრთო ვალდებულება
კეთილად შვილების აღზრდისა. მშობლები პი-
რველი აღმზრდელები არიან თავიანთ შვილე-
ბისა. ოჯახურ ბავშვების აღზრდას ვერ შეედრება
ვერც ერთი სხვა გვარი აღზრდა. იმას შემოაქვს
ბავშვების აღზრდაში ის მხურვალე სიყვარული,
გულიანობა, რომელიც ბავშვებს შეაყვარებს კა-
ნონებს და რწმენას, რასაც მათ შთააგონებენ და

ამით მთელს თავის ცხოვრებაში დაემორჩილებიან
იგინი კეთილ გულის შთაგონებას და ხელმძღვა-
ნელობას. მერე რა? როგორ ხშირად არ უგდე-
ბენ ყურს ამისთანა საღმრთო სასიამოვნო და
კეთილ მოვალეობის აღსრულებას ოჯახობანი!
– ისინი სრულებით არ ცდილობენ ამ საქმეზე;
ზოგიერთნი უსწავლელნი ამას მიაჩემებენ სკო-
ლებს. მერმე ნეტავი ამას ჩადიოდენ მშობელნი,
რომელნიც ნიადაგ შრომობდნენ თავის და თავის
ოჯახობის საზრდო ლუკმა-პურის საშოვნელად...
არა; ასე იქცევიან ხშირად მშობელნი საკმაოდ
განათლებულნი და შეძლებულნი. ბავშების აღ-
ზრდაზე შრომობას ისინი არჩევენ ცუდათ დროე-
ბის გატარებას, ქეიფობას, ხშირად უბრალოთა,
მაგრამ ხშირად მავნებელთა და ცუდთა დროების
გატარებათა...

ამის ნაცვლად სკოლებიც ცდილობენ, რომ
თავისი მხრით ბავშვების აღზრდის ტვირთი,
მათზე მდებარე, ბევრად დაადვან ოჯახობაზე,
თვითონ კი გულგრილად უყურებენ ბავშების
აღზრდის საქმეს. ჩვენ აქ არ ვამბობთ იმისთანა
აღმზრდელებზე, ოჯახობაზე და სკოლაზე,
რომელნიც თავისი ცუდი გავლენით ჰრყვნიან
ბავშვებს და ერთი ერთმანეთს ადებენ თავიანთ მო-
ვალეობას... რას ნიშნავს ეს? არ იქცევიან იგინი
ფარისევლურად, როდესაც სკოლა და ოჯახობა
დასდებენ ერთი ერთმანეთზე ტვირთსა ძნიად
საზიდავსა და სრულებით არ ცდილობენ, რომ
შეუმსუბუქონ ეს ტვირთი ერთი ერთმანეთს?.. აი
ავიღოთ საზოგადოება და მთავრობა. საზოგა-
დოება ვალდებულია იზრუნოს საზოგადო სიკე-
თეზე: უნდა დაიკავოს და აღამაღლოს საზოგა-
დოების წევრებთა შორის სიყვარული მეფისა და
მამულისადმი, უნდა გაავრცელოს ყველა საზო-
გადოების წევრთა შორის პატიოსნების კანონები
და რწმენა, შთანერგოს მათში ზიზღი მტაცე-
ბლობისა, ძალადობისა და ყოველთა ზაკვათა-
დმი; უნდა დაბადონ პატიოსნური შრომობისადმი
სიყვარული და პატიოსანი შრომით შეძენა. უნდა
შეისწავლონ ადგილის საჭიროება და სარგე-
ბლობანი და მოსძებნონ საშუალებანი მათ დასა-

კმაყოფილებლად. საზოგადოებამ უნდა აღზა-
რდოს თვის შორის ღირსეულნი პირნი საუფრო-
სოდ, შეიმუშაონ ნიადაგი და მასალა, რომლის
საშუალებით მთავრობის პირმა შეიძლოს საზო-
გადოების საკეთილოდ შრომობა; საზოგადოდ
ყველანი ხელს უნდა უწყობდენ მთავრობის
წარმომადგენელთა პირთა სახელმწიფო წესიე-
რების დამყარებაში და საზოგადოების კეთილ
დღეობის დაარსებაში. თავისი მხრით მართებ-
ლობამ რაც კი შეტყობილია კეთილი საზო-
გადოებისაგან ცხოვრებით და გამოცდილებით,
უნდა შემოიღოს ხალხის ცხოვრებაში ყველა ის,
რაც სასარგებლოა ხალხისათვის; უნდა განდე-
ვნოს ხალხის ცხოვრებიდამ ყველა ცუდი და არა
სასარგებლო და უჩვენოს საზოგადოებას ის
გზანი, რომლითაც მას მიეცემოდეს კეთილ
დღეობა და წარმატება. გარნა არა დასდებენ
ხშირად საზოგადოება და ზოგიერთი მთავრობის
წარმომადგენელნი ერთი ერთმანეთზე ტვირთსა
მძიმესა და ძნიად საზიდავსა, როდესაც ერთი
ერთმანეთს არ აღუსუბუქებენ ამ ტვირთსა?.. არ
აძნელებენ საზოგადოების წარმომადგენელნი
პირნი თავისი უმოქმედობით და გულ-გრილო-
ბით, როდესაც ხალხი დიდ განსაცდელშია, და
ისინი არხეინად უყურებენ მათ გაჭირვებას და
დარდი არა აქვსთ? არ აძნელებენ საქმეს, როდესაც
მჩატე ჭკუის მოსაზრებით განსჯიან მართებლო-
ბის მოქმედებას, როდესაც უბრალო მსჯელობით
სხვა-და-სხვა მართველობის პლანებს, აღუსრუ-
ლებელს დ ამოუხერხებელს, მოიგონებენ მაშინ,
როდესაც საზოგადოების სიკეთისათვის მხოლოდ
საჭიროა უბრალო საქმე, პატიოსნურად და
სინიდისიერად თავისი მოვალეობის აღსრულება?
თავისი მხრით არ აძნელებენ ხან-დის-ხან თვი-
თონ მთავრობის წარმომადგენელნი საზოგადოე-
ბის, ხალხის საქმეს, როდესაც მათ ხალხის
ცხოვრება არ მიჰყავსთ ისე, როგორათაც უჩვენებს
მათ თვითონ ხალხის ცხოვრება, ანუ როგორც
უჩვენებენ მათ გამოცდილნი დაკეთილ საიმედო
საზოგადოების წარმომადგენელნი? არა სდებენ
ხანდისხან მართებლობის წარმომადგენელნი

პირნი მძიმე ცხოვრების ტვირთსა, რომელიც
არ ეთანხმება ხალხის მოთხოვნილებას და მის
ისტორიულ მიმართულებას.

– აი უმფროსები და მათი მორჩილნი, ხშირად
უმფროსები სდებენ თავის თანამდებობის სიმძი-
მეს მხართა ზედა თავის მორჩილთა და თითონ
თითითაც არ შეეხებიან თავის საქმესა!.. ხშირად
მორჩილნიცა და ხელ ქვეშე პირნი იძულებულ
ჰყოფენ თავის მეუფროსეთა, რომ მათ აღასრუ-
ლონ თავისი და მათ მორჩილთა მოვალეობაცა.
განა ეს არ არის ფარისევლური დადება ტვირ-
თისა სხვათა ზედა?..

აი ასე გაემსჭვალება ფარისევლური სული
ყოველი კაცის ცხოვრებაში და გააფუჭებს მას.
აი ასე დაბადებს იგი საზოგადო უმოქმედობას,
თავის მოვალეობის აღსრულებაზე და პატიოსან
შრომაზე გულ აცრუებას და საზოგადო გარყვნი-
ლებას და განხრწნილებას... როგორ უნდა ვე-
ბრძოდეთ ამ ბოროტებას? თითეულმა უნდა
იცნას თავისი მოვალეობა, განსაზღვროს თავისი
შრომა და დროც, მიცემული ამაზე, აკეთოს
თავისი საქმე და არ ფიქრობდეს, რომ სხვას
დაადვას თავისი ტვირთი. როდესაც ყველანი ასე
ერთგულად იწყებენ თავის საქმის კეთებას, მაშინ
ცხოვრება ხალხისა გაკეთილდება და აღყვავდება...

აღება თავის მხრებიდამ ტვირთისა და სხვათა
მხართა ზედა დადება კაცს შეაჩვევს უნებლიედ
ტყუილ სიტყვაობას, – უსინიდო თავის გამართ-
ლებას თვის უსინიდისო საქციელში. ცრუ სიტყვის
ხმარებას, ცოტ-ცოტად დაეჩვევა კაცი არა თუ
მარტო გასამართლებლად თავის სიზარმაცისა
და უსაქმობისა, არამედ თავის საძაგელ წინა-
ამღდეგ და უპატიოსნო საქციელისა. მათ ამისთანა
სიტყვით ფარისევლობას მალე მოჰყვება საქმით
ფარისევლობა ყველა მათ ყოფაქცევაში: ფარი-
სევლური პირ-საფარი ის დაიწყებს თავისი
უზნეო სულის სისაძაგლის დაფარვას ხალხთა-
გან. წარმოთქვამს მშვენიერთა, პატიოსანთა მაღა-
ლთა სიტყვათა, კეთილსა და პატიოსნურ აზრსა
საჩვენებლად იქცევა პატიოსნად და კეთილად:
ყველა ამაებს ის ჩადის თავის ცუდი და საძაგელის

მიზნის დასაფარავად, გასაბმელად მახეში მოკლე
აზრის და არა შორს გამჭვრეტ პირთა და მათ
დასაღუპავად... ამ სახით ქრისტეს დროის ფა-
რისეველთა, მიაღწიეს გასაოცარ და საშიშარ
პირფერობამდინ და ამით მოინადირეს დასაღუ-
პავად მრავალნი დამჯერე ხალხნი. „ყოველსა
საქმესა იქმოდიან საჩვენებლად ხალხთა, განადი-
დებდენ საუნჯეთა და განავრცებდენ სამოსელთა
თვისთა... საჩვენებლად ლოცვილობდნენ დიდ
ხანს. სწირავდნენ ათეულსა პიტნისა, ცერეცოსა
და ძირაკისაგან, განწმენდდენ ჭურჭელთა თვი-
სთა (მათ. კგ – ე – კე). საზოგადოდ განსხვავდე-
ბოდდენ გარეგანი სიმართლითა... გარნა ნამდვი-
ლად იგინი იყვნენ გარყვნილნი. ისინი ემსგა-
სებოდნენ ბრწყინვალეთა საფლავთა, რომელ-
ნიც გარეგანად სჩანდენ ბრწყინვალეთ, ხოლო
შინაგან სავსენი იყვნენ ძვლებითა მკვდართათა
და ყოვლითა არა წმიდებითა: გარეგნად ისინი
ეჩვენებოდნენ ხალხთა მართლად, ხოლო შინა-
განად იყვნენ სავსენი ფარისევლობითა და უსჯუ-
ლოებითა. შესახედავად დიდ ხანს ლოცვილო-
ბდნენ, მაგრამ ცარცვავდნენ სახლთა მქვრივთასა...
აძლევდნენ რა ათეულსა პიტნაკისა, ცერეცოისა
და ძირაკისაგან, იგინი სტოვებდნენ სჯულსა
შინა უდიდესსა, – სამართალსა, მოწყალებასა და
სარწმუნოებასა... ისინი განსწმედდენ ჭურჭელსა.
მაგრამ შინაგანად იყვნენ სავსენი უსამართლოე-
ბითა და ნატაცებითა (მათ. კგ – ე – კჱ).

ამისთანანი იყვნენ ქრისტეს დროის ფარისე-
ველნი, რომელნიც გარეგანი სიფაქიზითა და სი-
მართლითა ჰფარავდნენ თავის ღრმა გარყვნილე-
ბას, სავსეს უსამართლოებითა და მტაცებლობითა.

სამწუხაროდ, ძმანო და დანო, არ ვხედავთ
ჩვენ ეხლანდელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და
საქციელში ამისთანა ფარისევლურ მიმართულებას?

ჰო, როგორ ხშირად ვხედავთ ჩვენ ეხლაც
მრავალთა, რომელნიცა წარმოსთქვამენ მშვენი-
ერთა, პატიოსანთა სიტყვათა ან მისთვის, რომ
მით დაფარონ საძაგელნი საქმენი, რომელნიც
მათ ჩაუდენიათ, ანუ მისთვის, რომ კარგი სიტყვით
მოიპოვონ რწმუნება, მჩატე ჭკუის პირთა და

წაართვან მათ მათი ქონება, პატიოსნება, ბედნიერება და საუკუნო ცხოვრება!..

როგორ ხშირად მიგვიზიდავენ ჩვენ კაცნი თავმდაბლობით და მორჩილების სახით და გარეგანად თვალ საჩინო კეთილი ცხოვრებით, როდესაც ნამდვილად და საქმით კი მტაცებელნი, მემრუშენი, ფიცხელნი და დაუზოგავნი არიან!.. როგორ ხშირად სარგებლობს ხანდის ხან მორჩილი, ქვეშევრდომი თავისი უმფროსის სრული დანდობითა და დარწმუნებითა გახდება დამცველი და გამგე აუარებელთა საუნჯეთა და სიმდიდრეთა, ასრულებს რა თავის მოვალეობას, ვითომც რიგიანად. გარნა ესევე ვითომც უზაკველი კაცი, გამოჩნდება ხოლმე საძაგელი ფარისეველი. ის გაცარცვავს და მოიტაცებს რწმუნებულს მისდამო საუნჯეთა, უკანასკნელ ლუკმას ასი ათას მქვრივთა და ობოლთა. ყოველ დღე გვაუწყებს ჩვენ გაზეთები მტაცებლობას, ცარცვას მილიონამდისინ იმისთანა პირთაგან, რომელნიც განსხვავდებოდენ პატიოსნებით და ხარისხოვნებით. რამდენ უღმრთოებას, ძალადობას ვხედავთ ჩვენ ცხოვრებაში ცხოველური მომდომის დასაკმაყოფილებლად; ხანდის-ხან ამისთანა საოცარი მოქმედებაების ჩამდენნი არიან ხოლმე ისინი, ვინც ჩვენ პატიოსნებად და კეთილად გვეჩვენებოდნენ!... რა გასაცვიფრებელი ფარისევლობა არსებობს ყველა ამ შემთხვევაებში!.. როგორი საშიშარი ზნეობის თავ-ახსნილობაა, ფარისევლური სულის მიმართულებისაგან წარმოდგენილი!.. გარნა ფარისევლობა ჩვენი დროისა ამას არ ჯერდება. ის კიდევ უარესია დღეს. აღმოჩნდენ იმისთანაები, რომელთაც მოიხადეს ფარისევლური პირსაფარი და იკეთებენ სხვა პირსაფარს საძაგელს, ურცხვს და ურცხვად ამართლებენ თავიანთ საძაგელ მოქმედებას; ამის ნაცვლად ისინი აძაგებენ და გმობენ ყოველსა რაც წმიდა არის. იმათ აურდაურიეს კაცთა შეხედულება და ცნობა; კეთილი მათთვის შეიქმნა ბოროტად, ხოლო ბოროტი – კეთილად. ღმერთი და მისი წმიდა ნება მათთვის საგმობი და სასაცინო შეიქნა; უღვთოება და არა წმინდება – საქებარი საგანია მათთვის. საკუთრება

მათთვის – სატაცებელია: მტაცებლობა მათთვის – თავის საკუთრების მოხმარებაა. პატიოსანი ქორწინება გარყვნილებაა; ნამდვილი გარყვნილება – კანონიერი და ბუნებრივი ცხოვრებაა. ამისთანა არევ-დარეული შეხედულება სუფევს სხვაშიაცა. აქ ფარისევლობა აღვიდა უმაღლეს ხარისხამდე: უსირცხო პირ მოთნეობა ცდილობს, რომ დაანახოს ხალხს კეთილის მხრით უკეთურება. იქ, ძველ დროს, საფლავებში – ძვლები და უწმინდურება იყო მკვდართა, მაგრამ გარეგანად მაინც მათი საფლავი გამშვენებული იყო. აქ, ჩვენ დროში, ჩვენ პირმოთნეთა საფლავებში არის ყველგან და ყველაფერში უწმინდურება. როგორ უნდა ვებრძოლოთ ამისთანა საშიშარ ფარისევლობას? უნდა ვეცადოთ აღვადგინოთ ჩვენშიაც და სხვაშიცა პატიოსნება, სიმართლე და წრფელი შიში ღვთისა... საჭიროა, რომ პატიოსანი და მაღალნი სიტყვანი პატიოსანი გულისაგან გამომდინარებდნენ და კეთილ საქმესთან იყვნენ შეერთებულნი. უნდა ვეცადოთ, რომ გარეგანი კეთილი შეხედულება ეთანხმებოდეს კაცის შინაგან სულის მდგომარეობას, გამომხატველი იყოს შინაგანი კეთილის ცხოვრებისა. უნდა ვეცადოთ, რომ გარეგანი კეთილ მსახურებრივი სახე გამომხატველი იყოს შინაგანი კეთილ მსახურებისა, ღვთის სიყვარულისა და მის წინაშე კრძალვისა. უმთავრესად ჩვენი ყურადღება და ჩვენი შრომა უნდა იქმნეს მიქცეული ჩვენ კეთილ მიმართულებაზე, ჩვენი სულის განკეთილებაზე და მაშინ გამობრწყინდება იგი გარეგანად ჩვენს კეთილ გარეგან მოქმედებაშიაცა.

ხალხნი, განხრწნილნი ფარისევლური სულითა, არ არიან კმაყოფილნი იმა კერძო გავლენითა ხალხზე, რომელსაც ისინი მოიპოვებენ გარეგანი, ფარისევლური პატიოსნებით, ცრუ სიტყვებით და გარეგანად კეთილის გამოჩენით: ისინი ეძიებენ უმფროსობას თავის თავის მოყვარების დასაკმაყოფილებლად და უფრო ადვილ ცარცვა გლეჯისათვის. უმფროსობას შეუძლია, რომ დაახლოვოს იგინი ხალხის სიმდიდრესთან და გაუადვილოს მათ ცარცვისა და მტაცებლო-

ბის საქმის შესრულება. აი ამისათვის იკლავენ
თავს ზოგიერთი ფარისეველნი, უმფროსობის
მაძიებელნი და არა ხალხის კეთილ დღეობისა-
თვის და თავის მოვალეობის მტკიცედ შესრუ-
ლებისათვის. ქრისტეს დროის ფარისეველნი
ყოველივე ღონის ძიებით ცდილობდნენ, რომ
პირველად ხალხისთვის ჩაეგონებიათ, რომ იგინი
საუმფროსოდ დანიშნულნი არიან და შემდეგ
ძალა უნებურად იგდებდენ ხელში უმფროსობას.
მათ უყვარდათ ზემო ჯდომა სერსა ზედა (სადილზე),
პირველ ადგილზე ჯდომა შესაკრებელთა შორის და
მოკითხვა უბანთა ზედა; მათ სურდათ რომ ხშირად
ეწოდებიათ მათთვის მოძღვარ! მოძღვარ! (მათეს
კგ – ვ – ზ) და, როდესაც შეიქნებოდენ უმფროსე-
ბად, თავის უმფროსობას არ ხმარობდნენ სასა-
რგებლოდ ხალხისა. უმფროსობას ხმარობდენ
თავისი თავ მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად,
ხალხის შესავიწროებლად, საცარცვავად სხვათა.
გასარყვნელად ხალხთა და განსაშორებლად
ქრისტეს სასუფეველისაგან. ისინი დახშავდნენ
სასუფეველის კარსა კაცთათვის, თვითონ არ შე-
დიოდნენ და არც სხვას უშვებდნენ (მათეს კგ – იგ)
უამათოდ ამათთანა მატყუართა და გარყვნილთა
პირთა საქციელი არ შეიძლებოდა... ჩვენ დრო-
შიაცა კი ფარისევლური სულს პატრონნი ეძიე-
ბენ უმფროსობას: ერთს მათგანს უნდა დააკმა-
ყოფილოს თავისი თავ მოყვარება, ამპარტავნება,
სხვათა, – რომ დააკმაყოფილონ თავისი მტაცე-
ბლობის და ცარცვის გრძნობანი და მიდრეკი-
ლებანი. სხვათა კიდევ, ორივე მიზანთა აღსა-
სრულებლად და არა იშვიათად მოხდება ხოლმე.
სამწუხაროდ, რომ ზოგიერთნი უღირსნი სხვა-
და-სხვა ეშმაკური მოხერხებით და ცბიერობით
ჩაიგდებენ ხელში დიდ ადგილს, დიდ უმფრო-
სობას და ამასთან ჩაიგდებენ თავის გამგეობაში
საზოგადოების, ხალხის სიმდიდრესაც. დიდი
უბედურებაა ეს, როგორც მთავრობისათვის, ისე
მთავრობის ქვეშევრდომთათვის. უღირსნი მთავა-
რნი თავის უგნურებით, უპატიოსნებით და ცარცვა
გლეჯით, ამდაბლებენ უფლებას ხალხის თვალში
და უკარგვენ მას რწმუნებას და მნიშვნელობას:

ხალხს ჰგონია, რომ ყველა ამ უწესოებათა მიზეზი ვითომც თანამდებობა, უფლება იყოს. აი სწორეთ ამისთანა უმფროსები შეარყევენ ხალხის კეთილ დღეობას და მიაყენებენ მათ სხვა-და-სხვა უბედურებას. აი სწორეთ ამისთანა უმფროსები დაიმსახურებენ ხოლმე უმაღლესი მთავრობის რისხვას და სასჯელს, რომელიც ზრუნავს ხალხისათვის და არ ითმენს უფლების წარმომადგენელთა უსამართლოებას და მტაცებლობას. როგორ უნდა ვებრძოდეთ ამ საშინელ ბოროტებას? როგორ უნდა ვიმოქმედოთ ფარისევლური მიმართულების, მთავრობის მოყვარების, თავის მოყვარების და ამპარტავნობის გავრცელების წინააღმდეგ?..

უნდა აღიზრდებოდნენ ხალხნი მორჩილებაში; აღიზრდებოდნენ ბავშობიდანვე ყოველი წოდების და მდგომარეობის პირნი. ფარისევლური სულის მიმართულება მთავრობის მოყვარეობისა და ამპარტავნული ცხოვრებისადმი, როგორც ერთი უმთავრესი მონდობილება ჩვენი ცოდვილი სულისა, შეხორცებულია ჩვენ ბუნებასთან, ჩვენ სულთან დღიდგან დაბადებისა. პატარა ყრმაც, ამ სულის გავლენას ქვეშე მყოფი, პატარაობაშივე გამოიჩენს მთავრობის მოყვარეობას: – ის ცდილობს, რომ არა თუ მოიშოროს დამოკიდებულება და მორჩილება მშობელთა და აღმზრდელთა, არამედ თვითონ ისინი თავის მნებელობას დაემორჩილოს. ამისთანა ბავში ხშირად შეიქნება ხოლმე მტარვალად და შემწუხებლად თავისი ოჯახობისა, მაშინ ნამეტურ, როდესაც უგნურნი მშობელნი წააქეზებენ ამაზე მათ ძლიერ დაბალი წოდების ხალხის ბავშებშიაც გამოიჩენს ხოლმე თავს ფარისევლური სულის მიდრეკილება, ამპარტავნობა და მთავრობის მოყვარეობა და რა უნდა ვსთქვათ ახალ მოზარდე თაობაზე? როგორ ხშირად ვხედავთ ჩვენ, რომ ყმაწვილები რომელნიც შეჩვეულნი არ იყვნენ მორჩილებას და მთავრობის პატივისცემას, ხშირად გამოიჩენენ მთავრობის მოყვარებას და წინააღმდეგობას საშიშარ წინააღმდეგ და დასაღუპავ საქმეებში. ამისთანა ბოროტება უნდა განერონ კეთილ დრო-

ებითად რიგიანი ზომებითა... ამისთანა ზომების ხმარება ყრმები პატარაობიდამვე უნდა შეაჩვიონ და ეს იქმნება ნამდვილი საშუალება ფარისევლური მთავრობის მოყვარეობის აღმოფხვრისა ხალხთა შორის, რომელიც კაცობრიობას მიაყენებს ხოლმე ამდენს უბედურებას...

გავლენა და უფლება დიდად მიიზიდავს მათ, ვინც ერთხელ ნახა გემო უფლებისა, განსაკუთრებით პატივის მოყვარეთა და მხვეჭელთა. პატიოსანნი უფლების მქონე პირნი დაიცავენ უფლებასა თვისსა საზოგადო სიკეთისათვის, წესიერებისა, საზოგადოების წარმატებისა და მშვიდობიანობის დამყარებისათვის; მაგრამ უფლების მქონენი, რომელთაც თავისი პირადი სარგებლობა აქვსთ სახეში მარტო და ცდილობენ დარჩენ მთავრად თავისი პირადი სარგებლობისათვის, იმათ სძულთ ახალი თაობა, აღჭურვილი გონებითი და ზნეობრივი ძალითა, ისინი ემტერებიან იმათ, ვინც გაბედავს ახალი ცხოვრების გზის ჩვენებას, – იმისთანა გზისას, რომელიცა მიიყვანს საზოგადოებას ჭეშმარიტ სიკეთედმდი. პატივის და მთავრობის მოყვარენო სულ სხვა-და-სხვა მიმართულებისანი შეერთდებიან ერთად საბრძოლველად იმათთან, ვინც მათ ეჩვენებათ მტრად. ასე იქცევიან ხშირად და იბრძვიან ახალი დაბადებულ გონებით და ზნეობითი ძალის წინააღმდეგ ყველა ფარისევლური მიმართულების პირნი, რომელნიც ხშირად შეადგენს მთელ დაბერებულ ხალხის თაობას. შეხედეთ, როგორ მოქმედობდა წინასწარმეტყველების წინააღმდეგ ფარისევლობა, მაშინ, როდესაც ფარისევლობის წოდება არც კი იყო ხსენებაში. შეხედეთ, როგორ მოქმედობდა ფარისევლობა თვით იესო ქრისტეს და მისი მოციქულების წინააღმდეგ! თითქმის ერთი წინასწარმეტყველი არ მომკვდარა თავისი ბუნებითი სიკვდილით: იერუსალიმი მოსწყვედდა წინასწარმეტყველთა, და ქვას დაჰკრებდა მივლინებულთა მისდამი (მათ. კგ – ლზ). ასე არ მოქმედობს სული მთავრობის მოყვარეობისა ახლანდელ დროშიაცა? როგორც აი იშოვიან უღირსნი პირნი სხვა-და-სხვა მოხერხებით

უფლებას როგორც კი შეეჩვევიან უმფროსობას, მაშინვე დაიწყებენ მუყიათად ომობას ყოვლისა და ყოველთადმი, რაშიაც კი ხედვენ თავისუფ-ლების საშიშროებას. ისინი არ უყურებენ მას, რომ სრულებით არ ესმისთ მათ თავისი საქმე, არ აქვსთ ნიჭი, არა აქვსთ არც ფიზიკური და არც სულიერი ძალა საქმის შესრულებისათვის; არ და-სდევენ მას, რომ მათ დიდი ვნება მოაქვთ თავისი მმართველობით მათდამი სამართველო ხალხთა-თვის, არ მიხედვენ ამას და არ დაუთმობენ თავის ადგილს სხვათა, უმეტესად ნიჭიერთა, უმეტესად მომზადებულთა და შემძლეთა. არა ვითარ ახალი ცხოვრების მოთხოვნილებას არ შეუძლია მთა-ვრობის მოყვარეს შეაცვლევინოს თავისი ერთხე-ლვე დადებული მოქმედება, ანუ დააცლევინოს ადგილი სხვა უკეთეს მოქმედ პირთათვის. ისინი ომს უცხადებენ და ებრძვიან ყოველსა ახალსა, პატიოსანსა, უმჯობესსა და ამით დააყენებენ, შეაჩერებენ კანონიერ ცხოვრებას, პროგრესი-ულად საქმის მიმდინარეობას, დაჰბადებენ ცხო-ვრების უმოძრაობას, ღუპავენ მრავალთა და ამით მიაყენებენ დიდ უბედურებას საზოგადოებას და ხალხს.

როგორ და რით უნდა ავიშოროთ ჩვენ ეს უბედურება?... ჩვენ უნდა დავამყაროთ ძველსა და ახალ შთამამავლობაში რიგიანი შეხედულება და დამოკიდებულება იმ სახისა, როგორსაც ვხე-დავთ სამღრთო ისტორიაში. მეგობრულად უნდა უყურებდეთ ახალ თაობას, უვლიდეთ მათ ადგილს, მოვამზადებდეთ მათ, რომ სასარგებლოდ ემსა-ხურებოდნენ, უკუვაქცევდეთ ბოროტ მუშაკთა და უხსნიდეთ გზას მთავრობისადმი ნიჭიერთა და პატიოსანთა პირთა, ვიკავებდეთ მათ უზომო მიდრეკილებისაგან და საზოგადოდ ვცდილო-ბდეთ, რომ იგინი მოვამზადოთ პატიოსანი შრომისა, კეთილი და სასარგებლო უმფროსო-ბისათვის. ამისთანა ძველი თაობისა და მეუმფრო-სეთა მოქცევით და მოქმედებით, რასაკვირველია, მოსპობილი იქმნება ცხარი ომობა ძველ და ახალ თაობას შორის და მათნი ძალანი მშვიდო-ბიანად დაუთმობენ ადგილს ახალ ძალას და

მაშინ ცხოვრება წავა ხალხთა სასიკეთოდ.

ეკრძალენით, ძმანო და დანო, ცომსა მას ფარისეველთასა. ერიდეთ ფარისევლურ სულის მიმართულებას. თვითეულმა პირმან უნდა აღასრულოს თავისი საქმე კეთილ სინიდისიანად და არ უნდა დაადვას თავისი ტვირთი სხვათა მხართა ზედა, რომელნიც, იქნება, ისეც მძიმეთ დატვირთულნი არიან! ყველამ უნდა გააკეთოს თვისი საქმე, აღასრულოს თავისი მოვალეობა, და საზოგადო საქმეც ვარგად იქნება შესრულებული, მტაცებლობა, ძალადობა, გარყვნილი ცხოვრება უნდა შეიქმნენ ჩვენთვის საზიზღრად, კეთილნი, პატიოსანნი სიტყვანი ჩვენნი, კეთილ მსახურებრივი გარეგანი ჩვენი საქციელნი უნდა იყვნენ გამომხატველნი კეთილი და კეთილ მსახურებრივი ჩვენი სულის მდგომარეობისა და შეერთებულნი კეთილ ჩვენ მოქმედებასთან. ჩვენს გულში არ უნდა მონახოს ადგილი მთავრობის მოყვარებამ, პატივის მოყვარებამ, ახალი და ცხოველი ძალისადმი მტერობამ სასარგებლო და ღირსთა მოქმედთადმი. ჩვენ კეთილი უნდა გვსურდეს კეთილ-მომქმედ და პატიოსანთა პირთა და ამ კეთილის მსურველობით უნდა აღიბეჭდოს ჩვენი მათთან კავშირი! ფარისევლური სული მთავრობის მოყვარებისა, ამპარტავნებისა და ფულის სიხარბისა კი არ უნდა სუფევდეს ჩვენში, არამედ სული მეზვერისა, მორჩილებისა უნდა უფლებდეს ჩვენს სულში და – მაშინ შევიქმნებით ჩვენ საზოგადოებისთვის სასარგებლო მომქმედნი, შრომის მოყვარენი, პატიოსანნი და ღვთის მოშიშნი. ღმერთი მაშინ იქმნება ჩვენ ცოდვილს თათვის მოწყალე და ყველას იქმს ჩვენ საკეთილოდ, როგორც დროებიდად, ისე საუკუნოდ. ამინ.

სწავლა

**პირველი საქართველოს ექსარხოსის არხიეპი-
სკოპოსის ვარლაამის მიერ თქმული წმიდასა
პასეკის მწუხრსა ზედა.**

აწ ვდღესასწაულობთ, საყვარელნო მსმენე-
ლნო, დღესა ამას ქრისტეს მაცხოვრისა ჩვე-
ნისა აღდგომისასა. ვდღესასწაულობთ და გან-
ვსცხრებით ამისთვის, ვინაიდგან დღესა ამას
შინა აღდგომილმან უფალმან განგვიღო კარი
ზეცათა სასუფეველისა, სადაცა არს სიხარული
საუკუნო, ნუგეშინის ცემა დაუსრულებელი, დიდება
გამოუთქმელი, სიმდიდრე დაულევნელი, ცხოვ-
რება ანგელოსებრივი და საღმრთო. დღეს აღ-
დგომილმან უფალმან მოგვანიჭა ჩვენ საცხო-
ვრებელად სამოთხე ზეციერი, სადაცა არა არს
სიკვდილი, რომელმან განგვაშოროს ცხოვრებასა
საუკუნოსა; არა არს სნეულება, რომელმან შე-
გვაშინოს ჩვენ; არა არს მოხუცებულება, რო-
მელმან მოგვაუძლუროს ჩვენ; არა არს მუნ
უბედურება, რომელმან განგვაშოროს ჩვენ; არა
არს მტერობა და შური, რომელმან განუსვენე-
ბელ გვყოს ჩვენ. დღესა ამას შინა აღდგომითა
თვისითა უფალმან იესო ქრისტემან მოგვანიჭა
ჩვენ საუკუნო მემკვიდრეობა ზეციერისა მის ქვე-
ყანისა, რომელიცა აღსავსე არს საღმრთოთა
დიდებითა; ამისთვის ჩვენ თანამდებ ვართ დღესა
ამას ქმნულსა ღვთისაგან, მხიარულებად და გან-
ცხრომად. გარნა ცუდ იქმნების აწინდელი სი-
ხარული ჩვენი და სხვაცა ყოველივე, უკეთე არ
ვისწრაფებთ აღსრულებად კეთილთა მათ საქმეთა,
რომლითაცა მიწევნილ ვიქნებით მას სანეტაროსა
საცხოვრებელსა შინა, რომელიცა იესო ქრის-
ტემან განგვიმზადა ჩვენ აღდგომითა თვისითა.

ვგონებ არავის ჩვენგანსა ექმნების ესოდენ
განფიცხებული გონება, რომელ არა ჰსურდეს
დამკვიდრება საუკუნესა მას დიდებასა შინა საღმრ-
თოსა, და დაუსრულებელსა მას სიხარულსა შინა
ზეციერსა! ჩვენ ყოვლის სახით განცხადებულად

ვხედავთ, რაოდენადაცა ამაო არს ჟამიერი ესე
ცხოვრება კაცობრივი; ჩვენ ყოველსა ჟამსა ვე-
ლით დასასრულსა ცხოვრებისა ჩვენისასა, ყო-
ველსა ჟამსა ვხედავთ, რომელ მოახლებულ არს
დასრულება მყოფობისა ჩვენისა სოფელსა ამას
შინა. და ამის გამო ვუწყით, რომელ მსწრაფ-
ლიად დაუტევებთ სოფელსა ამას და ყოველსა
ამაოსა კეთილობასა მისსა, ამისთვის, ვითარ არა
ვიქმნებით ჩვენ მოსურნე, რათა მივიღოთ ნაც-
ვლად სიკვდილისა ადგილი იგი, აღდგომითა
ქრისტესითა ჩვენთვის განმზადებული, რომე-
ლიცა აღსავსე არს დიდებითა საღმრთოთა, სი-
ხარულითა გამოუთქმელითა და ნეტარებითა და-
უსრულებელითა. გარნა არა საკმაო არს მხო-
ლოდ სურვილი ამისი, არამედ თანამდებ ვართ,
რათა ვსცნათ, თუ ვითარითა სახითა შემძლებელ
ვიქმნებით მიწევნად საღმრთოსა მას და ზეცი-
ერსა საცხოვრებელსა, რომელიცა განმზადებულ
არს ყოველთა მორწმუნეთა კაცთათვის აღდგო-
მითა იესო ქრისტესითა, და ამისთვის მივა-
ქციოთ, კეთილ-მსახურნო მსმენელნო, სასმენე-
ლნი ჩვენი შემდგომისა ამის სიტყვისადმი:

ოდეს დღემან ამან, ესე იგი, დღემან ქრი-
სტეს აღდგომისამან განვლო და მოიწია ღამე,
რომელსაცა შინა ნივთნი უხილავ იქმნებიან სა-
ხედველთაგან კაცობრივთა, მაშინ აღდგომილი
უფალი იესო შესრულ იქმნა სახლსა მას შინა
კართა ხშულსა, „სადაცა იყვნენ მოწაფენი მისნი
შეკრებულ“ და დაჰსდგა წინაშე მათსა; ამით
თანამდებ ვართ, რათა ვისწაფოთ, რომელ იგი
აწცა განსაკუთრებით მოვალს უხილავად მათ
მორწმუნეთადმი, რომელთაცა ექმნებისთ დახ-
შულად კარნი სახლისა მის სულისა თვისისანი,
იგი უხილავად და საიდუმლოობით არს აწცა
ჩვენ შორის და ნებავს შემოსვლად ჩვენგანისა
მის შორის, რომელსაცა ექმნების დაშხულად
კარნი ტაძრისა მის სულისა თვისისანი, ესე იგი,
სასმენელნი, სახედველნი, ბაგენი და სხვანიცა სა-
გრძნობელნი ხორციელნი. და ესრეთ, საყვარე-
ლნო ქრისტიანენო, უკეთუ გსურს დამკვიდრება
სასუფეველისა ღვთისა; უკეთე გნებავს მიღებად

ამის უძვირფასესისა საუნჯისა, დაჰხშენ კარნი
სახლისა მის სულისა შენისანი, ესე იგი, საგრ-
ძნობელნი, ვითარცა სულიერნი, ეგრეთვე ხორ-
ციელნიცა, და მათით ნუ ჰსცნობ ესე ვითართა
ნივთთა, რომელთაგანცა შემოვლენ სულსა შინა
შენსა ვნებანი შემამწიკვლებელნი მისნი, ესე ვითა
რნი, როგორც მაგალითებრ: ვეცხლის მოყვარება
ანგარება უსამართლობა და ყოველნი მსგავსნი
ამათნი ვნებანი მომკვლელნი სულისა კაცობრი-
ვისანი სიკვდილითა საუკუნოთა. დაჰხშენ თვალნი
შენნი, რათა მათ არა იხილონ იგინი, რომელთა-
განცა შემოვალნ სულსა შინა შენსა ცოდვა (მო-
მაკვდავი) მომაკვდინებელი მისი, ესე იგი, გულის
თქმა ბოროტი, რომელიცა, სიტყვისაებრ მოცი-
ქულის იაკობისა, ჰშობს ცოდვასა და ცოდვა
ჰშობს სიკვდილსა საუკუნოსა: „გულის-თქმა იგი
მიუდგის და ჰშვის ცოდვა, და ცოდვა იგი სრულ
იქმნის და ჰშვის სიკვდილი“ (იაკ. თავი ა – იე).
ესე ვითარითა უკრძალველითა მიმხედველობითა
პირველთა მშობელთა ჩვენთათა, ჩვენ ყოველთა
მოვიღეთ ხრწნილება და თვით სიკვდილი. სა-
ზოგადომან დედამან ჩვენმან ევვამ მიხედა თვალი-
თა თვისითა ხესა მას, რომლისადმიცა შეხება და-
ყენებულ იყო, და ამის გამო მოცთუნებულმან
კეთილ სახილველობითა მისითა, სრულებით გა-
ნიზრახა წინააღმდგომობითა ღმერთისათა ჭა-
მად ნაყოფისა მისგან და ამით განხრწნილ იყო
სული თვისი ცოდვითა სასიკვდინოთა და ჩვენცა
ყოველნი შთამომავალნი მისგან მივეცენით წყე-
ვასა და სიკვდილსა, ვითარცა მოწმობს საღმრთო
წერილი: „და იხილა დედაკაცმან, რამეთუ კე-
თილ არს ხისა მის ჭამა, რამეთუ სათნო არს
თვალთა აღხილვა, და შვენიერ განცდად, და
მიიღო დედაკაცმან ნაყოფისა მისგანი და ჰსჭამა,
და მისცა ქმარსა თვისსა, მისთანავე და ჰსჭამეს
(შექმ. თავი – გ – ვ). ამისთვის თვით ღვთისა-
გან შთავრდომილ იქმნა წყევასა ქვეშე და შთა-
მამავლობით თვისით სრულებით მიეცა სიკვდილსა;
მისგამო ჩვენცა შეგვემოსა ხორცი განხრწნადი,
აღსავსე ყოვლითა მწუხარებითა. გარნა, ქრისტი-
ანენო, ნუ შეშინებულ ვიქმნებით ჩვენ საგლო-

ველსა ამას შთამამავლობითისა წყევისა და მის-
თანა შეერთებულისა სიკვდილისაგან. უფალმან
ჩვენმან იესო ქრისტემან ივნო ჩვენთვის, აღ-
სდგა მკვდრეთით და აღდგომითა თვისითა გან-
გვწმიდა, განგვაახლა, განგვათავისუფლა ჩვენ
ყოვლისაგან ცოდვისა, პირველთა მშობელთასა
და ესე ვითარითა სახითა განგვამზადა ჩვენ სასუ-
ფეველისათვის ზეციერისა.

და ესრეთ, აწ ესე აღდგომილი მაცხოვარი
ჩვენი საიდუმლოდ მდგომარებს ჩვენ შორის, და
სურს სახლსა შინა სულსა ჩვენისასა შემოსვლად,
უკეთუ კარნი მისნი მტკიცედ იქმნებიან დახშულ
მაცთუნებლობათა და სიბოროტეთათვის ამის
სოფლისათა. ჰსურს რათა განგვაცხოველოს ჩვენ
მომკვდარნი ცოდვათაგან და აღგვიყვანოს ზეცად
და მოგვანიჭოს მემკვიდრეობა საუკუნოსა მის
ნეტარებისა; ნუ წინა აღუდგებით ნებასა აღდგო-
მილისა უფლისასა. დავჰხშათ კარნი სულისა
ჩვენისანი, ესე იგი, ვითარცა თვალნი, ესრეთვე
სასმენელნიცა ჩვენნი, და ნუ ვისმენთ ნურასოდეს
ესე ვითართა სიტყვათა, რომელნიცა შემძლებელ
არიან რათა აღაშფოთონ, დააბნელონ და დან-
ჰსთქან სული ჩვენი საუკუნოდ. განვეშორნეთ
კაცთა უღმრთოთა, განრყვნილთა, მოყვარეთა
სიცრუისათა, მაცთურთა, პირმოთნეთა, რომელ-
ნიცა შემძლებელ იქნებიან შერყევად და მოკვდი-
ნებადცა სულთა. ადამმან უსმინა მომაცთუნებელსა
თვისსა ცოლსა, და უკვდავებისაგან მიეცა სიკ-
ვდილსა; განხრწნასა და უჩინოებასა, ვითარცა
მოუთხრობს მისთვის მოსე აღმწერელი შექმნათა
„ჰრქვა უფალმან ღმერთმან ადამს ე, რ. ისმინე
შენ ხმა ცოლისა შენისა და ჰსჭამე, წყეულ იყავნ
ქვეყანა საქმეთა შინა შენთა; ოფლითა პირისა
შენისათა ჰსჭამდი პურსა შენსა ვიდრე მიქცევად
შენდა მიწად რომლისაგანცა მოგვიყვანე შენ, რა-
მეთუ მიწა ხარ, და მიწადცა მიხვიდე შენ. (შექმ.
თავი გ – იჰ – ით). ესე ვითარითა სახითა ადამ
მსმენელი მომაცთუნებელისა მის ხმისა ცოლისა
თვისისა, მოცთუნებულ იქმნა, და უკვდავი, არა თუ
თვით იქმნა მოკვდავად, უხრწნელი განხრწნილად,
ზეციერი მიწიერად, არამედ ჩვენცა ყოველნი

მისგანო ვითარცა მისგან შთამომავალნი შთაცვი-
ვნულ – ვიქმენით მასვე ცვლილებასა შინა და
მოკლებასა კეთილობათასა. ამისთვის თანამდებ-
ვართ ჩვენ, რათა დავჰხშათ საგრძნობელი ესე
ჩვენი, კარი ესე სულისა ჩვენისა, რომელ არა
ვისმინოთ და არა ვჰსცნათ ამაონი იგი და წარ-
მწყმენდელნი სიტყვანი რომელთაგანცა დაინ
თქმიან საუკუნოდ სულნი კაცთანი, რათა არა
მივეცნეთ კვალადაცა სიკვდილსა საუკუნოსა; და
რათა უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან მხი-
ლველმან კეთილისა კრძალულებისა და სარწმუ-
ნოებისა ჩვენისამან ინებოს მადლითა თვისითა
შემოსვლად ჩვენ შორის და გვყოს ჩვენ მოქა-
ლაქედ ნეტარად, ქალაქისა მის საღმრთოსად.

აღდგომილი უფალი იესო უხილავად მდ-
გომარე არს თქვენ შორის და სურს, რათა შემო-
ვიდეს იგი სულსა შინა თქვენსა; და თქვენცა, სა-
ყვარელნო, განბანილნო და განახლებულნო სი-
სხლითა მისითა, დაჰხშენით არა თუ მხოლოდ
თვალნი თქვენნი, რათა არა იხილოთ, არა თუ
მხოლოდ ყურნი თქვენნი, რათა არა ისმინოთ,
არამედ თვით ბაგენიცა თქვენნი, რათა არა იმე-
ტყველოთ სიტყვანი ამაონი; დაჰხშენით ბაგენი
თქვენნი, რათა არა წარმოჰსთქვათ „გიობანი“,
განკითხვანი და ცილის წამებანი, და რათა არა
აღმოსთქვათ ისე ვითარნი სიტყვანი, რომელნიცა
მსგავსად „მკვდრისა“ ორპირისა მახვილისა
მოგაკვდინებსთ თქვენცა და მოყვასთაცა თქვე-
ნთა, ანუ თუ მსგავსად სიკვდილ შემოსილისა
„სამარალისა“ განგხრწნიან თქვენცა და მოყ-
ვასთაცა თქვენთა. მიხედეთ წინასწარმეტყველსა
მეფესა დავითს მვედრებელსა ღვთისადმი და
მღაღადებელსა: „დასდევ, უფალო, საცო პირსა
ჩემსა, და კარი ძნელი ბაგეთა ჩემთა. (ფსალ.
რმ. რიკ. გ.) ესრეთ უკვე ყოველნი ქრისტიანენი
თანამდებ არიან, რათა ილოცვიდენ და ჰსთხო-
ვდენ ღმერთსა სამარადისოდ შეწევნასა დაცვი-
სათვის ბაგეთა თვისთასა; ვინაითგან სიტყვათაგან
თვისთა კაცი განმართლდების, და დაისჯებისცა,
ვითარცა თვით უფალი იტყვის ესრეთა სიტყვა-
თაგან შენთა განმართლდე, და სიტყვათა შენთა-

გან დაისაჯო. (მათე, თავი იბ, რიცხ. ლზ).

ისე ვითარითა სახითა ჩვენ მედღესასწაულეთა
დღისა ამის აღდგომისათა, და მსურველთა მი-
წევნად საუკუნოსა შინა დიდებასა, ყოვლითურთ
თანაგვაძს დაცვად სულთა ჩვენთა ესრეთ, რათა
საგრძნობელთაგან, რომელნიცა არიან კარნი
ტაძრისა მისისანი, არ შემოსრულ იქმნენ შინა-
გან ჩვენსა, რომელნიმე დამაბნელებელნი, და
მომაკვდინებელნი განზრახვანი. ვინაიდგან ვუწყით
თანამდებობა ესე ჩვენი, და ესრეთვე სიძნელეცა
აღსრულებად ამისა, ამისთვის ვევედრნეთ და
ვსთხოვოთ აღდგომილსა იესოს, რათა ვითარცა
მან ოდესმე შესრულმან მოწაფეთადმი თვისთა
მიანიჭა მათ მადლი ყოვლად წმიდისა სულისა,
ესრეთ აწცა მოგვანიჭოს ჩვენცა იგივე. ვევედრნეთ
მას, რათა თვით მან დაიცვას და საღმრთოთა
ძალითა თვისითა განამტკიცოს საგრძნობელნი
ჩვენნი, რათა ჩვენ ვხედვიდეთ, ვისმენდეთ და
ვმეტყველებდეთ მხოლოდ მას, რომელიცა გა-
ნაცხოველებს სულსა და განვეშორებოდეთ მათ-
გან, რომელნიცა მოაკვდინებენ მას. და რათა
ჩვენ მყოფნი განათლებულად მადლითა ყოვლად
წმიდისა სულისათა ღირს ვიქმენით და მივიღოთ
სახლსა შინა სულისა ჩვენისასა, აღდგომილი იგი
უფალი იესო, რომელიცა გვყოფს ჩვენ მემკვი-
დრედ საუკუნოსა დიდებისა თვისად, და მემკვიდ-
რედ ზეციერისა მის სამეფოსად. ამინ.

შესხმა,

**თქმული 11-ს ნოემბერს 1884-ს წელსა, შემ-
თხვევისაგამო მიტროპოლიტის ისიდორეს 50
წლის ეპისკოპოსობის იუბილეისა. არხიმან-
დრიტის გრიგორისაგან – (დადიანი)**

> არა აღანთიან სანთელი და და-
> ჰსდგიან ქუჱშე ხვიმირისა, არამედ
> სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი
> ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა
> შინა. (მათეს თავი ე. იე – ივ).

ჩვენი მართლ-მადიდებელი საქართველოს ეკკლესია დაარსებისათანავე თვისისა მიეცა სხვა-და-სხვასა ტანჯვასა და წვალებასა ქრისტეს სა-რწმუნოების მტრებისაგან. წარმართნი, თათარნი, ყიზილბაშნი. ჩერქეზნი, ლეკნი, ოსნი თითქმის განუწყვეტლად ქენჯნიდენ მას. თუ ხან-დის-ხან, რომელისამე ძლიერის მეფის ხელში, საქართვე-ლოს ეკკლესია განთავისუფლდებოდა დროებით ტანჯვისაგან, თითქო იმისთვის, რომ შესძლე-ბოდა მას ატანა მომავალის, უფრო ძლიერის წვალებისა. ამ გვარად იტანჯა იგი თუთხმეტი საუკუნის განმავლობაში., მაგრამ დრონი ფალ ნენ. ამ საუკუნის დასაწყისში, განგებითა ღვთისა-თა, შეუერთდა იგი რუსეთის ეკკლესიასა და ჰპოვა მან მყუდრო ნავთ სადგური. ამ დროიდგან ბედის წერა საქართველოს ეკკლესიისა შეკავშირდა რუ-სეთის ეკკლესიის ბედის წერასთან. შეერთებულის ეკკლესიის მთავარ ეპისკოპოსთაგან არა ერთნი არიან ღირსნი პატივის-ცემისა საქართველოს მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთაგან თავიანთ ქველ-მოქმედებით და მოღვაწეობით. მაგრამ, უეჭველია, მათ შორის უპირველესი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკკლესიის კეთილ-დღე-ობისათვის ზრუნვით და ქველ-მოქმედებით დღე-ვანდელს იუბილიარს, უწმიდესის სინოდის თავს-მჯდომარეს, პეტერბურგის და ნოვგოროდის მიტროპოლიტს ისიდორეს. მართალია, სულ უმეტეს ცამეტის წელიწადისა განაგებდა იგი სა-

ქართველოს ეკკლესიას; მაგრამ ისეთ დროს შეხვდა მას აქ სამსახური, რომ შეიძლო მოკლეს დროში აღებეჭდა მას გზა ნავალი.

საქართველოს რუსეთთან შეერთების თანავე დაიწყო ომი რუსეთის კავკასიის ურწმუნო და დაუგრომელ ხალხებთან, რომელიც გაგრძელდა მთელი სამოცი წელიწადი და გათავდა მხოლოდ მაშინ, როდესაც შეპყრობილ იქმნა უკანასკნელი მძვინვარე წინამძღოლი ლეკთა, და დამორჩილებულ აღმოსავლეთ-დასავლეთი კავკასია.

დღევანდელს იუბილარს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს მიტროპოლიტს ისიდორეს შეხვდა საქართველოში ექსარხოსობა სწორედ მაშინ, როდესაც ხსენებული ომი გაცხარებული იყო და როდესაც ლეკები თავს ზარსა ჰსცემდენ საქართველოს კუთხეებს, განსაკუთრებით კახეთს. საქართველოს ქრისტიანობა იყო შეშფოთებული და მისთვის საყვარელი, გაჭირვებაში მისალტოლველი ადგილები – მონასტრები, ძველად მოოხრებულნი, წარმოადგენდენ უწყალო ნანგრევებს. მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ისიდორე შეუდგა ამ შემთხვევაში ხალხისაგან უფრო საპატივცემულო მონასტრების და ტაძრების აღდგენას; მან განაახლა და განამშვენიერა ტაძარი ალავერდისა, მონასტრები და უდაბნო მარტყოფისა და ქვათა ხევისა და დავით გარეჯის უდაბნოც ბოლოს დროს ლეკთა და თათართაგან აოხრებული. ამ მონასტრებში ხალხმა სიამოვნებით დაიწყო მსვლელობა წინანდებურად და მით სალბუნი დასდო მსასოებელთა მართლ-მადიდებელთა. არც ეს დედა ტაძარი საქართველოსი, სიონი, მოწამე მრავალ-გვარის ტანჯვისა და არა ერთხელ შერყეული ქრისტიანობის მტერთაგან, დარჩენილა უყურადღებოდ დღევანდელს იუბილიარს. ნახა რა იმან, რომ ეს დიდებული ტაძარი პატივ-საცემი იყო არა თუ საქართველოს მართლ-მადიდებელ ქრისტიანთაგან, არამედ სომეხთაგან და ფრანგთაგანაც, დიდი მეცადინეობა მიიღო მის განახლებაში, შესაფერისად განამშვენიერა იგი მხატვრობით. ამით არ გათავებულა იმისი მოღვაწეობა სასარგებლოდ საქართველოს

ეკკლესიისა. საქართველოს ზოგიერთა ადგილე-
ბში, რომელნიცა დროთა ვითარებისა გამო მო-
შორებულ იყვნენ ჩვენს სარწმუნოებას, და სადაც
მაჰმადის სჯული გავრცელებულ იყო, მან, ვი-
თარცა მოციქულმა, აღმართა ჯვარი ქრისტესი
და განანათლა ნათლითა ქრისტესითა წყვდიადი
მაჰმადის სარწმუნოების სალოცავთა ადგილთა.
გარდა ამისა იგი სცდილობდა ქართულის წინა
დაბადების ტექსტის აღდგენას, იმან გარდაათარ-
გმნინა ქართულიდგან სლავიანურს ენაზედ და
შეიყვანა სლავიანურ ღვთის მსახურებაში წმიდა
ნინოს საპატივცემულოდ შედგენილი საგალო-
ბელი; იგი სცდილობდა სასულიერო სასწავლე-
ბლების გაუმჯობესობას, ზრუნვიდა სამღვდე-
ლოების კეთილ-დღეობისათვის და სხვ.; იგი
უყურებდა საქართველოს ხალხს, როგორც თა-
ვის საკუთარს მოძმეებს, რისთვისაც საქართვე-
ლოს მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენიც უყუ-
რებდენ მას, როგორც თავიანთს სულიერს მამას
და ყოველს მისს მოქმედებაში ხელს უწყობდენ
მას. ამდენ ჩვენის ეკკლესიის სასარგებლო მო-
ღვაწეობასთან მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა
იუბილიარმა გამოიჩინა შესანიშნავი კაცთ-მოყვა-
რებაც შესახებ მტრებისაგან დაობლებულების
ქართველი ყმაწვილებისა; ხშირად მოხდება ხო-
ლმე, როგორც იუბილიარის საქართველოში
მოსვლამდის, ისე იმის აქ ყოფნაში, რომ ლეკები
აიკლებდენ სოფლებს, ამოხოცდენ მამა-კაცებს
და ტყვედ წაიყვანდენ ყმაწვილებს და ქალებს;
უფრო უმეტეს ემტერებოდენ იგინი სასულიერო
პირებს, როგორც ქრისტეს სარწმუნოების მა-
სწავლებლებს: ბევრი მათგანი დატანჯულ იქმნენ
და მიაბარეს სული ღმერთსა; ბევრს მათგანს
დარჩნენ ობოლნი ვაჟნი თუ ქალნი; უპატრო-
ნოდ და უნუგეშოდ – აი ამათთვის პატრონად და
ნუგეშად გამოჩნდა მიტროპოლიტი ისიდორე.

მას ჰქონდა გავლენა თავად-აზნაურობაზე და
აკისვრინებდა მათ ბარბაროსთა ლეკთაგან აკლე-
ბულ სამღვდელოების ოჯახობისაგან დარჩენილ
ობლების აღზრდას და ისინი შეწევნის ფელს
აძლევდენ მას. არა ერთი იმ გვარის სასულიერო

წოდების ქალთაგანი ესე ვითარის წყალობით შეიქნენ უაღრესის ბედნიერებისადმი მიწევნილნი. ეჭვი არ არის რომ არა ერთი ამ გვარ ობოლ-თაგანი შეაერთებს დღეს თავის ლოცვას მრთელი რუსეთის ეკკლესიის ლოცვასთან დღეგრძელო-ბისათვის იუბილიარისა.

და ჩვენცა მოვედით, ძმანო და მამანო! შევუ-ერთოთ ლოცვა ჩვენი რუსეთის ეკკლესიის ლო-ცვასთან დღეგრძელობისათვის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ისიდორესა, რომელმაც მთე-ლი (50-ი) ორმოცდა ათი წელიწადი განვლო ეპისკოპოსის ხარისხში სასარგებლოდ რუსეთის და ჩვენის ეკკლესიისა, რათა მით აღვასრულოთ ერთის მხრით მოვალეობა ჩვენი მისდამი იმ კე-თილი საქმეებისათვის, რომელნიც მას უქმნია ჩვენთვის, და მეორეს მხრით მისთვის, რათა და-ვიცვათ ზემოხსენებული მცნება სახარებისა. „არ-ცა აღანთიან სანთელი და დაჰსდგიან ქუჱშე ხვი-მირსა, არამედ სასანთლესა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვნიან სახლსა შინა“. (მათეს თავი ე. იე – ივ) ამინ.

მოკლე მოძღვრება,

თქმული 14 იანვარს ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში ყოვლად უსამღვდელოესის გაბ-რიელისაგან.

კეთილშობილნო მოწაფენო!

აწინდელი დღე მართლ-მადიდებელმა ეკკლე-სიამ დანიშნა წმიდა ნინას მოსახსენებლად, ხოლო ჩვენცა ყველა, აქ შეკრებილნი, ამასთანავე ვდღე-სასწაულობთ ამ ტაძრის დღეობას. დამაარსე-ბელმა ამა თქვენი სასწავლებლისა და ამაშენებლებ-მა ამ ეკკლესიისა განგებ დაარქვეს ამა სასწავ-ლებელს წმიდა ნინას სახელი. წმიდა ნინამ

გაანათლა საქართველოს ერი ქრისტეს სარწ-
მუნოებითა; ხოლო თქვენ ყველანი, აქ მოსწავ-
ლენი, სწავლობთ ამავე სარწმუნოებას, ნათლ-
დებით იმავე ქადაგებით და მოძღვრებით, რო-
მელნიც წმიდა ნინამ მოუტანა ჩვენ წინაპართა.
ამასთანავე თვით წმიდა ნინა არის უმჯობესი
თქვენთვის მაგალითი და ჭკუის მასწავლებელი.
თქვენ შეგიძლიანთ და ვალდებულნიცა ხართ
შეისწავლოთ მისი ცხოვრება, საქმენი და მისი
სულიერნი თვისებანი და მერმე მიბაძოთ მას.
არც ერთი მოძღვრება არ სჯობია ცხოველ
მაგალითს. საქმე უკეთესია სიტყვაზე, მაგალი-
თი უკეთესად მოქმედებს კაცზე, ვინემ მარტო
სიტყვა.

რას შესწირა წმიდა ნინამ თავისი სიცოცხლე?
რაზე ეფრო ზრუნავდა ის? რას მოახმარა მან
თავისი სულის ძალა? მან თვისი თავი და ყოვე-
ლივე თვისი ძალა შესწირა ღვთის სამსახურს.
პატარაობიდგანვე მის გელში დაიბადა რაღაც
საიდუმლო მისწრაფება, სურვილი, რომ მოსუ-
ლიყო საქართველოში და ექადაგნა აქ ქრის-
ტეს სარწმუნოება; ის დარწმუნებული იყო,
რომ ეს სურვილი იყო გაღვიძებული მასში ღვთის-
გან და ამიტომ ყოველივე დაბრკოლება მხნეთ
დასძლია მან და იხმარა ყოველივე დონე, რომ
მოსულიყო ივერიაში და ქრისტეს სარწმუნოე-
ბით გაენათლებია ივერიელნი. აი ცხოველი მა-
გალითი, რომელსაც უნდა მიბაძოს ყოველმა
ქალმა, თუ უნდა რომ ნამდვილი ქრისტიანე
იყოს. მართალია, ყველა ქალს არ შეუძლია,
რომ იგი მეორე ნინა იქმნეს. არა ყოველს ქალს
შეუძლია მოაქციოს ქრისტესადმი მთელი ხალ-
ხი. ამისთანა საქმის შესრულება არ შეუძლიან
ყველას. მაგრამ ყოველ ქალს შეუძლია და ვალ-
დებულიცა არის ნიჭისა მებრ მისისა თვის წრე-
ში, განაღვიძოს ღვთისადმი სიყვარული და შეს-
წიროს თავის თავი თავის ნათესავთა, მოყვასთა
და, შეძლებისა და გვარად, იყოს მომხრე კეთი-
ლისა. განსაკუთრებით ყოველს ქალს შეუძლია
და მოვალეც არის, რათა იყოს აღმასრულებე-
ლი ღვთის ნებისა; დიდი საქმეა ღვთის პატივის

ცემა და დიდება მისი ჩვენი კეთილი საქმეებით. ეს უმეტესად მოგეთხოვებათ თქვენ, რადგან ამ სასწავლებელში ნერგვენ თქვენს სულში უძვირფასეს სიმდიდრეს – ქრისტიანობრივს განათლებას. სამწუხაროა, როდესაც ვინმე ქალი იქცევა დაფანტულად და თავის სიამოვნების გარდა არაფერზე არ ფიქრობს და უყვარს მხოლოდ თავის თავი. მაგრამ როდესაც ასე იქცევა ის ქალი, რომელმაცა განათლება მიიღო, ეს უფრო სამწუხაროა და არ მიეტევება მას.

მეორედ, წმიდა ნინას უყვარდა უბრალო და მშვიდი ცხოვრება, არაფერში არ უყვარდა გადაჭარბება, კმაყოფილდებოდა უბრალო საჭმელით და უბრალო ტანისამოსით. აი დიდი და მისაბაძავი მაგალითი ყოველთა ქალთა, განსაკუთრებით ჩვენი ახალის დროის ქალთა! როცა თქვენ ამ სასწავლებელში სწავლას შეასრულებთ და შემდეგ შეუდგებით თავისუფალ ცხოვრებას, ერიდეთ ძვირფას მორთულობას, ნუ გაერთობით უბრალო ქვეყნიურს სიამოვნებასა და გაფანტულს ცხოვრებასა, რადგან ამისთანა ცხოვრება მავნებელი იქნება თქვენთვის. საუბედუროდ და მრავალთა სამწუხაროდ, შენიშნულია, რომ განათლებული ქალები უფრო ეტრფიან ამისთანა ცხოვრებას. ამიტომ თქვენ ყოველთვის თვალწინ უნდა გქონდესთ წმიდა ნინა. იმასაც შეეძლო მდიდრულათ ჩაცმა და ცხოვრება; რადგან მასაც ჰქონდა შეძლება, რომ თვისი ცხოვრება სიამოვნებით გაეტარებია, მაგრამ ეს ყოველივე შესწირა ღვთის და მოყვასთა სამსახურს. ამ სასწავლებელში თქვენ, კეთილშობილნო მოწაფენო, უნდა მიეჩვიოთ ყოველ საგანზე სჯას კანონიერად. აქ თქვენ უნდა ჩაინერგოთ თქვენს სულში მტკიცე გრძნობანი და უნდა განამტკიცოთ თქვენი ნება, რომ შემდეგში ყოველივე მწუხარებას დახვდეთ მზათ; შთაინერგეთ თქვენ სულში წმიდა ნინას მაგალითი და დარწმუნდით, რომ ზონიერს, ფხიზელს და შრომის მოყვარულ ცხოვრებას შეუძლია ბედნიერება მიანიჭოს კაცს, ხოლო მოუფიქრებელი, წინ-დაუხედველი და არა ზომიერი ცხოვრება

ღუპავს ყოველ კაცსა.

შეგეწიოსთ თქვენ ყველას ღმერთი წმიდა ნინას ვედრებით, რათა ცხოვრებაში ყოველთვინ იქმნეთ მომხრე კეთილობისა და სიწმიდისა. ამინ.

მოკლე მოძღვრება. *)

რაში მდგომარეობს ზიარებისათვის მომზადება?

ძმანო ქრისტიანენო! თქვენ ემზადებით საზიარებლად. მადლობა ღმერთსა! კეთილი და საქებარი საქმე განგიზრახავსთ. სასიხარულოა ჩვენ მოძღვართათვის, როდესაც ვხედავთ ღვთის მსახურებისადმი მიდრეკილებას ჩვენ სამწყსოთა შორის. ღმერთმან ჰყოს ეს მომზადება თქვენ საცხონებლად. მაგრამ რომ რიგიანად მოვემზადოთ, ძმანო ქრისტიანენო, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რაში მდგომარეობს ზიარებისთვის მომზადება? რა მოვალეობა უნდა აღვასრულოთ, რომ რიგიანად მოვემზადოთ? როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ უკეთესად აღვასრულოთ ეს მაცხოვრებითი წმიდა მოვალეობა?

ეს მომზადება ძმანო ქრისტიანენო, მდგომარეობს მარხულობაში, მაგრამ წმიდა ეკკლესიის სწავლისამებრ მარტო მარხულობა არ კმარა ღირსეულად მომზადებისათვის. მარხულობასთან ჩვენ უნდა აღვასრულოთ წმიდა ეკკლესიისაგან დაწესებული მიუცილებელი მოვალეობა-აღსარება და სხვა ლოცვები, დადებულნი მორწმუნეთათვის სიწმიდის მიღებამდისინ.

*) თქმულ არს ყვირილის ნათლის-მცემლის ეკკლესიაში მღვ. დ. ღამბაშიძისაგან პირველი დიდ-მარხვის კვირიაკის სამშაბათს.

პირველად ყოვლისა საზიარებლად მომზადებულმან უნდა დასტოვოს ქვეყნიერი ზრუნვა თავის საოჯახო საქმეებზე. ყოველივე ღონის ძიებით უნდა ცდილობდეს, რომ ქვეყნიერი

საქმეები და ზრუნვა არ იზიდავდნენ მის გონებას, გულს და ნებას. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველა ოჯახური საქმეები მივატოვოთ და სრულიად მათზე აღარ ვიფიქროთ. არა, შეგვიძლია მცირე საოჯახო საქმეებიც შევასრულოთ, მაგრამ ამ საქმეების შესრულების დროს ჩვენ ნიადაგ უნდა გვახსოვდეს ღმერთი და ხშირად გამიმეორებდეთ: „უფალო შეგვიწყალენ! ღმერთო მილხინე მე ცოდვილსა ამას! იესო მაცხოვარო, შემიწყალე მე!“

მიუცილებლად უნდა ვიაროთ ეკკლესიაში და განსაკუთრებულ ყურადღებით ვისმენდეთ ლოცვას. ჩვენ აქ, ეკკლესიაში, ვდგევართ ცხოვრების გზაზე, სასუფევლის გზაზე. აქ, საყდარში, სადაც გვესმის მაცხოვარებითი სწავლა, მოწიწებით ყურს უნდა უგდებდეთ ლოცვის სიტყვებს; განვეშოროთ ამ ქვეყნიერ აზრებს და მარტო საღმთო წიგნების სიტყვას ვისმენდეთ და მათზე ვფიქრობდეთ. როდესაც ეკკლესიიდამ გამოდიხართ, ვინც კითხვა იცის, უნდა კითხულობდეს საღმრთო წერილს და სხვა ჭკუის დასარიგებელ წიგნებს. ვინც კითხვა არ იცის, ის თავის თავს უნდა გამოიცდიდეს; უნდა დაფიქრდეს თავის თავზე და კითხოს თავის თავს; „რას ვშვრები მე? ვის მისაღებად ვემზადები? როგორ უნდა მივეგებო მე მას? ვარ თუ არა ღირსი ზიარებისა? ვაი თუ მითხრას მან, რომ მე არა ვარ ღირსი ზიარებისა? ამისთანა და სხვა ამ გვარ კითხვებზე დაფიქრება ყველა მაზიარებელთათვის დიდი სასარგებლოა.

ამასთან ღირსეული მომზადებისათვის, ძმანო, საჭიროა, რომ ყველასთან გვქონდეს მშვიდობა და ჩვენი სული ტკბებოდეს მშვიდობითა. უამისოთ ჩვენი მომზადება იქნება ფუჭი, უსარგებლო, ამაო. ჩვენ ვერ გავხდებით ღირსი ზიარებისა, თუ ჩვენი ძმის და მოყვასის შური ჩვენს გულში ბუდობს და განსვენებას არ გვაძლევს. შეიძლება სხვასაც არ ჰქონდეს ჩვენზე კეთილი გული და მომდურავი იყოს, მაგრამ შენ, ძმაო, რომ არ დაბრკოლდე, თუ არ შეგიძლია მას თან მიხვიდე და შეირგო, შენ შეურიგდი მას

შენს გულში და კეთილის მეტი მაზედ არაფერი ფიქრო.

ამ მომზადებასთან, რასაკვირველია, საჭირო არის მარხულობა. ჩვენ ვმარხულობთ მისთვის, რომ თვითონ მაცხოვარმან ჩვენმან იესო ქრისტემ დაგვიწესა მარხულობა თავისი მარხვითა. ვმარხულობთ მისთვის, რომ თვით მოციქულებიც მარხობდენ; ჩვენ ვიმარხავთ მისთვის კიდევ, რომ მარხვის შენახვა არის კეთილი საქმე და საჭიროა იგი ჩვენი ტანმრთელობისათვის და ცხონებისათვისაც...

მარხვა მასში მდგომარეობს, რომ ჩვენ ამ დღეებში არ ვხმარობთ ხორცეულობას, ყველს, რძეს, კვერცხს და თევზსა. ჩვენ ვხმარობთ მარტო მცენარის საჭმელსა და იმასაც ზომიერად.

ყველა ეს არის, ძმანო, მარხულობა სხეულისა. მაგრამ კიდევ არის მეორე გვარი მარხულობა – მარხულობა სულიერი. ეს სულიერი მარხულობა მდგომარეობს მას შინა, რომელ ჩვენ ჩვენში მოვსპოთ ყოველ ნაირი ბოროტი აზრები და ფიქრები. მოვსპოთ ყველა ბოროტი ფიქრები, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ჩვენ მოყვასთათვის, მცნებათა და ჩვენი სინიდისისა; დავსდოთ ჩვენს ბაგეს საცო და მოვსპოთ უქმი მეტყველება, ბოროტ-მეტყველება და ამაოდ მეტყველება. სულიერი მარხულობა მდგომარეობს კიდევ მასში, რომ შევასრულებდეთ კეთილთა საქმეთა შევეწევოდეთ გლახაკთა ვანუგეშებდეთ მწუხარეთა და შევიბრალებდეთ გაჭირვებულთა და საწყალთა.

თუ ასე ვიქცევით, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ ვემზადებით საზიარებლად და ღირსიც ვიქნებით ზიარებისა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ზნეობით დაცემულ დროში, ყველა ასე როდი ემზადება! ზოგი ინახავს მარხვას, მაგრამ მის სამარხო საჭმელს ზომა არა აქვს; დადის ეკკლესიაში და ლოცვის დროს დგას სხვა მლოცველებთან, მაგრამ მისი გონება გაფანტულია ამ ქვეყნიერ საქმეებზე; ის სულ სხვას ფიქრობს. ზოგიერთი ამისთანა პირების გონება და სინიდისი იქამდის მდაბლდება, რომ ეკკლესიაში

იწყებენ ლაპარაკს, სიცილს და ხუმრობას. ის, რაც ყველა სასამართლო ადგილებში აღკრძალულია, იმას აქ ეკკლესიაში გაბედვით ასრულებს. ამისთანა პირები თავისთავსაც აბრკოლებენ და სხვასაც და ასე ორ ნაირ ცოდვაში ვარდებიან. ამისთანა პირები თავისთავს ატყუებენ და უღირსად იღებენ ქრისტეს ხორცსა და სისხლსა. დაფიქრდი შენ, ძმაო, და დარწმუნდი, რომ ზიარება უღირსთათვის ცეცხლი არს შემწველი. ამისთვის ეცადე, ძმაო, რიგიანად მოემზადო და ღირსი გახდე ზიარებისა, რომლისაცა ყველა თქვენ ღირსი გაგხადოსთ უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან. ამინ.

შესხმა,

თქმული სიგელზე თბილისის საქალო გიმნაზიაში საქართველის ექსარხოსის, არხიეპისკოპოზის პავლესაგან 17-ს ოკტომბერს 1882 წელსა.

მოუწოდებ თქვენზედა, შვილებო, ღვთის კურთხევას და სულით და გულით ვისურვებ, რათა თქვენ ცხოვრებაში მიბაძებდეთ სახარებაში მოხსენებულთა კეთილთა ქალთა, რომლებზედაც გითხრათ თქვენ თქვენმა საღმთო სჯულის მასწავლებელმა, – მიმსგავსებოდეთ მათ ცხოველი სარწმუნოებით, მტკიცე სასოებით, ღვთისა და მოყვასის მხურვალე სიყვარულობით. გულით ვისურვებ, რომ როგორც სკოლაში, ისე მის გარეშე თქვენ იყვნეთ ჭეშმარიტნი ქრისტიანენი, თქვენი კეთილ-თვისებაებით იმოქმედოთ იმათზედაცა, რომელნიცა არ აღიარებენ ქრისტესა, თქვენი კეთილ-მსახურებით და ჭეშმარიტი ქრისტიანებრივი ურთი-ერთის სიყვარულობით აუწყებდეთ დიდებასა ქრისტესა და ქრიტიანობისასა, კეთილ მოქმედებასა ქრისტეს სწავლისა და სჯულისასა ხალხთათვის და მიაჩვიოთ ყველანი ქრისტეს

სიყვარულობასა.

შემდეგ არ შემიძლია არ გაგიმეოროთ შესხმის დასასრულ მოყვანილი საღმრთო სჯულის მასწავლებლისაგან გაფრთხილება, რათა თქვენ არ შეადგინოთ უმაღლესი აზრი ქალზე – მის უფლებაებზე, თვისებაებზე და ღირსებაებზე და არ იფიქროთ სახარებაში მოხსენებულის ქალის მაღალის თვისებაების საფუძვლით, რომ ვითომც ქალი არა თუ თანასწორი არის კაცისა, არამედ მეტიც მაზე. ეს იქნებოდა შეცთომა, წინააღმდეგი სახარებისა და ჭეშმარიტებისაცა საზოგადოდ. ბევრში ქალი თანასწორია კაცისა, ზოგიერთ შემთხვევაში, – გულის გრძნობით, სირბილით, სიყვარულით, – ის საზოგადოდ მაღლა სდგას კაცზე და ქრისტიანობამ სარწმუნოების და ცხოვნების შესახებ გაათანასწორა ქალი და კაცი, არ გაარჩია მამრის სქესი და მდედრისა (გალტ. 3. 28). მაგრამ სახარებისამებრ კაცი უმაღლესია ქალზე. კაცი უმაღლესია ქალზე მისთვის, რომ უმაღლესი სახარებაში მოხსენებული პირი, უმთავრესი საგანი სახარებისა – უფალი ჩვენი იესო ქრისტე არის კაცი. ნურაფერს ვიტყვით მის ღვთაებრივ ბუნებაზე. კაცობრივ ბუნებითაც ის მიუწდომლად უმაღლესია ყოველთა კაცთაზედა. ის უმაღლესია უსრულეს, უმაღლეს ქალზე, – თავის ყოვლად პატიოსანს დედაზე, – უმაღლესია იმ თვისებაებით, რომლითაც ქალი აღემატება კაცთა – უმაღლესია სიყვარულობით ზეცათა ღვთისა მამისა და კაცთა მხურვალე სიყვარულობით და გრძნობით. ვის შეუძლია შეედაროს სიყვარულობაში იმას, რომელმანც დასდვა სული თვისი ცოდვილთა კაცთა ნათესავისთვის, კაცის უაღრესობა ქალზე, სახარებისა მებრ იხილვების იქიდამაც, რომ კაცობრიული სახით წარმოდგენილი ღმერთი გამოცხადდების კაცის სახით. პირველნი პირნი წმიდისა სამებისა იწოდებიან მამად და ძედ. ხალხისთვის ღმერთი იწოდება მამად მათდა. ქრისტეს იგავში გარყვნილ შვილზე, მამა ზეცათა ღმერთი გამოიხატება მამის სახით და მამა იგავში გამოიხატება აღსავსე იმისთანა სიყვარულითა, რომელზედაც მეტი არ

მოიპოვება არც ერთი მოსიყვარულე დედის გულ-
ში. აი ესრეთ სახარება მამა კაცს რაცხს უმაღლესად
დედა-კაცთაზედა იმისთანა თვისებებითაც, რომ-
ლითაც ქალები აღემატებიან მამა-კაცთა, უმაღ-
ლესი და უზენაესი სიყვარულობით.

თუ ღმერთ-კაცისაგან და ძის ზეციურ მამი-
საგან გადავალთ საზოგადოდ სახარების კეთილ-
კაცებზე, მაშის ისინი გამოგვეცხადებიან ჩვენ უფ-
რო მალე უმაღლესად, ვინემ უმდაბლესად და
თითქმის თანასწორად სახარების დედა კაცთა...
რასაკვირველია, თუ უკეთესი ქალები, სახარებაში
მოხსენებულნი, შევადარეთ უღირს კაცებს,
მაშინ ქალები აღმოჩნდებიან უმაღლესად
კაცთა. მაგრამ ასე გასინჯვა დაკთთა იქმნება
მიდგომითი. შედარება იქნება მიუდგომელი
მაშინ, როდესაც შედარებულნი იქნებიან უკეთეს-
ნი ქალნი უკეთეს კაცებთან. ამ შემთხვევაში უპი-
რატესობა არ დარჩება სახარებით ქალსა...
სამარიტელი ქალი უმაღლესია სარწმუნოებით
ნიკოდიმეზე, იმ ადვილ რწმუნებითა, რომლითაც
ირწმუნა ქრისტე; მაგრამ უპირატესი არის სარ-
წმუნოებით კეთილ-გონიერი ავაზაკი! იმან ირწ-
მუნა ქრისტე არა გრძელი საუბრის შემდეგ, არა
წინასწარმეტყველური ნიჭის გამოყვანის შემდეგ,
როგორც ეს მოხდა სამარიტელ ქალთან, არა-
მედ იმ მინუტში, როდესაც მასში, ერთი შეხედ-
ვით, ნაკლებად შეიძლებოდა შეტყობა უფლისა,
ძისა ღვთისა... ცოლი პილატესი უმაღლესია
უღირს თავის ქმარზე; მაგრამ უმაღლესი არ არის
რომის ასის თავზე, რომელმანცა ირწმუნა იესო
ქრისტე ჯვარზე დამოკიდებული? გასაოცარია
სარწმუნოება, სიყვარული თავის ასულისა და სიმ-
დაბლე ქანანელი ქალისა, რომელიც შეწუხებუ-
ლი იყო თავისი ასულის ავათმყოფობის გვემით,
ვითარება მაღალია, მაგრამ დედისაგან მოსა-
ლოდნელია, რომელიც ამისთანა მდგომარეო-
ბაში შთავარდნილია. მაგრამ როდესაც რომის
ასისთავი მიუცილებლად სთხოვს ქრისტეს თავის
სნეული ჭაბუკის მონის განკურნებას, როდესაც
ამპარტავანი რომაელი შერაცხს თავის თავს
უღირსად, რომ მის სახლში შევიდეს ქრისტე –

ებრაელი, როდესაც იგი ერწმუნება მისი სიტყვის
ძლიერებას, – ნუ თუ ეს სიყვარული, ეს სიმდაბ-
ლე, ეს სარწმუნოებით უმდაბლესია ქანანელი
ქალის სარწმუნოებაზე, სიყვარულზე და სიმდაბ-
ლეზე? ყოვლად პატიოსანი, წმიდა, მხურვალეა
სიყვარული ქრისტეს და მისი სწავლისადმი
მარიამისა – ლაზარეს დისა. მაგრამ ამაზე მეტია
სიყვარულობით მოციქული, შეყვარებული მოწა-
ფე ქრისტესი წმიდა იოანნე ღვთის მეტყველი.
უმაღლესად მოციქულთა გვეჩვენებიან მენელ-
საცხებელნი დედანი ჯვარცმის ვნების დროს
ქრისტესა... მოწაფეები განიფანტენ და დასტო-
ვეს ქრისტე მარტო, ხოლო მენელ-საცხებელნი
დედანი კადნიერად სდგანან ჯვართან, მაგრამ
ჯვართან იდგა ერთი კაცი მოციქულთა-
განი იოანნე ღვთის მეტყველი... ხოლო იოსებმა
ნიკოდიმოსითურთ არ მიხედეს თავის სიცოცხლის
შიშს, გარდმოიღეს გვამი უფლისა ჯვარიდგან.

ამასთან დრო იესო ქრისტეს ვნებისა იყო
მოციქულთათვის გამოცდისა და უძლურე-
ბისა, ხოლო მენელ-საცხებელთათვის –
რომელთაგან ზოგს მათგანს ჰქონდათ
დრო განსაცდელისა და დაცემისა, – ეს დრო
მათთვის იყო მათი ზნეობითად აღმატებისა და
უაღრესობისა. დადგა შემდეგ დრო მოციქულთა-
თვის ზნეობრივი დღესასწაულობისა, – და მათ
თავისი სისხლითა აღბეჭდეს თავისი სარწმუნოე-
ბა ქრისტესადმი და თავიანთი სიყვარული მის-
დამი. ამ დროს ისინი თუმცა არ იდგენ უმაღ-
ლესად წმიდათა დედათა – მენელ-საცხებელთა,
მაგრამ გაუთანასწორდნენ მათ. საზოგადოდ გა-
გრძელება დიდი საქმისა – ხალხის ცხონებისა
ქრისტემ მიამდო უაღრესად კაცთა, წმიდათა მო-
ციქულთა და მათ მოადგილეთა და ვითარი შეუ-
დარებელი დიდება სულისა და სიყვარულობისა
გამოიჩინეს მოციქულებრივ სამსახურში მოცი-
ქულთა პეტრემ და პავლემ და სხვა მოციქულ-
თაცა!... მათ მოჰფინეს ხმა სახარებისა მთელს
ქვეყანაზე და ყოველ საუკუნეთათვის დაიცვეს და
გარდასცეს ეკკლესიას თავისი წმიდანი წერილნი
იესო ქრისტეს ჭეშმარიტებაზე; ეს დიდი უაღ-

რესობაა კაცთა.

მიებაძეთ, კვალად ვიმეორებ, სახარების ქალთა კეთილ-მოქმედებით, – სარწმუნოებით, სიყვარულობით, სასოებით, მიჰბაძეთ იმ ქალთა, რომელნიც გიჩვენეთ შესხმაში. მაგრამ მე თქვენ გიჩვენებთ კიდევ ერთ სახარების ქალს, რომელიც დაგვავიწყდა ჩვენ შესხმაში, რომელიც სხვა წმიდათა ქალთა შორის ღირსია მიბაძვისა. ეს ქალია ყოვლად წმიდა ქალწული მარიამი, – დედა-ღვთისა-კაცისა. ვითარი უსრულესი სიწმინდე, ვითარი სიმშვიდე, ვითარი თავდაჭერილობა სიტყვაში, რა საკვირველი წმიდა კეთილ-გონიერება განასხვავებს მას – უსრულეს ყველა ქალებში!... სიმდაბლისა გამო, ის არა რაცხს თავის-თავს ღირსად დედად უფლისა და შიშით ისმენს ზეციურ მახარებულსა და მხოლოდ დაწვლილებით მოფიქრების შემდეგ ის ერწმუნება კეთილ-ხარებას. არა თვის ზნეობრივ სისრულეში, არამედ თავის სიმდაბლეში ხედავს იგი თავის დიდების საფუძველს, – მოწოდებას დედად უფლისად ყოფნისა... ამაღლებულია რა ყველაზე მეტათ ეკკლესიაში, იგი ეკკლესიის მმართვაში, მდაბლად იჭერს თავს აჩრდილში, მიანიჭებს რა მოქმედებას ეკკლესიაში, ნებისამებრ ძისა და ღვთისა თვის მოციქულთა... ხოლო სიყვარული მისი ქრისტიანთა ნათესავთადმი რა მრავალ კეთილ-მოქმედების სახით გამოცხადებულ არს!... აი ყველაზე მეტათ ღირს-მისაბაძავი მაგალითი თქვენთვის, შვილებო. ეს მაგალითი არის ყოვლად წმიდა ქალწული მარიამი – უბიწო და უპატიოსნესი, მშვიდი და წყნარი, თავ-დაკავებული სიტყვაში, ფრთხილი, გასაოცარი აღსავსე სიყვარულითა... მიჰბაძეთ მას, მის ღვთაებრივ ძესა – ქრისტესა სიწმიდითა და სიყვარულითა, და თქვენ გაუწევთ დიდ ზნეობრივ მსახურებას თქვენს ოჯახობას, საზოგადოებას, მხარეს, სახელმწიფოს, თქვენ შეიქნებით სანთლად, რომელიც გაუნათებს სხვათა გზასა ზნეობრივ წარმატებაში. მაშინ, მოუძებნელათაც უფლებათა ქალთათა, – თქვენ არ დაუვარდებით მდგომარეობით კაცთა ზნეობრივი თქვენი სისრულით და

თქვენის მხრით ამ უფლებათა მოუძებნელად დაიჭერთ საზოგადოებაში, ყოველ კაცობრიობაში ღირს სათანადო მაღალ ალაგს, რომელიც სრულებით დააკმაყოფილებს ქალს – ქრისტიანსა. ამინ.

მოძღვრება. *)

ბავშების ნათლის-ღებაზე ბაბტისტების წინააღმდეგ.

მართლ-მადიდებლობა და ბაბტიზმი, სხვათა შორის, განსხვავდებიან ერთი ერთმანეთისაგან ყმაწვილების ნათლის ღების სწავლის შესახებ. მართლ-მადიდებელი ეკკლესია ნამდვილად ასწავებს, რომ ყმაწვილებისთვის ნათლის-ღება საჭიროა და ამასთანავე ამცნებს, რათა ნათელს-ღებდენ მათ. «ვინც უარყოფს ნათლის-ღების საჭიროებას პატარა ყმაწვილებისთვის, დაბადებულთა დედის მუცლისაგან», – ამბობს კართაგენიის კრება, – «ანუ ამბობს, რომ თუმც ყმაწვილები ნათელს იღებენ განსაწმენდელად ცოდვათაგან, მაგრამ მამა-პაპეული ადამის ცოდვებისაგან ისინი არაფერს არ იღებენ, რაც უნდა გაებანათ მათ ნათლის-ღებისაგან (რის გამო მტკიცდება, რომ ნათლის-ღება ცოდვების განსაწმენდელად იხმარება ყმაწვილებისთვის ნამდ-

*) თქმულ არს თბილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში საქართველოს ექსარხოსის პავლესაგან ღვთის მსახურების გარეშე საუბრების დროს.

ვილად კი არა, არამედ ტყუილ უბრალოდ), – ის წყეულ იყოს. ვინაიდგან მოციქულისაგან ნათქვამი: ერთისა მის კაცისათვის ცოდვა სოფლად შემოხდა, და ცოდვისა ძლით სიკვდილი! და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკვდილი მოიწია, რომელთა ყოველთა შესცოდეს (რომაელ. ე, იბ), – უნდა გვესმოდეს არა სხვა ნაირად, არამედ ისე, როგორც ესმოდა მთელს დედა მიწის

ზურგზე გავრცელებულს მართლ-მადიდებელ ეკკლესიას. ამიტომ ამა სარწმუნოების კანონით ბავშებიც კი, რომელთა თავისთავად ჯერ კიდევ არ შეუძლიათ რამე ცოდვა ჰქნან, ნათელს იღებენ ნამდვილად ცოდვებისაგან განსაწმენდელად და მეორე დაბადებით მათში გაიწმიდება ის, რაც იმათ გადმოიღეს პირველ დაბადების დროს (კან. 124). «მოუნათლავი ყმაწვილის სიკვდილს მართლ-მადიდებელი ეკკლესია რაცხს დიდ უბედურებად ყრმისათვის; ხოლო ამ ცოდვის ჩადენას – მძიმე ცოდვად, აგრეთვე დიდ დამნაშაობად ეთვლებათ იმ პირთ, რომელთა დაუდევრობით მოხდა ყმაწვილის უნათლავად სიკვდილი. მღვდელი, რომლის დაუდევრობით მოკვდა ყმაწვილი უნათლავად, ეკკლესიის კანონით სასტიკად ისჯება და ჩამოიკვანების მედავითნის ადგილზე. ყველა ესეები ნამდვილად ამტკიცებენ, რომ მართლ-მადიდებელი ეკკლესია საჭიროდ რაცხს ბავშებისათვის ნათლის-ღებას. წინაღმდეგ ამისა ბაბტიზმი უარსა ჰყოფს ბავშების ნათლის-ღებას, იმათ ნათლის-ღებას. სთვლის უკანონოდ და თავის მიმდევართ, რომელნიც უკვე მონათლულან ყმაწვილობაში, დიდობაზე ისევე ხელ მეორედ ნათვლენ ხოლმე.

სად არის ჭეშმარიტება? მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სწავლაში და მოქმედებაში, თუ ბაბტიზმის სწავლაში, როგორც ბაბტისტებიც ფიქრობენ?

სწორს პასუხს კითხვაზე: საჭიროა ბავშებისთვის ნათლის ღება, თუ არა, საღმრთო წერილი არ იძლევა. იმაში არ არის ისეთი ადგილი, რომელიც პირ-და-პირ გვამცნებდეს ყმაწვილეების ნათლის-ღებას, აგრეთვე არც ისეთი ადგილებია, რომელნიც გვიკრძალავდნენ ყმაწვილეების ნათლის-ღებას. ამიტომ როგორც მართლ-მადიდებლები, აგრეთვე ბაბტისტებიც არ აფუძნებენ თავიანთ სწავლას ყმაწვილების ნათლის-ღების შესახებ სწორ საფუძვლებზე, არამედ თავიანთი დოღმატები გამოჰყავთ სხვა-და-სხვა ქრისტიანული სწავლისაგან. თუმც ჩვენ ყურადღებით განვიხილავთ საღმრთო წერილის სხვა-

და-სხვა ადგილებს, რომელთაც საიდუმლო ნათლის-ღებასთან დამოკიდებულობა აქვსთ და შევადარებთ ამ საიდუმლოის სწავლას მთელ ქრისტიანულ დოღმატებთან, რომელთაც საიდუმლო ნათლის-ღებასთან დამოკიდებულება აქვსთ, მაშინ ჩვენ ვნახამთ მტკიცე და ნამდვილ გასამართლებელ საბუთებს მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სწავლისას ბავშების ნათლის-ღების შესახებ და ბაბტისტების სწავლის სიმტყუნეს.

საღმრთო ისტორიაში, – მოციქულების დროს ქრისტიანობის გავრცელების მოთხრობებში მოიპოვებიან ისეთი ადგილები, რომელთა შეუძლიათ მიგვიყვანონ იმ დასკვნამდის, რომ მოციქულების დროსაც სრულდებოდა ნათლის-ღება. ეს ადგილები გვიხატავენ, რომ არა მხოლოდ ზოგიერთი პირები მიდიოდნენ ქრისტესთან და ნათელს იღებდენ, არამედ მთელი ოჯახობა. ამ გვარად ფილიპიაში ნათელს იღო ვინმე ქალმა, სახელდობ ლიდამ და მასთან ნათელს იღეს მის სახლში მყოფებმაც (საქ. წმ. მოციქ. 16, 15). ამ გვარად ამავე ქალაქში ნათელს-იღეს: საპატიმროს ყარაულმა და მთელმა მისმა სახლობამ, (საქ, წმ. მოციქ. 16, 27-33). კორინთიაშიაც წმ. მოციქულმა პავლემ ნათელს სცა არა მხოლოდ გაის და კრიპსას, არამედ სტეფანეს სახლობასაც (1 კორ. ა, იდ – ივ). რა გამოდის აქედამ? განა ყველა ეს სახლობანი შესდგებოდნენ დიდებისაგან მხოლოდ და მათ შორის არ იქნებოდნენ პატარანიც? ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ სამივე ამ ოჯახში პატარაებიც არ ყოფილიყვნენ და თუ ამ სახლებში ყმაწვილებიც იყვნენ, მაშინ ყველა შინაურების რიცხვში, რომელთაც მიიღეს ნათლის-ღება, რატომ არ უნდა ვიგულისხმოთ ყმაწვილებიც.

მაგრამ აქ ჩვენ საქმე გვაქს იმ ქრისტეანებთან, რომელნიც კერპთ-თაყვანის მცემლობიდამ გადმოვიდენ ქრისტიანობაზე, ამიტომ პატარა ყმაწვილების დიდებთან ერთად ნათლის-ღებაზე ნამდვილათ ვერას ვიტყვით, მაგრამ მისი თქმა, რომ ყმაწვილებს ნათლავდნენ ურიების სახლებში, რომელთაც ქრისტიანობა თვით მოციქუ-

ლებისაგან მიიღეს, ჩვენ სინამდვილით შეგვიძ-
ლია. წმ. მოციქულის პეტრეს ძლიერმა ქადა-
გებამ სული წმიდის მოსვლის პირველ დღეს
მოაქცია ქრისტესადმი სამი ათასი კაცი (საქ.
წმიდ. მოციქ. ბ, მა). ამის შემდეგ ხუთი ათასი
კაცი ერწმუნა ქრისტეს და ნათელს იღეს, როცა
მათ ნახეს, რომ მოციქულებმა პეტრემ და
იოანნემ განკურნეს დაბადებიდგან კოჭლი (4, 4).
უეჭველია, რომ ნათელ-ღებულთა უმეტესი რიცხ-
ვი იყო ცოლ-შვილიანები და მათ სახლობაში
ეყოლებოდათ ყმაწვილებიც – განა შესაძლებე-
ლია, რომ ამ ახლად ნათელ-ღებულთ ქრისტეს
მოწაფეთ და განსაკუთრებით გულს-მოდგინე
მათგანს, თავიანთი სახლობის ქრისტესადმი
მოქცევის და განათვლის შემდეგ მოუნათლავი
დაეტოვებიათ თავიანთი ყმაწვილები? არა, ეს
არ შეიძლებოდა. ამას არ იქმოდენ არც მოცი-
ქულები და არც მორწმუნე ურიები. საღმრთო
წერილიდამ ვიცით, რომ როცა აბრამთან ერ-
თად მცნებას იღებდნენ, და როცა ამ ცნების
დასამტკიცებლად წინ დაიცვეთავდნენ ხოლმე,
უფალმა ბრძანა, რათა წინ დაეცვითათ არა მხო-
ლოდ დიდებს, არამედ პატარა ბავშებსაც.
და ყრმამან რვისა დღისამან, ეუბნება უფალი აბრამს, –
წინა დაიცვითოს თქვენმან ყოველმან წულმან ნათესავსა
შორის თქვენსა, სახლის წულმა და ვეცხლით ფრდილმან
ყოვლისაგან ძისა უცხოსა, რომელ არა არს თესლისაგან
შენისა, წინა დაცვეთით წინა დაიცვითოს, სახლის წულმან
სახლისა შენისამან და ვეცხლით ფრდილმან, უსათუოდ
და იყოს წინადაცვეთილ... და იყოს აღთქმა ჩემი ხორცსა
ზედა თქვენსა აღთქმად საუკუნოდ (შემ. 17, 12-13).
და წინა დაცვეთა ითხოვებოდა ყველასაგან, წინა-
აღმდეგ შემთხვევაში წინა დაუცვეთელს მოელო-
და სიკვდილით დასჯა. რომელმან არა წინა დაიცვი-
თოს ხორცი, წინა დაუცვეთელობისა მისისა, რამეთუ
აღთქმა ჩემი განაქარვა (სტრი. 14). და ებრაელებიც
სიმკაცრით ასრულებდნენ ღვთის აღთქმას წინა
დაცვეთაზე. წარმოსადგენია განა, რომ მოციქუ-
ლებს და ან გაქრისტიანებულ ებრაელებს, რო-
მელნიც თავიანთ შვილებს დაბადებიდგან მერვე
დღეს წინა დაცვეთავდნენ ხოლმე, როცა კი

გაქრისტიანდებოდნენ დაეტოვებიათ მათ ყმაწ-
ვილები მოუნათლავად? მოციქულები როგორც
თვითონ, აგრეთვე თავიანთ მოწაფეთ ასწავლი-
დენ, რომ წინა დაცვეთა მამასწავებელი იყო
ნათლის-ღებისა, ხოლო ნათლის ღება მიაჩნდათ
წინა დაცვეთის სამაგიეროდ, – ე. ი. ნათლის-
ღება იყო ხელ უქმელი წინა დაცვეთა (კოლ.
2, 11-12), წინა დაცვეთა უფრო საჭირო და
მაცხოვნებელი ხორცით წინა დაცვეთაზე (სტრ.
12-15) და რომელიც იხმარებოდა მეორე განსა-
ბანელათ, განსაახლებლად (ტიტ. 3; 5). განა
მოციქულები, ან ქრისტეს მორწმუნე ებრაელები
მოუნათლავად დატოვებდენ ბავშებს? ისინი უცქე-
როდენ ნათლის-ღებას, როგორც კარს, მიმყვა-
ნებელს ღვთის სასუფევლისადმი, როგორც ახა-
ლი მადლიანი ცხოვრების დასაწყისს, როგორც
ღმერთთან ახალი აღთქმის მომასწავებელს და
მასთან უპირატესობასაც აძლევდნენ ნათლის-
ღებას ძველი აღთქმის წინადაცვეთაზე და ამი-
ტომ ისინი, ახსოვდათ რათა მათ, რომ მერვე
დღეს წინადაუცვეთელნი ბავშები სიკვდილით
დასჯილ იქნებოდნენ ხოლმე, რის გამო მერ-
ვე დღეს უსათუოდ ასრულებდნენ წინა დაცვე-
თას ძველ აღთქმაში, ყოველივე ამის მიმხედვარე
განა დატოვებდნენ ბავშებს უნათლის-ღებოდ,
რომ ამით დაეშალათ მათთვის სასუფეველში
შესვლა და ჩაეგდოთ ისინი საუკუნო ტანჯვაში,
რომელიც უმწარესი იყო იმაზე, რომელიც მო-
ელოდათ წინა დაუცვეთელ ბავშებს? არა, მოციქუ-
ლების და მშობლების სიყვარული ბავშებისადმი,
რომელნიც უყვარდა თვით უფალს იესო ქრის-
ტეს და ის მცნება, რომელიც მათ გადმოცემულ
ჰქონდათ სასტიკი კანონით წინა დაცვეთაზე, ნებას
არ მისცემდენ მათ, რომ დაეტოვებიათ ბავშები
უნათლავად და ამით მიეცათ ისინი საუკუნო
ტანჯვისათვის, როგორც მერვე დღეს წინა
დაუცვეთელნი ებრაელის ბავშების სული მოსპო-
ბილი იქმნება ხოლმე ღვთისაგან. ამიტომ უეჭ-
ველია, რომ მოციქულები იმ შემთხვევაში, როცა
მთელს სახლობებს მოაქცევდნენ ხოლმე ქრის-
ტესადმი, თვითონაც ნათელს-სცემდენ ხოლმე და

ამასთან სხვებსაც ამცნებდნენ ხოლმე, რომ ნა-
თელ ეცათ არა მხოლოდ დიდებისათვის, არა-
მედ ბავშებისათვისაც.

ესრეთ ყოვლად სარწმუნო და ჩვეულებრივ
პრაკტიკას მოციქულების დროისას, თვით
მოციქულთა ქცევა-მოქმედებას მივყავართ იმ და-
სკვნამდე, რომელიც ხელს უწყობს მართლ-
მადიდებელ სწავლას ყრმათა ნათვლაზე; მაგრამ
სრულებითაც არ ეთანხმებიან ბაბტისტების შე-
ხედულებას ამ საქმეზე. მართლ-მადიდებელსავე
სწავლას ყრმათა ნათლის-ღებაზე აუცილებლად
გვიმტკიცებს აგრეთვე შედარება ნათლის-ღების
დოღმატისა ყველა იმ დოღმატებთან, რომელ-
თაც ამ საიდუმლოსთან აქვსთ დამოკიდებულება.
ამ დოღმატთა ნათლის-ღების დოღმატთან
შედარებისაგან გამოდის, რომ 1) ნათლის-ღება
ყრმათა აუცილებლად საჭიროა; 2) რომ იგი
შესაძლებელია, როგორც ჭეშმარიტი და მაც-
ხოვნებელი ნათლის-ღება; 3) რომ იგი აღგვი-
თქვამს უმეტეს მაცხოვნებელ ნამყოფთა, ვიდრე
ნათლის-ღება გადადებული მოსანათლავი ყრმის
სრულ წლოვანობამდის; 4) რომ ნათლის-ღება
ჩვილთა სავალდებულოა მწყემსთათვის ეკკლე-
სიისა და მშობლებისათვის.

ნუ თუ საჭიროა ყრმათა მონათვლა? ეს იმას
ჰგავს, ვინმემ რომ იკითხოს: საჭიროა ბოვშთა-
თვის საუკუნო ცხოვნება? საჭიროა მათთვის ხსნა
ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან და შესვ-
ლა ღვთის სასუფეველში და ღვთის შვილად
წოდება? ამ კითხვაზე შესაძლებელია მხოლოდ
ერთად ერთი კანონიერი პასუხი: განთავისუფლე-
ბა ცოდვისა, წყევისაგან და საუკუნო დაღუპვი-
საგან აუცილებლად საჭიროა ყრმათათვისაც. თუ
ყმაწვილებისათვის უსაჭიროესია გამოხსნა, უთუოდ
მათი ნათლის-ღებაც აუცილებელია.

ღვთის სიტყვა ცხადათ გვამცნებს, რომ ყოვე-
ლი კაცი გამოუკლებლად, გარდა მხოლოდ
უცოდველი ქრისტესა, – წარმოდგება რა ერ-
თი ცოდვილი წინაპარის ადამისაგან, ცოდ-
ვილ არს; ცოდვილ არიან ისინიც კი, რომელ-
თაც არ შეუცოდავსთ მსგავსად გარდასვლისა

მის ადამისა; ე. ი. ბავშები (რომაელ. 5. 14); ცოდვილ არიან ისინი, როგორც უსჯულოებასა შინა მიდგომილნი და ცოდვასა შინა შობილნი (დავით. 50, 7). ვითარცა იგი ერთისა მის კაცისათვის ცოდვა სოფლად შემოხდა და ცოდვისა ძალით სიკვდილი. ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკვდილი მოიწია, რომელთა ყოველითა შესცოდეს (რომაელ. 5, 12). ცოდვილ არიან ყველანი? მაშასადამე ბავშებიც კი, თუმც მათ არ შეუცოდავსთ მსგავსად ადამის შეცოდებისა, გაგებით და თავისუფლად. შესცოდეს ყოველთა, და მაშა სადამე ბავშებმაც შესცოდეს: ეს მტკიცდება იმითი, რომ ხშირად ბავშები, დაბადებისათანავე, კვდებიან. აქედამ მტკიცდება, რომ ბავშებიც ცოდვილ არიან და ამიტომაც მათ იტაცებს სიკვდილი, რომელიც შედეგია ცოდვისა (იაკ. 1,15,) სამაგიერო ცოდვისა (რომაელ. 5,12; 6, 23); როგორც ცოდვილნი, ბავშებიც კი მტერ არიან ღვთისა (რომაელ. 5, 8-10), ისინი უცხო ქმნილ არიან ცხოვრებისაგან ღვთისა (ეფეს. 4, 18; კოლ. 1, 21) ქმნილ არიან ბუნებით შვილად რისხვისად (ეფეს. 2, 3), – ისინი შვილ არიან რისხვისანი. ბუნებით, ვითარცა იგი სხვანი, მაგრამ თავის პიროვნული ცოდვებისა გამო კი არა. იგინი იმყოფებიან წყევასა ქვეშე (გალატ. 3, 10-13), – განწირულ არიან სასიკვდილედ, მომაკვდავ არიან ცოდვისა გამო (ეფეს. 2, 1, კოლოს. 2, 13), აქვსთ მათ ხორციცა მომაკვდავი (რომაელ. 8, 11) და როგორც ხორცი, მკვდარ არიან სულით (რომაელ. 8, 13), ისინი ხორცითა თვისითა მოიმკიან ხრწნილებას (გალატელ. 6, 8) ამიტომ განა საშიშო არ არის ბავშების სვე, რომელნიც შედარებით წმინდანი და უცოდველნი არიან, მაგრამ ისინი მაინც ირიცხებიან ღვთის მტრებად, თუმცა ისინი სამუდამოდ დარჩებიან ხორცად, განუახლებლად? აქედამ ცხადია, თუ რა საჭიროა ვიზრუნოთ ბავშების გამოხსნაზე მათ ცოდვილი მდგომარეობისაგან, რომელიც უქადის მათ დასჯას და დაღუპვას!... ვინ იქნება ისე შეუბრალებელი, რომ არ მისცეს შემწეობა მათ, თუმც ეს შეწევნა შესაძლებელია? ასე შეუბრალებელნი არიან ბავ-

შებისადმი ბაბტისტები, რომელნიც სტოვებენ
ბავშებს უნათლავად ასაკში მოსვლამდის და
რომლის გამო ათასობით იღუპებიან ბავშები
საუკუნოდ. მართლ მადიდებელი ეკკლესია კი ასე
არ იქცევა. მან უწყის, თუ რა საჭიროა ბავშებისა-
თვის პირველ ცოდვისა და წყევისაგან გამოხსნა
და ამიტომ არაფერს არ ზოგავს მათი ცხონე-
ბისათვის. უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, – ახალმა
ადამმა, გაგვამართლა ჩვენ თავისი მორჩილებით
(რომაელ. 5, 19) თავისი ჯვარცმით მან გამო-
გვიხსნა ჩვენ ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისა-
გან (იოან. 1, 7; გალატ. 3, 10, 12; 1 კორინ.
15, 26. 54. 55), მან შეგვარიგა ჩვენ ღმერთთან
(რომაელ. 5, 10), შეგვიყვანა ჩვენ ღვთის სასუ-
ფეველში, რათა შვილობა იგი მოვიღოთ
(გალატ. 4, 4 – 5; რომაელ. 8, 14 – 16), და
ვიქმნენით შვილ მკვიდრცა ღვთისა ქრისტეს მიერ
(გალატ. 4, 7; რომაელ. 8, 17), და მოგვანი-
ჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო (რომაელ. 6, 22 –
23), მაგრამ ქრისტეს ჯვარცმას შევითვისებთ
ჩვენ ნათლის ღებაში, შევითვისებთ მაშინ, როცა
ჩვენ ქრისტეს მიმართ ნათელს ვიღებთ და ქრისტეს შევი-
მოსავთ (გალატ. 3, 27). უნათლისღებოდ ვერ ხელემ-
წიფების შესვლად სასუფეველსა ღვთისასა. (იოან. 3, 5),
საზოგადოდ უამისოთ ცხონება შეუძლებე-
ლია. საჭიროება ნათლს-ღებისა ყოველი კაცის
საცხოვნებლად განა თავისთავად ცხადად არ
გვიმტკიცებს ნათლის ღების საჭიროებას ბავშე-
ბისათვისაც? ცხადათ და ყველასათვის გასაგებად
ამცნებს ამას, თუ განგებ არ დახუჭვენ თავიანთ
სულიერთა თვალთა ჭეშმარიტების სინათლისა-
გან.

რომ ბავშებისათვისაც საჭიროა ნათლის-
ღება და რომ მათი უნათლავად დატოვება საში-
შოა, ამას ამტკიცებს ძველი აღთქმის სჯულიც
წინა დაცვეთაზე... მოსწავებას და მოსასწავებელს
შორის, ჩრდილსა და სხეულსა შორის არსე-
ბობს ბუნებითი და მიუცილებელი მსგავსება.
მოსწავება თავისი ნიშნებით უჩვენებს, თუ რა უნდა
იქმნეს მოსასწავებელში. უმანკო ბატკანი პასექისა
მოასწავებდა ქრისტეში უცოდველს და უწმიდესს

ღვთის ტარიგს – უცოდველს გამომხსნელს. პა-
სექის ზვარაკის ძვლების შეუმუსვრელობა მო-
ასწავებდა იესო ქრისტეს ძვლების შეუმუსვრელო-
ბას ჯვარზე და სხვ. ამავე სახით წინადაცვეთაც
მოასწავებდა მას, რაც უნდა ყოფილიყო ნათლის
ღებაში. რას მოასწავებს წინადაცვეთა ნათლის-
ღებაში? ის, სხვათა შორის, უჩვენებს ყმაწვილე-
ბისთვის ნათლის-ღების საჭიროებას და მასთან
უჩვეებს იმ დიდ უბედურებას, რომელიც მათ
მოელისთ, თუ უნათლავად დარჩნენ. ძველი
აღთქმის სჯული ამცნებდა, რათა წინადაეცვითათ
ყველა ყმაწვილები მერვე დღეს შობიდგან და
ამას ამცნემდა იმის გამო, რომ წინადაუცვეთე-
ლი სიკვდილით დაისჯებოდა, როგორც და-
მარღვეველი ღვთის აღთქმისა (შექ.17, 12 –
14); განა ეს ნამდვილად არ გვამცნებს, რომ ქრის-
ტიანეთა ყმაწვილებზე შესრულებულ უნდა იქმნეს
ნათლის-ღება, რომელიც არის მომასწავებელი
ღვთის უმაღლესი აღთქმისა კაცთან? განა არ გვამც-
ნებს იმ დიდ უბედურებას, რომელიც წარმოს-
დგება ბავშების უნათლავად დატოვებისა გამო,
უბედურებასა, რომლის წყალობით უნათლავად
მომკვდარნი ბავშები მოკლებულ იქმნებიან საუ-
კუნოდ ღვთის სასუფეველსა? განა ქრისტიანების
ყმაწვილებისათვის იმ გვარადვე საჭირო არ არის
ნათლის-ღება, როგორც ურიის ბავშებისათვის
საჭირო იყო წინა დაცვეთა? ხოლო ეს პირველი,
ნათლის-ღება, უსაჭიროესი არის, რადგანაც
უნათლავად გარდაცვალებულნი ბავშები მოაკლ-
დებიან საუკუნო ცხოვრებას.

თუ კი ცხადია, რომ ბავშები არ არიან მოკლებულ
პაპეულ ცოდვებს, მაშინ ყრმათათვის ნათლის-
ღება, მათი საუკუნო ცხოვრებისათვის, ცხადია.
აი უმთავრესი კითხვა: განა ბავშების ნათლის
ღება შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ და მაცხოვ-
ნებლად? უფალი იესო ქრისტე ნათლის მღებ-
ლისაგან ითხოვს სარწმუნოებას: რომელსა აქვნდეს
სარწმუნოება და ნათელ იღოს, ამბობს უფალი, –
ცხონდეს; ხოლო რომელსა არა აქვნდეს სარწმუ-
ნოება, დაისაჯოს (მარკ. 16, 16). და რა სარ-
წმუნოება უნდა ჰქონდესთ ბავშებს? ამბობენ ბაბ-

ტისტები და ამიტომ უარს ჰყოფენ ნათლის ღებას.

ნამდვილად, როგორც ვხედავთ ჩვენ ზემოთ მოყვანილი მაცხოვრის სიტყვებისაგან, ნათლის მღებელთაგან ითხოვება სარწმუნოება. მაგრამ როგორი სარწმუნოება? საღმრთო წერილში ჩვენ ვხედავთ სხვა-და-სხვა გვარ სარწმუნოებას. სიტყვა ღვთისა ამცნებს კაცის პიროვნულ, შეგნებულ სარწმუნოებაზე, და სხვა პირთა სარწმუნოებაზედაც, რომელიც ჩაეთვლების კაცსა. ამიტომ, თუ ნათლის მღებელთაგან ითხოვება სარწმუნოება, აქედამ სხვა-და-სხვა გვარი სარწმუნოებისა გამო, არ გამოდის, რომ ეს სარწმუნოება ყოველთვის უსათუოდ უნდა იყოს საკუთარი, შეგნებული სარწმუნოება კაცისა. რასაკვრველია, ასაკში მოსული კაცისაგან ითხოვება საკუთარი, შეგნებული სარწმუნოება, ხოლო ყმაწვილს შეიძლება ჩაერიცხოს ნათლის-ღების დროს სარწმუნოება სხვათა, მისი ახლობელი პირებისა და ამისთანა სარწმუნოებაზე ცხადათ ამცნებს სიტყვა ღვთისა.

სახარების ისტორიაში ვხედავთ ჩვენ ბევრს მაგალითებს, რომელთაგან სჩანს, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბავშებს უბრიდა მშობლების სარწმუნოებას, მონათესავეთა და ახლობელ პირთა სარწმუნოებას შთაუთვლიდა ხოლმე მათ ახლობელ პირთა და ხშირად ამგვარი სარწმუნოებით ჰკურნებდა ხოლმე კაცთა სასტიკი სენისაგან, გარდა ამისა აღადგენდა მკვდრეთით იმ კაცთა, რომელთაც ეთვლებოდათ ეს სარწმუნოება. ამ გვარად უფალი ჰკურნებს განრღვეულს მისი ცხედარსა ზედა მიმტანების სარწმუნოებით და უტევებს მას ცოდვათა მისთა (მათ. 9, 2); კაპერნაუმის ასის თავის სარწმუნოებით ჰკურნებს განრღუეულს მის მონას (მათ. 8, 13); იაიროსის სარწმუნოებით აღდგენს მკვდრეთით მის ასულს (ლუკა 8. 50 – 55); ქანანელი ქალის სარწმუნოებით უფალი ჰკურნებს მის ქალს, რომელიც ბოროტად შემაკეულ იყო (მათ, 15, 22 – 28). განა უფალს, ყოვლად შემძლეს და ყოვლად მოწყალეს, რომელიც ძალისა გამო სხვათა სარწმუნოებისა,

რომელიც ჩაერიცხება სნეულთა და მკვდართა ხორციელად და რომელიც (უფალი) ჰკურნებს სნეულთა და აღდგენს მკვდართა ერთი სიტყვით, არ შეუძლია იყოს იმდენად მოწყალე და ყოვ-ლად შემძლებელ რომ აცხოვნოს სნეულნი და მკვდარნი სულიერად? არა, ღმერთს ყოველივე შეუძლია და მისი ზრუნვა არ შეჩერდება (იობ. 42, 2). ის ერთ გვარად ყოვლად შემძლე და ყოვლად მოწყალეა როგორც სხეულის, აგრეთ-ვე სულის შესახებ. მაგრამ რადგან ის სულს ამკობს ხორცზე, ამიტომ უფრო ზრუნავს სულის სიკეთეზე. და მისი მოწყალება, სიბრძნე და ყოვლად შემძლებლობა კიდეგ უფრო უკლებე-ლია. რომელმაც ჩვენი სულის საცხოვნებლად თავისი ძე არ დაზოგა სასიკვდინედ, რა ზომას არ იხმარს ხალხის საუკუნო დაღუპვისაგან გა-მოხსნისათვის? განა მას არ შეუძლია დახსნა, განა ის არ მოინდომებს დაიხსნას კაცი ცოდვებისა და საუკუნო დაღუპვისაგანაც სხვა პირთა სარ-წმუნოების მათდამი ჩარიცხვით? არა, მას შეუძ-ლია დახსნა და კიდევაც იხსნის ხალხს, სხვა პირთა სარწმუნოების მათდამი ჩარიცხვით. ამ გვარად მან მიუტევა ცოდვები განრღვეულს იმ პირთა სარწმენოებით, რომელთაც მცხედარზე მდებარე მოიტანეს ის (მათ. 9, 2). მით უმეტეს შეშვენის მას დახსნა ბავშებისა ნათლის-ღებით სხვა პირთა სარწმუნოების ჩარიცხვით.

მამა პაპეულ ცოდვებისაგან კაცის გა-მოხსნის საქმეში სხვა პირთა სარწმუნოების ჩათვლას აქვს დიდი მნიშვნელობა. და მართ-ლაც პირველი ცოდვა და სიკვდილი ყველა მისი შედეგებით განა არ ეთვლება ადამის შთა-მომავალთაც და ეს ცოდვა მთელი თავის ძალით ერიცხება ბავშებსაც, თუმც მათ არ შეუცოდავსთ მსგავსად ადამის შეცოდებისა. მსგავსად ამისა იესო ქრისტესაგან გამართლება ვრცელდება ყველა კაცზე: ყველას ერიცხება სიმართლე კაცი-ღვთისა, მისი ჯვარზე ვნება, – ყველას ჩაე-რიცხება ეს, ვინც კი უარს არა ჰყოფს ცხოვ-ნებას. ვითარცა იგი ერთისა მის შეცოდებისაგან ყო-ველთა კაცთა ზედა დასასჯელად, ეგრეცა ერთისა მის

სიმართლისათვის ყოველთა კაცთა ზედა განსამართლებ-
ლად ცხოვრებისა. რამეთუ ვითარცა იგი ერთისა მის
კაცისა ურჩებითა ცოდვილნი შემოჰხდეს მრავალნი, ეგ-
რეცა ერთისა მის კაცისა მორჩილებითა მართალნი შე-
მოვიდნენ მრავალნი. (რომაელ. 5, 18, 19). რო-
გორც ადამის ცოდვამ, რომელიც ეთვლება მის
შთამომავლობას, მოახდინა ყოველ კაცზე დასჯა,
აგრეთვე სიმართლე იესო ქრისტესი – ახალი
ადამისა, ჩაერიცხება რა კაცსა, ამართლებს
მას. ამისათვის რატომ არ უნდა მივიდოთ ის
ჩათვლა, რომლის ძალით მშობელთა და მიმრ
ქმელთა სარწმუნოება იესო ქრისტის ჯვარცმითი
ღვაწლისა ნათლის ღების დროს მიიღების
ნაცვლად ნათლის მიმღები ყმაწვილის სარწმუ-
ნოებისა და ამ გვარად ნათლის-ღებას ჰყოფს
მისთვის მაცხონებლად? ყველა ჩვენ ხომ წევ-
რი ვართ ერთი სხეულისა, რომლის თავი არს
ქრისტე და ამიტომ ყველას შეგვიძლია და კი-
დეც მოვალე ვართ ვიზრუნოთ ერთი ერთმა-
ნეთზე, უნდა ვიტვირთოთ ურთი-ერთის სიმძიმე
(გალატ. 6, 2) და ერთად უნდა ვიმოქმედოთ
აღსაშენებლად თავისა ჩვენისა (ეფეს. 4, 16). ეკკლესიის
წევრთა ამისთანა სიახლოვისა და ზედ მოქმედებისა
მიხედვით რა მოუშლის უფრო სუსტთა, რომ
ისინიც სცხონდნენ სხვა პირთა სარწმუნოების
მათდამი ჩარიცხვით, მათი ნათლის ღების დროს?

მიუბრუნდეთ კიდევ ნათლის-ღების მომასწა-
ვებელს – წინადაცვეთას. განვიხილოთ წინა დაც-
ვეთა მეორეს მხრით და ეს წინადაცვეთა
გვიმტკიცებს ჩვენ ყრმათა ნათლის-ღების
სინამდვილეს და მაცხოვნებლობას იმ გვა-
რადვე, როგორც მოწმობს ის ნათლის ღების
საჭიროებაზე... მართლაც, წინადაცვეთა თვით
ღვთის სიტყვისა მებრ იყო სასწაულ აღთქმისა
ერთის მხრით ღმერთთან და მეორეს მხრით
აბრამთან და მის შთამომავლობასთან (შემ. 17,
11), და ღმერთი ითხოვდა, რომ ამ წინა დაცვე-
თის საშუალებით დაედვათ აღთქმა ღვთისა მარ-
ტო დიდებს კი არა, არამედ შვიდი დღის ყმაწ-
ვილებსაც, და შემდეგ აბრამის და მისი შინაუ-
რების სიკვდილისა, რომელნიც წინა დაცვეთი-

ლი იქმნენ ასაკში მოსულობის დროს, ებრაე-
ლები დაუახლოვდნენ ღმერთსა წინა დაცვეთის
საშუალებით, რომელსაც ასრულებდნენ ისინი
თავის თავზე სიყმაწვილეშივე. ვინც კი დარჩე-
ბოდა ასაკში მოსვლამდის წინა დაუცვითელი,
მისი სული მოისპობოდა ნათესავთა შორის, რადგან ის
განაქარვებდა ღვთის აღთქმასა. ორივე მხარე,
რომელიც პირობასა სდებენ, ერთმანეთში
სთანხმდებიან, უნდა მოქმედობდენ გაგებით?
უსათუოდ ორივე მხარემ უნდა იცოდეს აღთქმის
საფუძველიც, მისი პირობებიც და მოვალეობაც,
რომელსაც ეს აღთქმა სდებს მათზე, ამბობენ
ბაბტისტები. ბაბტისტების შეხედულობით ებრა-
ელთა ყმაწვილების წინა-დაცვეთა არ შეიძლე-
ბოდა, რადგან მათ არ ესმოდათ აღთქმა, რო-
მელიც უნდა დაედოთ მათ ღმერთთან წინა-
დაცვეთის საშუალებით. მაგრამ რას ვხედავთ
ჩვენ? თვით ღმერთი ბრძანებს, რათა ყველა ებრა-
ელის ყმაწვილებმა მიიღონ მისი აღთქმა დაბა-
დებიდგან მერვე დღემდე, წინააღმდეგ შემ-
თხვევაში წინა დაუცვეთელთ მოელოდა სიკვდილი.
ბაბტისტები, ამასა ბრძანებს ღმერთი, რომელ-
საც თქვენ არ უნდა ეცილებოდეთ მისი საიდუმ-
ლოების და კაცის სულის საიდუმლოების ცოდ-
ნაში, სიბრძნეში და მოწყალებაში.

ბოლოს ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ სარ-
წმუნოება ნათლის მღებელთა, როგორც დიდე-
ბის, აგრეთვე ყრმათა განსხვავდება თავისი
არსებით კი არა, არამედ თავის ღირსებით.
მართლაც, ნათლის მღებელის და დიდი კაცის
სარწმუნოება არ არის ისეთი სარწმუნოება, რო-
მელიც იყოს ნაყოფი სულისა (გალატ. 5, 22),
რომელიც გამომხატველია სულიერი ცხოვრე-
ბისა, განახლებულს და მადლიანისა და
რომელიც დაიწყება შემდეგ ნათლის ღებისა და
მირონცხებისა. არა, ნათლის მიმღების სარ-
წმუნოება არის მხოლოდ ნიშანი ქრისტიანული
ჭეშმარიტების გაგებისა, ნიშანი რომ ნათლის
მიმღები მოსურნეა საიდუმლოს მიღებისა, რომ
ის არ უარყოფს მას, არ განუდგება მას. ღვთის
სასუფეველში შესვლის არ უარ ყოფს აქვს სხვა-

და-სხვა ხარისხი. შეიძლება არ უარ ჰყო გაგებით
და თავისუფლად, მაგრამ ყოველივე ამას ღვთის
მადლის მიღების შესახებ აქვს ერთი და იგივე
მნიშვნელობა. ღვთის მადლი მოქმედებს კაცზე მა-
შინაც კი, როცა ის გაგებით და თავის-
უფლად არ მოქმედებს. ცხადი მაგალითები
ამ ღვთის მადლის მოქმედებისა მაშინაც კი,
როცა გაგებითაც არ მოქმედობ და არც
ეწინააღმდეგები მას და ცხადი დამტკიცება
ჩვენი ნათქვამის სინამდვილისას ჩვენ ვხედავთ
ღვთის მადლის მოქმედებაში არა მარტო ბოვ-
შებზე, რომელნიც უკვე დაიბადნენ ქვეყნად,
არამედ იმისთანა ბავშებზედაც, რომელნიც ჯერ
კიდევ დედის მუცელში იმყოფებოდნენ. ამ გვა-
რად უფალმა ღმერთმა, პირთა ყმათა ჩვილთა
მწოვართა. რომელნიცა ღაღადებდენ და ეტყო-
დენ იესო ქრისტეს: ოსანნა ძეო დავითისო!
დაამტკიცა ქება საყვარლისა ძისა თვისისა უფლისა
ჩვენისა იესო ქრისტესი (მათ. 21, 15 – 16). უფალ-
მა დაამტკიცა ესე ქება, – ამბობს ამ შემთხვევაზე
ფსალმუნთ მგალობელი (დავით. 8, 3), რომ-
ლის სიტყვებს ამტკიცებს უფალი ჩვენი იესო
ქრისტეც. ამიტომ, ნამდვილად, ეს ყრმათა
ქება იყო თვით ბავშებისაგან კი არა, რომელნიც
აქებდნენ ქრისტეს მსგავსად თვისთა მშობელ-
თა, არამედ ღვთის მადლის ძალით, მათზედა
გადმოვლინებულისა. უფრო განსაცვიფრებელია
ღვთის მადლის მინიჭება ყრმათადმი, რომელ-
ნიც უკვე იყვნენ თავის დედის მუცელში და ამ
მადლის მათში ხილულ მოქმედება. პირველ
აღზელადე მუცელსა შინა და პირველ გამოსვლისა გან-
გწმინდე შენ წინასწარმეტყველად ნათესავისა მი-
მართ დაგდევ შენა (იერემ. 1,5). უფრო
წინა დროებში იერემიამდე, მსაჯულთ დროს,
უფალმა უთხრა მანოიას ცოლს, როცა
ახარა მას შესანიშნავი შვილის მსაჯულის სამ-
სონის დაბადება: «შენ ეგერა ბერწ ხარ და არა
გიშობიეს, ხოლო აწ მიუდექ და შევ ძე. არამედ
ეკრძალე, ნუ სვამ ღვინოსა და თაფლსა და ნურცა
შჭამ ყოველსავე არა წმიდისა. რამეთუ შენ
მუცლად იღე და შვე ძე და რკინა თავსსა ნუ

შეეხებიან, რამეთუ ნაზირი ღვთისა იყოს ყრმა
იგი შობიდგან მისით და მან იწყოს განრინებად
ისრაილისა ხელთაგან ფილისტიმელთაგან» (მსაჯ.
15, 3 – 5). და აი ღვთის მადლმა, რომელიც
გადმოვიდა სამსონზე და იერემიაზე თვით დედის
მუცელშივე, შექმნა პირველი იზრაილთა პირველ
მსაჯულად, ხოლო მეორე დიდ წინასწარმეტყვე-
ლად: ასე იმოქმედა ღვთის მადლმა მათზე თუმც
ეს მადლი იყო მიღებული იმისთანა პირებისაგან,
რომელთაც წინააღმდეგობა არ გაუწევიათ მის-
თვის, მაგრამ მათ არც შეგნებული სარწმუნოება
ჰქონდათ. უფრო საოცრად გამოიჩინა თვისი ძალა
ღვთის მადლმა უფლის წინა მორბედზე იოანეზე,
აღვსილი სულთა წმიდითა მიერვე დედის მუცლით მისით-
გან (ლუკ. 1. 15), და მან ყრმამან იოანემ, რომელიც
უკვე იმყოფებოდა მუცელსა შინა დედისა თვისისა,
ხმა ჰყო მის დედასთან – ელისაბედთან მოსულს
ქალწულ მარიამ – ღვთის დედას, კრთებოდა ყრმა
ესე სიხარულით მუცელსა ჩემსა(ლუკ. 1,40 – 44).
განა ეს მოწმობანი განსაცვიფრებელნი არ არიან,
როდესაც ღვთის მადლის ძალა მოქმედებს ბავ-
შებზედაც, რომელნიც ჯერ კიდევ თავის დედის
მუცელში იმყოფებიან და ჩასახვის დროსვე მათ
განსწმენდს და ჰქმნის ღვთის მოსამსახურედ აღმა-
სრულებლად ღვთის ნებისა, მახარებლად ღვთის
სიბრძნისა? რატომ აღარ უნდა ვირწმუნოთ ის ჭეშ-
მარიტებაც, რომ ბავშების ნათლისღებაშიაც
გადმოდის მათზე მადლი განახლებისა? განა
საფუძვლიანია იჭვი მასში, რომ მეორედ განბანვა-
განახლება (ტიტ. 3, 5) – ნათლის ღება ნათლის
მღებელ ბავშთათვისაც ნამდვილია და ყრმანი
შემდეგ მონათვლისა შეიმოსებიან სულის წმიდით?
არა; უფალსა ღმერთს, რომელიც აღავსებდა
თავის სულით თვისთა აღმორჩეულთა კიდევ თავის
დედის მუცელსა შინა, შეუძლია აღავსოს და აღავ-
სებს კიდეც მადლის ძალით ყრმათაცა, რომელ-
ნიც ნათელს იღებენ. თავიანთ მშობლების და
მიმრქმელთა სარწმუნოების ჩარიცხვით, მით
უმეტეს, რომ ეს ყრმანი თვისი დაბადებით
ქრისტიანების ოჯახებში, რომელნიც აღრჩეულ-
ნი და უწინვე გამზადებულ არიან შესვლად

იესო ქრისტის სასუფეველში, მოწოდებული არიან ქრისტიანული ცხოვრებისათვის.

ჭეშმარიტად ყრმათა ნათლის ღება საჭიროც არის და ნამდვილიც. ამინ.